# გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს!

ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

შაბათი-კვირა

23 — 24 აპრილი, 2011 №96 (5477) ფასი: 30 თეთრი

26 აპრილიდან „ახალი თაობის“ სააღდგომო საჩუქარი ახალ თაობას. საყმაწვილო ბიბლიოთეკის 8 ტომეული. ძალიან დაბალ ფასად! წიგნი და გაზეთი ერთად 2 ლარი.





## ამ ხელისუფლებას ისევე გავუშვებთ, როგორც მოვიყვანეთ!

რატომ ვერ პოულობს ოპოზიცია საერთო ენას?

გვ.4



## შევარდნაძე ქობალიას ეუბნებოდა, სოხუმი გადავარჩინოთ და გადავდგებით

გვ.5



## სულიერი მარხვა მუდმივად გრძელდება

გვ.7



## სააკაშვილი საქართველოში რუსეთის ადმინისტრაციაა

გვ.2

## ახლობლების გარეშე ვერ ვძლებ

გვ.12



გიორგი თარგამაძე იმიტირებული დემოკრატიაა

## ეკლესიაში სიარულს კომუნისტები არ გვიშლიდნენ

გვ.6



ISSN 1987-9385

## სააკაშვილის რეჟიმს განაჩენი გამოტანილი აქვს

გვ.3

3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

# სააკაშვილი საქართველოში რუსეთის ადმინისტრაციაა

შორენა კოწოწაშვილი

**ეროვნული მო რაობის ერთ-ერთი გამოკვეთილი წევრი მამუკა გიორგა ე ქვეყანაში მიმდინარე საშიშ ტენდენციაზე საუბრობს და აცხადებს, რომ რუსთაველის გამზირი შეი ლება ორი რუსული სპეცსამსახურის დაპირისპირების არენად იქცეს და ქართველების სისხლი დაიღვაროს.**

გიორგაძე სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაზეც ამახვილებს ყურადღებას და მას რუსეთისთვის გაგზავნილ მესიჯად მიიჩნევს, სადაც დასავლეთი მიანიშნებს, ვინც გინდათ ის მოიყვანეთ, ოღონდ არა სააკაშვილი.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნამ რიგი ოპოზიციონერები გაათამამა და უფრო აქტიური გახადა მათი განცხადებები საპროტესტო ტალღის და ამ ფონზე ხელისუფლებასთან შესაბამისი ძალის დაპირისპირების თაობაზე.

— რაც შეეხება რევოლუციურ მოწოდებებს, არსად არ ხდება რევოლუცია პატარა ქვეყნებში, თუ ის პროცესი გარედან არ არის მართული, ე.ი. თუ რუსული სპეცსამსახურების ორგანიზებული არ არის. ორივე ეს პროცესი გინდა რევილუციური და გინდა მოლაპარაკებები არის მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალური ბრძოლა, უფრო სწორად, ბრძოლის იმიტაცია. შეიძლება ეს ვილაცისთვის ძალიან მწარედ დამთავრდეს, — აცხადებს სახალხო პარტიის ლიდერი მამუკა გიორგაძე და აინტერსებს, როგორ ხდება, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის ხელისუფლების მოლაპარაკების მაგიდასთან ის პოლიტიკური ძალები სხედან, რომლებიც ხელისუფლებამ რუსეთის აგენტებად წარმოაჩინა და რომელზე გადაღებული ფილმებიც ლამის მსოფლიოს აჩვენა.

რა შანსები აქვთ რევოლუციონერებს და რეალურად რა შეიძლება მოხდეს პოლიტიკური ბრძოლის პროცესში? — ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს მამუკა გიორგაძესთან.

***— ბატონო მამუკა, რა რეალობის წინაშე დადგა საქართველოს ხელისუფლება, რომელიც ეკონომიკურად ფაქტობრივად რუსეთის ხელშია, დასავლეთიდან კი სულ უფრო აქტიური კრიტიკა ისმის არადემოკრატიულობის კუთხით.***

— საქართველოს ხელისუფლება არის რუსული ადმინისტრაცია საქართველოში. რუსეთის სპეცსამსახურებმა მოიყვანა სააკაშვილი და მისი გუნდი საქართველოს ხელისუფლებაში და ისიც, ბუნებრივია, რუსეთს ემსახურება. ამასთან, ეს ხელისუფლება ემსახურება დასავლურ ინტერესებსაც, ოღონდ იმ ჩარჩოებში, რომელიც რუსეთმა განუსაზღვრა. აქედან გამომდინარე, არავის არ უკვირს არც დასავლეთში, არც პოლიტიკაში ჩახედულ ადამიანებს, რომ სააკაშვილი იქცევა ისე, როგორც უნდა იქცეოდეს რუსეთის მხრიდან მოყვანილი რუსული ადმინისტრაცია. საქართველო შემთხვევით არ ჩავარდნილა ამ მდგომარეობაში. სააკაშვილი გააზრებულად აკეთებს ყველაფერს, რომ ქართული პოლიტიკური სივრცე მთლიანად რუსულ სპეცსამსახურებს მიაბას.

***— რა არჩევანის წინაშე დგება საქართველოს ხელისუფლება სახელმწიფო დეპარტამენტის საკმაოდ კრიტიკული დასკვნის შემდეგ?***

— ეს დასკვნა, ისევე როგორც ენდიაის კვლევები, არ არის მიმართული მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს მოსახლეობისთვის. ის განკუთვნილია რუსეთისთვის, რომელიც ეუბნება ძალიან მოკრძალებულად და მორიდებულად: ვიცით, ბატონო, რომ



საქართველოს ხელისუფლებაში ჩანაცვლების მექანიზმები მხოლოდ და მხოლოდ თქვენ, რუსეთის სპეცსამსახურებს გაგაჩნიათ. მაგრამ გარკვეულწილად, თუ გინდათ, რომ ჩვენ რაღაც სპექტრით გავითვალისწინოთ, რაღაც ასპექტში გავითავისოთ ჩვენი პასუხისმგებლობა საქართველოზე, ისე ნუ მოიქცევით, რომ ჩვენ ჩვენს ამერიკელ ამომრჩეველთან სათქმელი აღარ დაგვიტოვოთ. ჩვენ თვალს ვხუჭავდით ბევრ რამეზე, მაგრამ თუ სააკაშვილი მესამე ვადით დარჩება ხელისუფლებაში, ამას ჩვენს ამომრჩეველს უკვე ველარ ავუხსნით. აი, ეს მიმართვაა, მეტი არაფერი. ამაში სხვა არაფერი არ წერია. დასავლეთი ეუბნება, ჩვენ ბევრ რამეზე თვალს ვხუჭავთ საქართველოში იმიტომ, რომ მექანიზმი არ გაგაჩნიათ, მაგრამ ნამეტანს ნუ იზამთო. სააკაშვილისთვის მესამე ვადით ყოფნაზე მხარდაჭერა გაგვიჭირდება. იმიტომ, რომ როდესაც ეგვიპტის დიქტატორს იცავდნენ, იქ არავინ არ ეუბნებოდა, რომ ხოსნი მუბარაქი — ეს არის დემოკრატიული ოაზისი. იქ ეუბნებოდნენ, რომ საჭიროა ექსტრემისტი მუსლიმანების შეჩერება და საჭიროა რეგიონში წესრიგი, მით უმეტეს, სუეციის არხის უსაფრთხოება. ამერიკელ ამომრჩეველს ესმოდა, რომ ეგვიპტის მმართველად მუბარაქი უნდა აიტანონ, როგორც პარტნიორი იმიტომ, რომ ეს პრობლემები არის მოსაგვარებელი. მაგრამ საქართველოს დიქტატორი, ტირანი ხელისუფლება რატომ უნდა აიტანოს, როდესაც მსოფლიო განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხები საქართველოში არ წყდება, როგორც თუნდაც ეგვიპტეში წყდებოდა. ამის ახსნა ძალიან გაუჭირდებათ ამერიკელ პოლიტიკოსებს თავიანთი ამომრჩევლებისთვის. სწორედ ეს მესიჯებია გაგზავნილი რუსული სპეცსამსახურებისა და პოლიტიკური ხელმძღვანელებისადმი. გვეუბნებიან, დასკვნები გააკეთეთო. სხვათა შორის, როცა ჯო ბაიდენი ჩამოვიდა, ქართველ საზოგადოებას მაშინ მთავარი მესიჯი უთხრა, გახდით ჩვენი პარტნიორი და ერთობლივად, ჩვენ მოგეხმარებით, რომ აქ სახელმწიფო ააშენოთ. როგორც ჩანს, დასავლეთმა ჩათვალა, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მას პარტნიორი უკვე აღარ ჰყავს და გადაწყვიტა, თავისი მექანიზმები აამუშავოს რუსეთთან მიმართებაში, რათა როგორმე ეს სივრცე მისთვის დახურული არ აღმოჩნდეს.

***— რაზე მიანიშნებთ, რომ დასავლეთმა, ამერიკამ რუსეთს მიანიშნა, საქართველოში ცვლილებების განხორციელების დროა?***

— ცვლილებების განხორციელების დრო რომ არის, ეს ვადით უწევს. სულ რაღაც 9 თვეში ახალი პოლიტიკური ძალები ახალი კონფიგურაციით უნდა დასხდნენ საქართველოში ანუ 9 თვეში საქართველოს ხელისუფლება ისედაც უნდა შეიცვალოს, ყოველ შემთხვევაში, ფორმალურად მაინც. მომავალი წლის ამ დროს უკვე გაქანებული პარლამენტის არჩევნები იქნება. ეს ის პარლამენტია, რომელმაც შემდეგ პრემიერ-მინისტრი უნდა დაამტკიცოს. ასე რომ, სულ რაღაც 9 თვეში საქართველოში ახალი კონფიგურაცია ფორმალურად მაინც უნდა დაჯდეს, მაგრამ ახლა არის საუბარი იმაზე, რომ კი ბატონო, თქვენ ვინც გინდათ, ის მოიყვანეთ. მოიყვანეთ თქვენი სატელიტი ჯგუფები. მოიყვანეთ რუსეთიდან მართული და საქართველოს ხელისუფლებიდან მართული სატელიტური ჯგუფები, რომლებიც პირდაპირ ჩამოთვლილი იყო. ოღონდ სააკაშვილი თვითონ ნუ იქნება ამ კონფიგურაციაში. ე.ი, პრაქტიკულად საუბარია იმაზე, რომ კი ბატონო, დარჩეს ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში, რადგანაც არ მოიძებნა ისეთი ძალა, რომელიც შეძლებს რუსული სივრციდან საქართველოს გამოყვანას ანუ დარჩეს ეს ხელისუფლება, ოღონდ ზედმეტი დისკომფორტი არ შეუქმნას მსოფლიო საზოგადოებას. ეუბნება, ბელორუსიაში რაც გააკეთეთ, საქართველოში იგივეს ნუ გააკეთებთ. ნუ გვაიძულებთ, რომ გადავხედოთ ჩვენს შეხედულებებს ამ რეგიონში პოლიტიკის წარმოებასთან დაკავშირებით. რადგანაც რუსეთის სპეცსამსახურებს აქ მექანიზმები ვერ შევუმცირეთ, ამერიკა რას იზამს, ჩვენს ნაცვლად ის, აქ, სახელმწიფოს ვერ ააშენებს.

***— ირაკლი ალასანიას განცხადებებში იკვეთება, რომ სააკაშვილის ქმედება შეშინებული ხელისუფლების ქმედებებს ჰგავსო. ოპოზიციის ნაწილს სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნიდან გამომდინარე, ამაოდ აქვთ იმედი, რომ დასავლეთი აქ რევოლუციური პროცესის შედეგად ცვლილებას მხარს დაუჭერს.***

— პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რომ ე.წ. საარჩევნო პროცესი და ე.წ. რევოლუციური პროცესი, ორივე ისეთი პროცესია, რომელიც სააკაშვილს აწყობს, საიდანაც საქართველოს სასიკეთო, ნამდვილად არაფერი გამოვა. არც ერთი ეს პროცესი საქართველოში არსებულ პრობლემებს არ მოაგვარებს, მაგრამ სამაგიეროდ ფართო საშუალებას აძლევს სააკაშვილს მანიპულირებისათვის და ბუნებრივია, რუსეთის სპეცსამსახურებს აძლევს ფართო საშუალებას მანიპულირებისათვის. ერთადერთი რეალისტური, სწორი გზა არის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა იმ მეთოდიკით, რომელიც კაცობრიობას გამომუშავებული აქვს, რომელიც აპრობირებული იყო საქართველოში თუნდაც ეროვნული მოძრაობის დროს, რომელსაც მხარს დაუჭერს ცივილიზებული სამყარო და რომელიც მინიმუამდე დაიყვანს რუსეთის სპეცსამსახურების და სააკაშვილის შესაძლებლობების გამოყენებას პოლიტიკურ ბრძოლაში. ორივე ეს პროცესი, რომელიც ამჟამად მიდის, გინდა ე.წ. მოლაპარაკების პროცესი და აქ მინდა პირდაპირ ვთქვა, რომ ის რვიანის პროცესი არ არის. იქ რვიანის გარდა, კიდევ შვიდი სახელისუფლო პარტიაა. ამიტომ თვითონ ის ფაქტი, რომ ამას წარმოგვიჩენენ, თითქოს ეს რვიანის მოლაპარაკებაა ხელისუფლებასთან, სწორი არ არის. იქ სხვა პარტიებია — თორთლაძის პარტიაა, ედპ და სხვ. ანუ სატელიტი პარტიები. ასე რომ, ეს პროცესი ითვალისწინებს ერთადერთ შეთანხმებას: 2012-2013 წლამდე საქართველოში არაფერი არ უნდა მოხდეს. აი, ამაზეა შეთანხმებული ყველა ის პარტია, რომელიც მოლაპარაკებების პროცესშია ჩართული. ეს შეთანხმება აწყობს სააკაშვილის რეჟიმს. ხოლო რაც შეეხება რევოლუციურ მოწოდებებს, არსად არ ხდება რევოლუციური პროცესი პატარა ქვეყანაში, თუ ეს პროცესი გარედან არ არის წარმართული. ე.ი. თუ რუსული სპეცსამსახურის ორგანიზებული არ არის, რევოლუცია ისე ვერ მოხდება. ეს ისტორიის კანონზომიერებაა. ორივე ეს პროცესი გინდა რევოლუციური და გინდა მოლაპარაკების, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ ვირტუალური ბრძოლა, უფრო სწორად, ბრძოლის იმიტაცია. შეიძლება ვილაცისთვის ეს ძალიან მწარედ დამთავრდეს, ვილაცისთვის ძალიან მტკივნეული იყოს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ეს არის ბრძოლის იმიტაცია. ერთადერთი ბრძოლა, ეს არის ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა და შესაბამისად, იმ მექანიზმების ამუშავება, რომელიც ამ დროს არის საჭირო. უპირველეს ყოვლისა, დავდივართ ჩვენ არა პიროვნებების წინააღმდეგ ბრძოლამდე, არამედ ღირებულებების ბრძოლაში გადაგვყავს მოვლენები. იქ კი, ბუნებრივია, გამარჯვება იმათ ექნებათ, რომლებიც იმ ღირებულებებისთვის იბრძოლებენ, რაც ქართული სახელმწიფოს მშენებლობას სჭირდება.

***— ანუ პროცესი, რომელიც იგივე სახალხო კრების თუ ქართული პარტიის მიერ იქნება წამოწყებული, რუსული ინტერესებით იქნება მართული? თქვენ ზემოთ რუსეთის სპეცსამსახურებზე გააკეთეთ მინიშნება.***

— ჯერ ერთი, ვინც ამას აპირებს, ისინი არ მალავენ. ნინო ბურჯანაძე არ მალავს, რომ რუსეთის სპეცსამსახურებია მისი მთავარი პარტნიორი და არც ოქრუაშვილ-კიწმარიშვილი მალავენ, რომ რუსეთია მათი მთავარი პარტნიორი. მე მინიშნება კი არ გავაკეთე, ამას თვითონ ეს ადამიანები ლაპარაკობენ და მათი პარტნიორები ლაპარაკობენ რუსულ დაფინანსებაზე და ა.შ. საბოლოო ჯამში, რუსული სპეცსამსახურების საბრძოლო ადგილად გადაიქცევა რუსთაველის გამზირი. სააკაშვილის ერთი სპეცსამსახური უჭერს მხარს, ე.წ. ოპოზიციურ ბანაკს — მეორე სპეცსამსახური და მოსკოვი გადაწყვეტს, ვინ იქნება გამარჯვებული რუსთაველის გამზირზე. სამწუხაროდ, ისევე როგორც 1991 წელს, ორი რუსული სპეცსამსახური ერთმანეთს რუსთაველის გამზირზე ეომებოდა და ჩვენ სამოქალაქო ომად მოვნათლეთ, არადა არანაირი სამოქალაქო ომი არ იყო. ორი რუსული სპეცსამსახური იბრძოდა საქართველოს გავლენის სფეროების მოსაპოვებლად და ფულის საშოვნელად. ასევე დღესაც ორი რუსული სპეცსამსახური ამისთვის იბრძვის. და თუ ვინმე ამ პროცესებში პატიოსანი და ჯანმრთელი ძალა მონაწილეობს, მან ეს უნდა გააცნობიეროს. შესაბამისად, მათ ეს საქართველოსთვის ბრძოლაში უნდა გადაზარდონ რუსული სპეცსამსახურების გავლენისთვის ბრძოლა. თუ ამას მოახერხებენ, შედეგი იქნება, თუ არა და ელემენტარულად, კვლავ მივიღებთ მორიგ სისხლიან დრამას ან დრამატულ სპექტაკლს, რომელშიც საქართველო იქნება წაგებული. კონკრეტულად: ვილაცა ხელისუფლებიდან წავა და ვილაცა მოვა, ეს უკვე მეასეხარისხოვანია.

***— თქვენ სისხლიანი დრამა ახსენეთ. ბურჯანაძეც და ქართული პარტიაც მიანიშნებენ, თუ ხელისუფლება ძალას გამოიყენებს, ადეკვატურ ძალას მიიღებსო.***

— მე ეჭვი მეპარება, რომ ეს მოხდეს თავისუფალ გარემოში. იმიტომ, რომ ტირანიის პირობებში, როგორც დღესა ვართ და მაშინ, როდესაც თითოეული ამ პარტიის პოლიტიკური ნაბიჯები ცნობილია ხელისუფლებისათვის, პარიზი რომ პარიზია, იქ ვერ დამსხდარან ცალკე ხელისუფლების თვალთვალის გარეშე სასაუბროდ. შეგიძლიათ დაუშვათ, რომ არსებობს ისეთი ბატალიონები და პოლკები საქართველოში, რომელიც ბურჯანაძეს ან ქართულ პარტიას ექვემდებარება? ეს ხომ გამორიცხულია. და თუ იარაღი გამოჩნდება, ისევ ხელისუფლების ნებართვით გამოჩნდება. ეს გამოჩნდება იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებას დასჭირდება, რომ ჯანსაღი პოლიტიკური ძალები გაიყვანოს ბრძოლის ველიდან, და მხოლოდ როგორც 91-92 წლებში მოედანზე დარჩა მათგან მართული ძალები, ისე წარმართონ აქ ვითარება. სად უნდა იყოს ეს სამხედრო შეიარაღება, მაინტერესებს. თუ ეს შეიარაღება მაისში უნდა გამოჩნდეს, დღეს, როცს ყველაფერი კონტროლს ქვეშ აქვს ხელისუფლებას და ერთ მილიმეტრიან წარმატებას ვერ მიაღწიეს ამ პოლიტიკურმა პარტიებმა პოლიტიკურ ბრძოლაში, როგორც თვითონ აცხადებენ, რა, გამოეპარათ ამ შეიარაღებული ბატალიონების და პოლკების არსებობა?! ეს ხომ აბსურდია. თუ ამ სისხლიანი დრამის გათამაშება დასჭირდებათ, ისევ ხელისუფლების ნებართვით და ისევ რუსეთის სპეცსამსახურების მონაწილეობით იქნება გათამაშებული. სწორედ ამიტომაც არის ე.წ. რევოლუციური სიტუაცია ძალიან საშიში და საფრთხილო.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

**დამფუძნებლები:** ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
**მთავარი რედაქტორი** – სოსო გოგინაშვილი
**რედაქტორი** – ლალი ასლანიშვილი
**რედაქტორის მოადგილე** – შორენა მარსაგიშვილი

**კონსულტანტები**
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
**საფინანსო სამსახური** – კლარა ბალავაძე

**სარეკლამო სამსახური** – 84-92-55
**გავრცელების სამსახური** – მერაბ ლეჟავაშვილი
**დირექტორი** – ზურაბ ბერიძე

**დაკაბადონება** – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

**მისამართი:** ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
**ტელეფონი/ფაქსი** 95-25-89
**ვებ-გვერდი** www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

ნონა ცაბა ე

**ქართული პარტიის ლიდერების პარიზული შეხვედრის შესახებ საკმაოდ ბევრს საუბრობენ. ითქვა ისიც, რომ ოქრუაშვილთან პარტიის დაფინანსების საკითხი გადაწყდა და ასევე სამომავლო გეგმები შეათანხმეს. ამ შეხვედრას, მები გაჩეჩილა ეების გარდა, ეროსი კიწმარიშვილი, გოგა ხაინდრავა და მაკა ასათიანის მეუღლე კონსტანტინე გოგელიაც ესწრებოდნენ. კულუარული ინფორმაციის თანახმად, სწორედ ეს უკანასკნელია ქართული პარტიის ირითადი დამფინანსებელი. ქართული პარტიის ლიდერები ამ თემაზე საუბარს თავს არიდებენ. „ახალი თაობა“ ამ ინფორმაციის გადასამოწმებლად რიგაში გოგა ხაინდრავას დაუკავშირდა.**

# საააკაშვილის რეჟიმს განაჩენი გამოტანილი აქვს

## გიორგი თარგამა ე იმიტირებული დემოკრატიაა



### გთავაზობთ ინტერვიუს გოგა ხაინდრავასთან

***— ბატონო გოგა, გასულ კვირას პარიზში ირაკლი ოქრუაშვილთან ქართული პარტიის ლიდერების შეხვედრა შედგა. გავრცელებული ინფორმაციით, ამ შეხვედრას თქვენც ესწრებოდით...***

— ეს არ არის ჭორი და გავრცელებული ინფორმაცია. ამ შეხვედრას ნამდვილად ვესწრებოდით როგორც მე, ისე კონსტანტინე გოგელია. ასევე იყვნენ ძმები გაჩეჩილაძეები, ეროსი კიწმარიშვილი და, რა თქმა უნდა, ირაკლი. პარიზში სულ ორი დღით ვიყავი ჩასული. არ დაგიმალავთ და ნამდვილად მინდოდა გამეგო მათი სამომავლო გეგმების შესახებ. მაინტერესებდა, მართლაც არიან თუ არა მზად, კანონის ფარგლებში ბოლომდე იბრძოლონ ამ ხელისუფლების შესაცვლელად. მე მაინტერესებს, რას აპირებს ზოგადად დანარჩენი ოპოზიციაც, რას აპირებს იგივე ზვიად ძიძიგური, ვთქვათ, კახა კუკავა. ასევე მაინტერესებს სახალხო კრების გეგმები და, იმედია, ორ მაისს მოვისმენ ამის შესახებ. აქედან გამომდინარე, ძალიან საინტერესო იყო, რას ფიქრობდნენ ისინი. ეს იყო ჩვენი შეხვედრის მიზანი.

***— თქვენ თქვით, რომ მაკა ასათიანის მეუღლე კონსტანტინე გოგელიაც ესწრებოდა ამ შეხვედრას. ითქვა, რომ სწორედ ის აფინანსებს ქართულ პარტიას...***

— მე ზუსტად ვერ გეტყვით, აფინანსებს თუ არა, მაგრამ ის, რომ ის იმ პროექტში მონაწილეობს, რომელიც გულისხმობს ამ ჯოჯოების და სახელმწიფო დამნაშავეების მოცილებას ხელისუფლებიდან, ეს ჩემთვის აბსოლუტურად ნათელია.

***— რა ინფორმაციები მიიღეთ ამ შეხვედრიდან?***

— ჩემთვის მთავარი იყო იმის გაგება, რომ ქართული პარტია მზად არის, საჭიროების შემთხვევაში, კომბალი აიღოს ხელში და კომბლებით გაყაროს ეს ვიგინდარები და კრიმინალები. დარწმუნებული ვარ, სხვა გზა არ არის, მაგრამ, რადგან მე არა ვარ პოლიტიკური პარტიის წევრი, ჩემთვის მსჯელობა, დასკვნების გამოტანა და მოწოდება ბევრად უფრო ადვილია. პოლიტიკურ პარტიას პოლიტიკური პასუხისმგებლობა აკისრია და ამიტომ მან ყველა გზა უნდა მოსინჯოს. დარწმუნებული ვარ, ეს წრე უკვე დამთავრებულია. იქ მოსასინჯი არაფერი არ არის. ეს არის სახელმწიფო დამნაშავეების ბანდა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არც ნებით და არც კონსტიტუციურად მითვისებულ ძალაუფლებას, მოპარულ, ნაძარცვ ძალაუფლებას არ დათმობს. ამიტომ მე ამის შესახებ ღიად ვუთხარი მათ და, პრინციპში, მივხვდი, რომ მათაც ესმით, სხვა გზა არ არსებობს. ერთადერთი გზა — ეს არის კომბლები და გაყრა ამ კრიმინალებისა იქ, სადაც მათ ელოდებათ ქართული მართლმსაჯულება.

***— ფიქრობთ, რომ ქართულ პარტიას ამის ძალა შესწევს?***

— მე ვფიქრობ, რომ ამის უნარი ქართველ ხალხს აქვს და ქართული პარტია მზად არის, შეუერთდეს ქართველი ხალხის ძალისხმევას. ვინ იქნება ახლა იქ ავანგარდში, ერთია ლაპარაკი და მეორე — ქმედება. ამას ვნახავთ ყველანი. ლაპარაკი ყოველთვის უფრო ადვილია, ვიდრე საქმის კეთება. ყოველ შემთხვევაში, ბევრ მათგანთან ერთად მე არაერთხელ ვმდგარვარ ბარიკადებზე და ვიცი, ისეთი ადამიანები, როგორებიც არიან სოზარ სუბარი, კოკა გუნცაძე, ძმები გაჩეჩილაძეები, ირაკლი ოქრუაშვილი, მზად არიან, ნაბიჯები გადადგან, თუნდაც ეს ნაბიჯები მათთვის თავგანწირვისა და რაღაცა პრობლემების შემქმნელი იყოს.

***— ბატონო გოგა, ოპოზიციის იმ ნაწილმა, რომელიც მზად არის, თქვენი თქმის არ იყოს, კომბლებით შეცვალოს ეს ხელისუფლება, ალბათ, უნდა მოახერხოს ერთიან პოზიციაზე შეთანხმება...***

— ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ქართულ რეალობაში ეს შეუძლებელია, იმიტომ რომ ერთმანეთთან დაპირისპირება და ერთმანეთის ფეხის დადება უკვე ტრადიციულ სპორტად იქცა საქართველოში. ერთმანეთის არგატანა ძველი სენია. თუმცა, მე ამაში ვერაფერს ვერ ვხედავ განსაკუთრებულს. ჩვენ არაერთხელ ვიყავით მოწმე იმისა, რომ ადამიანები, რომლებიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, მერე ერთად იდგნენ, ერთად იბრძოდნენ და მეტსაც გეტყვით, ერთად მონაწილეობდნენ იმ თავდასხმების მოგერიებაში, რომლებსაც ახორციელებდა ეს უკანონო და კრიმინალური დაჯგუფება სააკაშვილის მეთაურობით. ამიტომ, რა თქმა უნდა, არ არის კარგი, როდესაც ჩვენ გვესმის, რომ პოტენციური პარტნიორები ერთმანეთს ლანძღავენ და რაღაცა ცილს სწამებენ, მაგრამ ეს გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი არ არის. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ როგორც კი ქართველი ხალხი ქუჩაში გამოვა კომბლებით, ყველა პოლიტიკური ორგანიზაცია იქ დადგება და მეტსაც გეტყვით, ერთმანეთს დაასწრებენ მიკროფონებთან მისვლასა და წინა რიგებში ჩადგომას, ბუნებრივია, იმის გათვალისწინებით, ვინ რამდენად არის მზად თავგანწირვისთვის. აქვე მინდა ვთქვა, რომ თავგანწირვის გარეშე არაფერი გამოვა. ამიტომ ყველას, ვინც დღეს ხმამაღლა ლაპარაკობს, უნდა ესმოდეს, რომ ხმამაღალ ლაპარაკს უნდა მოჰყვებოდეს წინა რიგებში დოგმა. ეს ნიშნავს, რომ ყველაზე დიდი საფრთხე და საშიშროება ელოდებათ ზუსტად იმ ადამიანებს, რომლებიც მზად არიან, ეს პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღონ. ყველა პოლიტიკოსს, რომლებიც დღეს ბრტყელ-ბრტყელებს ლაპარაკობენ, იმედია, წინა რიგებში ვიხილავ, როდესაც ეს მომენტი დადგება.

***— ქართული პარტიის ლიდერები აცხადებენ, რომ ისინი მზად არიან, სახალხო კრებას ხელი გაუწოდონ, ითანამშრომლონ მათთან, ოღონდ ოქრუაშვილმა დააკონკრეტა, ნინო ბურჯანაძის გარეშე...***

— ეს ირაკლი ოქრუაშვილის პირადი აზრია. ეს არ არის ქართული პარტიის პოლიტიკური გადაწყვეტილება. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომლებიც დეკლარირებულია და იმ პრინციპებიდან გამომდინარე, რომლებზეც დაფუძნებულია ქართული პარტია, იქ ერთობლივი გადაწყვეტილება იქნება უფრო მნიშვნელოვანი, ვიდრე ნებისმიერი მისი წევრის აზრი. თუ ქართული პარტია გადაწყვეტს თანამშრომლობას ბურჯანაძესთან, დარწმუნებული ვარ, ირაკლი დაეთანხმება საერთო პარტიულ გადაწყვეტილებას. მაგრამ, ეს იმას არ გამორიცხავს, რომ ყველას თავისი აზრი ჰქონდეს ცალკეულ პიროვნებებთან თუ პოლიტიკურ ორგანიზაციებთან მიმართებით. მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. ყველას თავისი მოსაზრება აქვს. ჩვენ მივეჩვიეთ იმას, რომ ბელადები რასაც ღმუიან, იმას ღმუის ფარაც. ეს სააკაშვილის მაგალითზე ჩანს კარგად. ის, რისი მომსწრეებიც ჩვენ ამ უახლოეს წარსულში გავხდით, როდესაც აღმოჩნდა, რომ სააკაშვილი არის უნაკლო, მიშა უნაკლო — ახალი ტერმინი გაჩნდა პოლიტიკურ ისტორიაში. ამისგან განსხვავებით, ამ ორგანიზაციაში სხვადასხვა წევრებს სხვადასხვა მოსაზრებები აქვთ და ეს კარგია, მაგრამ მნიშვნელოვანია, როგორ დაექვემდებარებიან ისინი საერთო გადაწყვეტილებას.

***— მთავარია, რომ ამან მოლაპარაკებების პროცესს არ შეუშალოს ხელი...***

— ღმერთმა გისმინოთ. აბსოლუტურად მართალი ხართ, მთავარია, ამან საქმეს არ შეუშალოს ხელი, თორემ ყველას შეიძლება, თავისი აზრი ჰქონდეს. ახლა მაინცდამაინც ტკბილი დამოკიდებულება გარკვეულ პერსონებს ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე რომ არა აქვთ, ეს ისედაც კარგად ვიცოდით. საკუთარი მაგალითის მოყვანა ძალიან ადვილია ხოლმე. ყველას კარგად გახსოვთ, რომ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა თავის დროზე, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც მხილებული არიან რაღაც დაზვერვებთან თანამშრომლობაში, მე მგულისხმობდა და ეს იყო წმინდა წყლის ცილისწამება, ხელს არასოდეს ჩამოვართმევო და მეც ძალიან მკვახე განცხადებები მქონდა ბურჯანაძესთან მიმართებით. მიუხედავად ამისა, ჩვენ ერთად ვიდექით ძალიან მწვავე ადგილებში და მე მეამაყებოდა, როდესაც ნინოს ვუყურებდი სამმართველოს წინ, როგორ იქცეოდა ის. სამწუხაროდ ეს ჩვენი სენია, საერთო. ჯობია, ასე არ იყოს, მაგრამ ეს ხელს არ შეგვიშლის, რომ ერთად დავდგეთ ამ ბოროტების წინააღმდეგ საბრძოლველად.

***— თქვენ რამდენად აქტიურად ჩაერთვებით პოლიტიკურ პროცესებში, თუ აპირებთ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებას?***

— არანაირ მოლაპარაკებებში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებ და, საერთოდ, პოლიტიკური პროცესები საქართველოში არ არის. მე არაერთხელ მაქვს ამის შესახებ ნათქვამი, იმიტომ რომ საყაჩაღეთში, იმ ალიბაბა და 40 ყაჩაღთან პოლიტიკურ ენაზე ლაპარაკი ნიშნავს მგლის თავზე იმიტაციის კითხვას. ეს არის იმიტაცია პოლიტიკური პროცესისა და „რვიანი“ ამას აკეთებს. „რვიანს“ უფლება აქვს, გააკეთოს ის, რასაც საჭიროდ ჩათვლის. მე ამ სპექტაკლში მონაწილეობას არ ვაპირებ. ეს არის, ჩემი აზრით, აბსოლუტური უაზრობა. მე მივიღებ მონაწილეობას ბრძოლაში, როგორც კი დავინახავ რომ ქართველი ხალხი ამისთვის მზად არის, მისი ნაწილი მაინც და მეკომბლეების წინა რიგებში ვიდგები. ერთ-ერთი პირველი მეკომბლე საქართველოში მე ვარ და მზად ვარ, ეს როლი ბოლომდე შევასრულო.

***— „რვიანს“ მიაჩნია, რომ მათი მოლაპარაკებები საკმაოდ წარმატებულია და ისინი შეძლებენ ამ ხელისუფლების გაშიშვლებას...***

— ეს ხელისუფლება დიდი ხანია გაშიშვლებულია, უკვე „რვიანის“ გარეშეც. ამიტომ „რვიანის“ განცხადებები არასერიოზულია. რა გაშიშვლება უნდა. სააკაშვილი გაშიშვლებული კი არა, აყროლებულია. ეს მოლაპარაკებები მხოლოდ ხელს უშლის ამ პროცესს, რადგან ილუზიას ქმნის იმისას, რომ იქ რაღაცა მოლაპარაკებები არსებობს. ეს ევროპისა და დასავლეთის მხარდასაჭერად კეთდება უფრო, ვიდრე რეალურად რაიმე საქმისთვის. დარწმუნებული ვარ, ამ „რვიანის“ წევრებმა ჩემზე უკეთესად იციან, რომ არანაირი აზრი მერაბიშვილთან, ბოკერიასთან და მსგავს ტიპაჟებთან მოლაპარაკებას არა აქვს. იმიტაცია პროცესისა, ალბათ, საჭიროა დივიდენდებისთვის. მე ასეთი დივიდენდები არ მჭირდება, იმიტომ რომ ხელისუფლებაში არც დაბრუნებას და არც მოსვლას არ ვაპირებ. ისინი აპირებენ. სხვათა შორის, ლევან ბერძენიშვილის გამონათქვამები წავიკითხე. ლევანი ბრძენი კაცია და მანაც ასე თქვა, რომ რევოლუციის გამკეთებლები არიან ის ადამიანები, რომლებსაც პრეტენზია არ ექნებათ ძალაუფლებასა და ხელისუფლებაზე. ვისაც პრეტენზია აქვს ძალაუფლებასა და ხელისუფლებაზე და ვინც ფიქრობს, რომ ჩაანაცვლოს მერაბიშვილი და სააკაშვილი, ბოკერია და ადეიშვილი იმ სკამებზე, რომლებზეც ისინი სხედან, ბუნებრივია, ე.წ. პოლიტიკური მოლაპარაკებების გზით წავლენ. თუმცა, პოლიტიკური მოლაპარაკებების დროს შედეგის მიღწევა არ შეიძლება, ისევე, როგორც ლიბიაში, როგორც ყველა ქვეყანაში, სადაც ასეთი მახინჯი რეჟიმია ხელისუფლების სათავეში. ერთადერთი გზა არის კომბლები. ვინც ამისთვის მზად არის, ის ქართველი ხალხის მოწონებასა და მხარდაჭერას ჰპოვებს, ვინც — არა, ამას მომავალი თავისუფალი არჩევნები გვაჩვენებს.

***— დღეს აქტიურად საუბრობენ იმისი შესახებ, რომ ალასანია ხელისუფლების თამაშს თამაშობს. ამაზე რას ფიქრობთ?***

— ყველა თავის თამაშს თამაშობს. ხელისუფლების თამაშს ალასანია რატომ ითამაშებს? ალასანია თამაშობს თავის თამაშს, რაც გულისხმობს მოლაპარაკებების იმიტაციას, თითქოსდა პოლიტიკური პროცესის, ისევ ვიმეორებ, დასავლეთის მოსაწონებლად. ეტყობა, ვაშინგტონიდან მოდის ასეთი ინსტრუქციები. კლინტონისა და ამერიკის ელჩის განცხადებებში ეს უკვე ისმის. იქ ძალიან აქტიურობს შტრეიხბეხერი თარგამაძე, რომელიც ზუსტად მაგისთვის არის, რომ შექმნას დემოკრატიული პროცესების ილუზია საქართველოში. სწორედ ამისთვის უბოძა, გადმოუგდო ადგილი პარლამენტში სააკაშვილმა მას და მის კოლეგებს. დღეს ეს ილუზიები აღარ არის. რასაც ქალბატონი კლინტონი და ბატონი ბასი ლაპარაკობენ, ჩვენ ამას 4 წლის წინ ვამბობდით და კარგად მოეხსენებათ მათ, რომ ეს ესეა. მაგრამ მაშინ მსოფლიო პოლიტიკური კონიუნქტურა და ამერიკის ადმინისტრაციის კონიუნქტურა იყო ისეთი, რომ სააკაშვილი არის დემოკრატიის ჩირაღდანი. ამერიკამ დღეს დაიწყო იმის ლაპარაკი, რაც ჩვენთვის დიდი ხანია ნათელი იყო ყველასთვის, რის გამოც ძალიან ბევრი რამ წააგო თუნდაც რუსეთთან პაექრობაში. დასავლეთს ყოველთვის ასეთი მეძავური პოზიცია უჭირავს. მათ სააკაშვილი სჭირდებოდათ.

***— დასავლეთის ასეთი გააქტიურება ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მათ სააკაშვილი აღარ სჭირდებათ და მხარს აღარ დაუჭერენ?***

— სააკაშვილს განაჩენი უკვე გამოტანილი აქვს. ვისაც ელემენტარული პოლიტიკური განათლება აქვს, ამერიკულ განცხადებებში ეს ნათლად უნდა ამოიკითხოს. სააკაშვილის თემა დამთავრებულია. ახლა სხვა ვითარებაა. ბუნებრივია, მიდის გამალებული ძებნა, ვინ ჩაანაცვლებს სააკაშვილს. დღეს ამის მსურველი ბევრია. დღეს ქართველმა ხალხმა უნდა იპოვოს იმის ძალა, რომ საკუთარი მომავლისა და შვილების ბედი თავად გადაწყვიტოს და არა კრემლის ან ვაშინგტონის წინაშე პარტერში დგომით. დარწმუნებული ვარ, ეს მწარე გამოცდილება ქართველ ერს სწორი არჩევნის საშუალებას მისცემს. ჩვენ არც ამერიკის მონობა გვჭირდება და არც რუსეთის. ჩვენ გვინდა ჩვენი ქვეყნისა და მომავლის შენება. ძალიან რთული იქნება ეს, მაგრამ უნდა შევძლოთ.

***— ახლოვდება აქციების დაწყების პერიოდი. თქვენ თუ გაქვთ რაიმეს იმედი?***

— უკეთესი იქნებოდა, ეს ხელისუფლება აქამდე დაგვემთავრებინა. დღეს განაჩენი სააკაშვილის რეჟიმს გამოტანილი აქვს, ამიტომ, გამოვა ქართველი ხალხი ქუჩაში თუ არა, სააკაშვილი საქართველოში დამთავრდება. უბრალოდ, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინ იქნება მემკვიდრე. თუ ქართველი ხალხი საკუთარ თავში ძალას ვერ იპოვის და კომბლებს ხელს არ მოჰკიდებს, მაშინ შესაძლებელია რაღაც კოალიციები შედგეს, სადაც ბოკერიები, ბენდუქიძეები და მერაბიშვილები — ეს სახელმწიფო დამნაშავეები დარჩებიან. თუ ქართველი ხალხი ძალას იპოვის და დაუპირისპირდება ამერიკის მახინჯ პოლიტიკას საქართველოს მიმართ, რუსულ მილიტარისტულ პოლიტიკას და იპოვის ისეთ ვარიანტს, როდესაც ქართული ინტერესები იდგება პირველ ადგილზე, მაშინ შესაძლებელია, თუ არადა რა მონობასიც ვიყავით იმ მონობაში დავრჩებით. უბრალოდ სააკაშვილი აღარ იქნება. თუმც ეს არ არის ჩემი მთავარი ამოცანა რომ სააკაშვილი დამთავრდეს, საააკასვილი ისედაც დამთავრებულია მთავარია მერე როგორ გავაგრძელებთ ცხოვრებას და ვინ იქნებიან ის ადამიანები ვისაც ქართველები თავის ბედს და თავის სახელმწიფოს ბედს ჩააბარებს.

# ამ ხელისუფლებას ისევე გავუშვებთ, როგორც მოვიყვანეთ!

## რატომ ვერ პოულობს ოპოზიცია საერთო ენას?

ქეთი ხომერიკი

„ბურჯანაძეს არ უნდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ვინმეს წინაშე ჰქონდეს პასუხისმგებლობა. დიახ, მას არ უნდა, რომ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გარკვეული პასუხისმგებლობით იყოს დამძიმებული, რაც ყველაზე არასწორია. ახალი ბელადი, ადამიანი, რომელიც არ იქნება ვალდებული პოლიტიკურ სპექტრთან და საზოგადოებასთან, ხელისუფლებაში აღარ უნდა მოვიყვანოთ", — განაცხადა „ქართული პარტიის" პოლიტიკურმა მდივანმა ეროსი კიწმარიშვილმა.

***— „სახალხო კრებასთან" ბურჯანაძეს გარეშე ვითანამშრომლებთ, გუნცაძე კი ვის გაუწვდის თანამშრომლობის ხელს, მისი პირადი საქმეაო, განაცხადა ოქრუაშვილმა. რას ნიშნავს ეს განცხადება, ოქრუაშვილმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პარტიის ხელი მე ვარო, ან „სახალხო კრება" ბურჯანაძის გარეშე როგორ წარმოგიდგენიათ?***

— გახსოვთ ალბათ, რომ რამდენიმე თვის წინ სოზარმა სამოქალაქო და პოლიტიკური თანხმობა გამოაცხადა, ანუ ჩვენ, იმ პოლიტიკურ ძალებს და მოქალაქეებს, რომლებიც თვლიან, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება, თანამშრომლობის ხელი გავუწოდეთ. აი, ამ შეთავაზების ფარგლებში ჩვენ, ერთ მხარეს საქმე „სახალხო კრების" სახით ძლიერ წარმონაქმნთან, მეორე მხარეს კი, „ოპოზიციურ რვიანთან" გვქონდა. ჩვენ ვთვლით, რომ ისინი არიან ის ძირითადი მოთამაშეები, რომლებთანაც უნდა მოინახოს, ასე ვთქვათ, საერთო ენა. ჩვენ ვამბობთ, რომ პოლიტიკური და სამოქალაქო თანხმობა არის ის შეთანხმება, რომელზეც უნდა შევთანხმდეთ, შემდეგ კი დავსხდეთ და მოვილაპარაკოთ. მიუხედავად იმისა, რომ „ქართულ პარტიას" თავისი სამოქმედო გეგმა აქვს და იცის ქვეყანა კრიზისიდან როგორ უნდა გამოიყვანოს, მაინც მზად ვართ, რომ სხვებთანაც ვითანამშრომლოთ და გამოსავალი ერთიანი ძალით მოვიფიქროთ. ჩვენთვის არანაირი მინუს ფორმულები არ არსებობს. რაც შეეხება ოქრუაშვილის განცხადებას, მან ამით, უბრალოდ, დააზუსტა ერთი რამ და გეტყვით რაც. ჩვენ პოლიტიკური პარტიის დაფუძნებისას ერთ რამეზე შევთანხმდით, რომ სხვა პოლიტიკურ სუბიექტებთან ურთიერთობაში უფლებამოსილი პირი, რომელიც განახორციელებდა მოლაპარაკებებს, იქნებოდა სოზარ სუბარი. აი, ეს დააზუსტა ოქრუაშვილმა. რაც შეეხება ბურჯანაძეს, მასთან მიმართებაში ჩვენ არანაირი სახის მიუღებლობა არ გვაქვს, უბრალოდ, ვამბობთ ასეთ რამეს, თუ თანამშრომლობაზე ვთანხმდებით, მაშინ ერთი პირობა უნდა დავიცვათ. ეს არის 2007 და 2008 წლების 5 იანვარი. ჩვენ გვაინტერესებს, ამ თემებთან დაკავშირებით როგორია ბურჯანაძის შეფასებები, ანუ, ეს იყო თუ არა ის, რაზეც ვთქვათ, გაჩეჩილაძე საუბრობს. აი, ეს იყო ბურჯანაძისადმი ჩვენი შეთავაზება. აქ მე დიდ წინააღმდეგობას ან სამოქალაქო აჟიოტაჟის საფუძველს ვერ ვხედავ. რაც შეეხება „სახალხო კრებასთან" ჩვენ ურთიერთობას, აქ ჩვენ ცალსახა პოზიცია გვაქვს, ანუ, მზად ვართ გავარკვიოთ, რას აპირებს „სახალხო კრება" და ერთად შევთანხმდეთ სამოქმედო გეგმაზე.

***— ანუ, მას შემდეგ, რაც 2007-2008 წლებზე ბურჯანაძის შეფასებებს მოისმენთ, მზად იქნებით, რომ მას თანამშრომლობის ხელი გაუწოდოთ?***

— თუ ამ შემთხვევაში ბურჯანაძეც იგივე პოზიციაზეა, რაზეც ჩვენ, მაშინ მზად ვართ, ახლავე დავსხდეთ და გადავწყვიტოთ, როგორ და რა გზით გავუშვათ ეს რეჟიმი. იცით, ჩვენ ვერ ვგებულობთ და გვაბნევს ერთი რამ. თავდაპირველად ამბობდნენ, რომ ხელისუფლებას 25 ნოემბერს გაუშვებდნენ, ახლა ახალი თარიღი დათქვეს და ამბობენ, 2 მაისს გავუშვებთო, ანუ ვერ ვიგებთ რეალურად, რას და როდის აპირებენ.

***— 2 მაისს კი არ გავუშვებთ ხელისუფლებას, არამედ ბოლო, გადამწყვეტ ბრძოლაზე გადავალთ და კონკრეტულ სამოქმედო გეგმას დავდებთო, განაცხადეს „სახალხო კრების" წარმომადგენლებმა...***

— ჰოდა, გაგვაცნონ, ჩვენც ეს გვაინტერესებს და ამას ველოდებით. მე, ყოველ შემთხვევაში, გავიგე, რომ 2 მაისს ისინი რაღაცას ამთავრებდნენ, ასეთი იყო მათი თავდაპირველი განაცხადი. ახლა ვიგებ, რომ კი არ ამთავრებენ, არამედ რაღაცის დადების დაწყებაა. 2 მაისსაც და 22 მაისსაც, ან რომელიმე სხვა თარიღს, რომელსაც ისინი მომავალში გამოაცხადებენ, დიდი ინტერესით ველოდები.

***— ანუ, როდესაც გაიგებთ როგორია მათი სამოქმედო გეგმა, მაშინ გადაწყვეტთ ითანამშრომლებთ თუ არა?***

— არა, თუ საუბარი მოქმედების ერთიან ფრონტზე მიდის, მაშინ მათ გეგმებს პრესის ფურცლებიდან კი არ გავიგებთ, არამედ დავსხდებით, გავცვლით ხედვებს და გავარკვევთ იმას, ვთანხმდებით თუ არა მოქმედების სტრატეგიაზე და ა.შ.

***— და საერთოდაც, ბურჯანაძეს „ქართულ პარტიასთან" თანამშრომლობა უნდა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ თქვენ ერთმანეთს ებრძვით და რაღაცას ვერ იყოფთ...***

— იცით, სიმართლე გითხრათ, ვერ გავიგე, ბურჯანაძეს რა უნდა. რაც შეეხება ბრძოლას, ჩვენ მას ნამდვილად არ ვებრძვით. უბრალოდ, ჩვენ შორის რაღაც მომენტამდე არსებობდა გადაულახავი წინააღმდეგობა და მეტი არაფერი. ეს წინააღმდეგობა კი უკავშირდებოდა ბიწაძის მიერ გაკეთებულ სრულიად უპასუხისმგებლო განცხადებებს.



***— ანუ, რეალური მიზეზი, რის გამოც, ასე ვთქვათ, საერთო ენა ვერ იპოვეთ, ეგ იყო? ისე, ჩახუტებულები არც მანამდე ყოფილხართ...***

— რა თქმა უნდა, ეგ იყო რეალური მიზეზი. მოდით, ჯერ სისტემურ პრობლემებს და შემდეგ კი კონკრეტულ სუბიექტურ მომენტებს შევხედოთ და რაღაც-რაღაცეები გავიხსენოთ. ჩვენ, როდესაც „ქართული პარტიის" კონფიგურაციის შექმნას ვიწყებდით, ვთანხმდებოდით იმაზე, რომ ვერავინ ცალკე აღებული ვერაფერს ვერ გააკეთებს და ვთქვით, რომ მოდი, ჩვენს ამბიციებზე უარი ვთქვათ და ჩვენი ენერგია, ცოდნა და გამოცდილება ჩავდოთ ერთად. აი, მაშინ ჩვენ, ნინოს შევთავაზეთ, რომ ერთ-ერთი ჩვენთაგანი გამხდარიყო. მეტიც, ჩვენ მზად ვიყავით, რადგან მას გარკვეული პოლიტიკური წონა ჰქონდა და ახლაც აქვს, პარტიის თავმჯდომარის პოსტი მისთვის დაგვეთმო, თუმცა მისგან უარი მივიღეთ. დღეს ხშირად ისმის საუბრები მისი მხრიდან, რომ მაშინ ამას მთავაზობდით და ახლა რატომ აღარ მოგწონვართო. ჩვენ არ გვითქვამს, რომ ის იდეალური იყო და ეს იმიტომ შევთავაზეთ. საქართველოში არ მეგულება ადამიანი, რომელსაც პოლიტიკაში რაიმე ტიპის პრობლემა ან წარსულში, ან თუნდაც აწმყოში არ ჰქონდეს. საერთოდაც, იდეალური ადამიანები არ არსებობენ.

***— თუმცა იყო, ასე ვთქვათ, სუფთა წარსულის მქონე ერთი პოლიტიკოსი, რომელმაც, ოქრუაშვილის თქმით, ქალწულობა დაკარგა...***

— დიდი ხნის წინათ ისიც. ჩვენ ვუთხარით ბურჯანაძეს, რომ უარს ვამბობდით ცალკე აღებულ ჩვენს ამბიციებზე და იმაზე, რომ ჩვენ რაღაცაში ვართ უპირობო სტატუსში, ანუ ჩვენ ვინმეს უპირობო პრეზიდენტობის კანდიდატობაზე უარს ვამბობთ. ისევე, როგორც პრეზიდენტზე, რომელსაც არანაირი ვალდებულება პარტიის მიმართ არ ექნება. აი, ეს იყო ჩვენი შეთავაზების არსი და მან ამაზე უარი თქვა. რაზეც ჩვენ ვუთხარით, კი ბატონო, თუ როდესმე ურთიერთობის პერსპექტივა გამოჩნდება, მზად ვართ ვითანამშრომლოთ-თქო. ამის შემდეგ მისი მხრიდან იყო რამდენიმეთვიანი პაუზა. ამ პაუზის შემდეგ კი მისი მხრიდან იყო მუდმივი მცდელობა, ჩვენ შიგნით მოეძებნა რაღაც გარკვეული მექანიზმები, რომ კონკრეტულად ცალკეულ ადამიანებთან ეურთიერთა ისე, რომ პარტია არ წარმოქმნილიყო. ჩვენ ამაზე რეაქცია არ გვქონია. თუ ამოიღებთ შემოდგომის პრესას, თქვენ ნახავთ, რომ მაგ პერიოდში „სახალხო კრების" წარმომადგენლების მხრიდან მოდიოდა ლანძღვა-გინება ხან ჩემი, ხანაც ოქრუაშვილის მისამართით და ეს გრძელდებოდა ისე, რომ ჩვენ რეაქცია არ გვქონდა.

***— „სახალხო კრების" მისამართით პირველი მწვავე განცხადება, სწორედაც რომ ოქრუაშვილმა გააკეთა. ვგულისხმობ მის ცნობილ განცხადებას საპნის ბუშტივით გასკდომის შესახებ...***

— არა, ყველაფერი აგვისტო-სექტემბერ-ოქტომბერშია დაწყებული კრების წარმომადგენლების და ბურჯანაძის მხრიდან. ირაკლიმ კი პირველი განცხადება ნოემბერში გააკეთა და გეკითხებით მე თქვენ, ტყული თქვა? არა, ხომ. ოქრუაშვილს ის კი არ უთქვამს, რომ ისინი ცუდები არიან, მან თქვა, რომ ვწუხვარ, რომ ეს საპნის ბუშტი აღმოჩნდებაო. შემდეგ ამას მოჰყვა ის ცნობილი სენსაცია, რომელიც ბიწაძის მუცელღმერთული განცხადება იყო, რომლის შემდეგაც ჩვენ ძალიან გაგვიჭირდა ჩვენ თავში მოგვეძებნა რესურსი იმისათვის, რომ ასეთი ტიპის ბრალდებები არ შეგვემჩნია. და უკვე იმის შემდეგ, როდესაც „სახალხო კრების" მორიგი თარიღი გამოაცხადა ბურჯანაძემ, ჩვენ დავინახეთ, რომ ის გარკვეულ მცდელობებს აკეთებდა ჩვენი მიმართულებით და მთავარი მცდელობა მისი მხრიდან იყო ის, რომ ის სპეციალურად ცდილობდა ოქრუაშვილთან ჩვენ გარეშე შეხვედრას. ბურჯანაძე პარიზში სპეციალურად ჩავიდა და რამდენიმე დღე ოქრუაშვილთან შეხვედრას ელოდებოდა. მას ოქრუაშვილთან შეხვედრის დიდი სურვილი ჰქონდა.

***— თუმცა, ბურჯანაძე ამას უარყოფს, ის ხაზგასმით ამბობს, რომ ოქრუაშვილთან შეხვედრის მცდელობაც კი არ ჰქონია...***

— ის რას ამბობს, ეს მეორე თემაა. იცით, მას არა მარტო ოქრუაშვილთან სურდა შეხვედრა, არამედ ჩემთანაც, სოზართანაც და ა.შ. და აქ, ყველაზე საინტერესო იცით რა არის? ბურჯანაძეს სურვილი აქვს ითანამშრომლოს ცალკეულთან, ოღონდ არ შეიმჩნიოს პოლიტიკური ძალა და აი, ეს არის მისი შეცდომა.

***— ამით რის მიღწევას ცდილობს ბურჯანაძე?***

— ზუსტად იმის, რითიც საუბარი დავიწყეთ. ბურჯანაძეს არ აწყობს ისეთი პოლიტიკური კონფიგურაცია, რომელიც არის არაერთი ადამიანის პირობებსა და განწყობებზე, არამედ პოლიტიკური ბალანსისა და პოლიტიკური თანხმობის შედეგზე აგებული. ანუ, მას უნდა, რომ ჰქონდეს ცალკეულ ჩვენთაგანთან ურთიერთობა, მაგრამ არა ცალკე აღებულთან.

***— და რატომ?***

— რატომ და, მას არ უნდა, რომ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ვინმეს წინაშე ჰქონდეს პასუხისმგებლობა. დიახ, მას არ უნდა, რომ იყოს დამძიმებული გარკვეული პასუხისმგებლობით რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან, რაც ყველაზე არასწორია. ახალი ბელადი, ადამიანი, რომელიც არ იქნება ვალდებული პოლიტიკურ სპექტრთან და საზოგადოებასთან, ხელისუფლებაში აღარ უნდა მოვიყვანოთ. აი, ეს იყო ჩვენი ურთიერთობის ასპექტი და წინააღმდეგობა. ვიმეორებ, ბურჯანაძეს ჰქონდა მცდელობა ოქრუაშვილთან შეხვედრის. ოქრუაშვილმა კი ჩვენი საერთო შეთანხმების ფარგლებში უთხრა მას, რომ მზად ვარ შეგხვდე, ოღონდ ამ შეხვედრის წინ დგას წინააღმდეგობა, რომელიც უკავშირდება გაჩეჩილაძის პრობლემას და კიდევ იმ მოთხოვნებს, რაც ახლა დაასახელა კიდეც ირაკლიმ და აი, ეს ყველაფერი უნდა მოვხსნათო. ანუ, თავდაპირველად უნდა მოგვეხსნა ის ადამიანური ფაქტორი, რომელიც ჩვენ შორის იყო. ამისთვის კი საჭირო იყო მარტივი რამ, ბოდიშის მოხდა, ან ნებისმიერი სხვა ფორმის მოძებნა. ზუსტად ოთხი დღე იჯდა ბურჯანაძე პარიზში, ელოდებოდა ირაკლის და მან ვერ მიიღო ეს შეხვედრა. აი, ამის შემდეგ კი, სრულიად შემთხვევით, მიუნხენის აეროპორტში მოხდა ის ინციდენტი, რომელიც მოხდა და აი, იქ უკვე მოიხსნა ყველაფერი, მათ შორის ადამიანური წინააღმდეგობის მომენტი, რადგანაც გაჩეჩილაძემ მიიღო დაკმაყოფილება. და ჩვენ ბურჯანაძეს იმ წამიდან მივეცით თანხმობა შეხვედრაზე და შევთავაზეთ კიდეც პარიზში შეხვედრა. ჩვენ გვინდოდა დავლაპარაკებოდით ბურჯანაძეს, გაგვერკვია მომავლის სამოქმედო გეგმები და აი, ამაზე მისგან გაურკვეველი და ბუნდოვანი პასუხი მივიღეთ.

***— რას გულისხმობთ, რეალურად, შედგა თუ არა ეს შეხვედრა?***

— საბოლოოდ მას ის კონფიგურაცია, რომელიც იქნებოდა წარმოდგენილი, არ მოეწონა და ზუსტად მაშინ, როცა ჩვენ მას პარიზში ველოდებოდით, მან შეხვედრაზე უარი განაცხადა. აი, უკვე ამის შემდეგ ჩვენთან შეთანხმებით გააკეთა ირაკლიმ თავისი ბოლო განცხადება, რომელიც გამოცხადდა, როგორც თავდასხმა. რა თავდასხმა, რის თავდასხმა, ეს იყო პოლიტიკური განცხადება და მეტი არაფერი.

***— ამ ყველაფრის გათვალისწინებით რამდენად შესაძლებელია თქვენსა და ბურჯანაძეს შორის მოლაპარაკებების დაწყება თუ მომავალშიც თავდასხმების ახალ სერიებს უნდა ველოდოთ?***

— ხომ დააკვირდით თავდასხმების სერიას, სწორედაც რომ ბურჯანაძის მხრიდან არ შეწყვეტილა. სხვათა შორის, ადამიანურად მე მესმის ბურჯანაძის, რომელიც რთულ სიტუაციაში აღმოჩნდა. ვგულისხმობ იმას, რომ ის, როგორც პოლიტიკური ძალა, იზოლაციაშია, მას პარტნიორების დიდი წრე არ ჰყავს და მან თავისი ქმედებებით მოახერხა და განდევნა ყველა, ვინც კი მასთან იყო. გახსოვთ ალბათ, სანიკიძემ, ბესელიამ, ძიძიგურმა და სხვებმაც „სახალხო კრება" მის გამო დატოვეს. აი, სწორედაც, რომ ამის გამო აკრიტიკებს ოქრუაშვილი მას და ეუბნება, რომ როცა შენ არ ხარ მოლაპარაკებისუნარიანი, აყენებ ისეთ პოზიციას, რომლიდანაც ჩიხი წარმოიქმნება, ჩვენ უნდა გითხრათ ეს, ანუ „მოყვარეს პირში უძრახე"-ო. ჩვენ დღემდე ვთვლით, რომ ეს არის ქალი, რომელიც სააკაშვილის წინააღმდეგ ბრძოლაში უკან არც ერთი წამით არ დაიხევს. თუმცა, მან შეიძლება თავისი მოქმედებებით თავისი და ზოგადი საქმეც გააფუჭოს.

***— თუმცა, თქვენგან განსხვავებით მას თქვენს გულწრფელობაში ეჭვიც კი ეპარება...***

— მე არავისთვის არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ. სააკაშვილის სავარძელს რომ გადმოვაგდებთ ავლაბრის რეზიდენციიდან, გადმოგდების მომენტში იქნება იმდენი ხელი, რომ ამ სავარძელზე ხელის მოსაკიდი ადგილი არ იქნება.

***— და მაინც, როდის გადმოაგდებთ?***

— მალე, ძალიან მალე. ვიმეორებ, გადმოგდების მომენტში სავარძელზე ხელის მოსაკიდი ადგილი არ იქნება დატოვებული, ბევრი მოკიდებს ხელს, რომ აი, ჩვენც ვაგდებთ, ჩვენც აქ ვართო და არ მეშინია მე ამის. აი, აგერ არის ჩვენი ხელი, გთხოვთ ვითანამშრომლოთ, ერთად წავიდეთ, ოღონდ არა ისე უპირობოდ, როგორც ეს 25 ნოემბერს იყო.

***— „ქართული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ოპოზიციას შეურაცხყოფას აყენებს, მეორე — თანამშრომლობას სთავაზობს. ცოტა არ იყოს და გაუგებარია ეს ყველაფერი, ალასანიას რაღას ერჩოდა ოქრუაშვილი?***

— ოქრუაშვილის ყველა განცხადება პოლიტიკური ხასიათისაა და მას არა ლანძღვის, არამედ კრიტიკის ხასიათი აქვს. პოლიტიკური კულტურის ასპექტია, ვინ ლანძღვად, ვინ კიდევ კრიტიკად იღებს ამას. რაც შეეხება ქალწულობას, თუ ალასანია ნერვიულობს იმაზე, რომ ვინმე მას მამათმავლურ აქტს აბრალებს, ეს არის პოლიტიკური დისკუსიის ტერმინოლოგიით სრულიად კორექტული ნათქვამი. პოლიტიკური კულტურის და გამოცდილების სისუსტეა, როცა ადამიანი პოლიტიკურ კრიტიკას იღებს, როგორც შეურაცხყოფას და გადადის პრინციპზე — „სამ დურაკ". იცით, ჩვენ გავაკრიტიკეთ „რვიანი" და კრიტიკის საფუძველი კონკრეტულად ალასანია იმიტომ იყო, რომ ის ამ რვიანის ფორმატის გამოკვეთილი ლიდერია.

***— რატომ არის მაინცდამაინც ალასანია გამოკვეთილი ლიდერი და, საერთოდაც, ამ მოლაპარაკებებით დადგება რაიმე სახის შედეგი თუ „ოპოზიციური რვიანი" დროს ფუჭად კარგავს?***

— რეალურად ალასანია ახმოვანებს ყველა გადაწყვეტილებას, მათ შორის, საგარეოსაც. ალასანიას აშშ-დან ჩამოსვლამდე აიჭრა მოლაპარაკების ფორმატი და ის მაინც გაუგებარ განცხადებებს აკეთებს, არადა, ფორმატი დღეს, ფაქტობრივად, უმძიმეს სიტუაციაშია. საზოგადოებაც ხედავს, რომ მოლაპარაკება ჩიხშია და ვერანაირი კლინტონის განცხადება ლაზარეს ვერ გააცოცხლებს. რეჟიმს არ უნდა არაფრის დათმობა. მორჩა, დიაგნოზი დასმულია. ჩვენ რვიანს თანამშრომლობას ვთავაზობთ. იქ კი არის ადამიანი, რომელმაც მოლაპარაკების ვადები უკიდურეს წერტილში გადაწია. ეს ადამიანი ალასანიაა. დიახ, მან თქვა, რომ მოლაპარაკების დასრულების ბოლო ვადა მაისია.

***— ალასანიას თქმით, „რვიანი" ხელისუფლებასთან თავიდანვე შეთანხმდა იმაზე, რომ მოლაპარაკებები მაისის ბოლოს დამთავრდებოდა.***

— ჰოდა, ალასანია ვისთან რაზე შეთანხმდა, მე არ ვიცი. მე ვიცი, რომ რვიანის სხვა ძალებთან საუბრის დროს მოლოდინები სხვა ცვლილებების და ვადების იყო. კარგად გაიხსენეთ, როცა რვიანსა და ხელისუფლებას შორის წარმოიქმნა დაპირისპირება, უსუფაშვილი მაისის დასაწყისზე საუბრობდა, ის ამბობდა, აღდგომის შემდეგ აქტიურ მოქმედებებზე გადავალთ და ვადები დამთავრდებაო. მე ერთი რამ ვიცი და გარწმუნებთ, რომ ხვალ ეს პოლიტიკური ძალები ყველა ერთად ვიდგებით სააკაშვილის გასაშვებად ბოლო აქციაზე.

***— როდის აპირებთ კონკრეტულ მოქმედებებზე გადასვლას, ბატონო ეროსი?***

— ჩვენ უკვე გავაქტიურდით და მაისის თვე იქნება ძალიან ცხელი. იქნება ლოკალური და ნაციონალური აქციები, დაპირისპირებები სხვადასხვა მოედნებზე და სხვადასხვა მოთხოვნები. ამ წუთში ჩვენი მოთხოვნაა ამ რეჟიმის გასაშვებად ყველა პირობის უსწრაფესად დაყენება, ანუ რა იქნება ამა თუ იმ აქციის კონკრეტული ლოზუნგი, ამას იმ დღეს გეტყვით, როცა იმ კონკრეტულ აქციას გამოგიცხადებთ. მაგალითად, მაისის დასაწყისში ჩვენ ვიქნებით მზად იმისთვის, რომ ყვარლის, თეთრიწყაროს და გორის თემაზე აქციები გავმართოთ. რაც შეეხება ვადებს, გეტყვით, რომ ეს წელს არ გადაცდება, თუმცა თარიღებს ჯერჯერობით არ ვასახელებთ. ვიმეორებ, ხელისუფლებას წელსვე შევცვლით. სააკაშვილის და მისი პარლამენტის ხელისუფლებაში ყოფნის ვადა წელს დამთავრდება, არანაირ 2012 და 2013 წლებზე ჩვენ არ ვსაუბრობთ.

***— გვპირდებით, რომ ხელისუფლების წინააღმდეგ ბოლომდე იბრძოლებთ და უკან არ დაიხევთ?***

— რა თქმა უნდა, და მე, ჩემი პოზიციიდან გპირდებით ერთ რამეს: არც ერთი პროექტი, რომელიც დამიწყია, დაუმთავრებელი არ დამიტოვებია, უკლებლივ ყველა პროექტი ბოლომდე მაქვს მიყვანილი, შესაბამისად, ამასაც ბოლომდე მივიყვან.

***— ანუ, როგორც დაეხმარეთ დღევანდელ ხელისუფლებას მოსვლაში, ისევე წაიყვანთ?***

— დიახ და 2003 — 2008 წლებს, რომელსაც მე მიტრიალებენ, როგორც პრეტენზიას, ორივე წარმატებული იყო, ხომ? აი, შემდეგ რა მოხდა, ეს უკვე ცალკე თემაა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ეს იყო წარმატებული. ჰოდა, აი ახლაც წარმატებით დავასრულებ ამ ყველაფერს.

# შევარდნაძე ქობალიას ეუბნებოდა, სოხუმი გადავარჩინოთ და გადავდგებით

თეა მარხვაი

**აფხაზეთში ომის დაწყება რომ შეცდომა იყო, ამას დღეს ყველა აღიარებს. თავს იმით იმართლებენ, რომ რკინიგზა იძარცვებოდა და იქ ჯარის შეყვანა აუცილებელი იყო. ამ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს ყოფილ ვიცე-პრემიერ ავთო მარგიანს. მისი განცხადებით, ომი კიტოვანის გადაწყვეტილებას მოჰყვა. რა გადაწყვეტილება მიიღო კიტოვანმა, რას სთხოვდნენ აფხაზეთში მცხოვრები სვანები შევარდნაძეს, რატომ გაიბუტა გრაჩოვი, ამ თემებზე მარგიანი „ახალ თაობას" ესაუბრება.**

ავთო მარგიანი:

— სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე კიტოვანს კატეგორიულად აუკრძალეს აფხაზეთში ჯარის შეყვანა. ის არავის დაეკითხა და შეიჭრა სოხუმში. ახლა ამბობენ, რომ მაშინ მატარებლები იძარცვებოდა. ამ საკითხზე მაშინაც ბევრს საუბრობდნენ. როგორც მერე გავარკვიეთ, ეს ყველაფერი ტყუილი ყოფილა.

— ***რანაირად იყო ტყუილი?***

— ვიღაცას დასჭირდა ეს ტყუილი და გაითამაშა. ომამდე ცოტა ხნით ადრე ჩემთან ჩამოვიდნენ საშა წულუკიანი, ფრიდონ კვიციანი და დანიელ არღვლიანი. მთხოვეს, იქნებ შევარდნაძესთან შეგვიყვანოო. ამბობდნენ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ჯარის შეყვანა დაუშვებელიაო. ითხოვდნენ, ჩვენ მოგვეცით რკინიგზის დაცვის უფლებაო.

— ***შეახვედრეთ ეს ადამიანები შევარდნაძეს?***

— შევახვედრე. მათი წინადადება შევარდნაძემ კარგად მიიღო. ამ აზრზე იყვნენ სიგუა და იოსელიანიც. მხოლოდ კიტოვანი იწევდა სოხუმისკენ. სახელმწიფო საბჭომ მას ოფიციალურად აუკრძალა იქ შესვლა. ეგ კი მაინც შევარდა. აფხაზეთში რთული ვითარება იყო. ედუარდს უნდოდა იქ ჩასვლა და არძინბასთან დალაპარაკება. ისე აამღვრიეს წყალი, რომ ყველაფერი ჩაიშალა. მოიგონეს მატარებლების გაძარცვა. ამბობდნენ, ვითომ სომხებისთვის განკუთვნილი ტვირთების დატაცება ხდებოდა.

— ***თქვენ ამბობთ, რომ იმ წლებში სომხეთისთვის განკუთვნილი ტვირთები არავის დაუტაცებია?***

— ასე იყო.

— ***თუ ასე იყო, რატომ გვედავებოდნენ სომხები მილიარდებს?***

— კაცო, ჩემი უფრო გჯერათ თუ სომხების? გეუბნებით, რომ არაფერი არ იძარცვებოდა. ამ საკითხით სერიოზულად დავინტერესდი. რუსებს დავეკითხე. მათ ვერ მაჩვენეს დოკუმენტები, რომ სომხეთში ტვირთები იგზავნებოდა. ამ საკითხის წამოწევა ვიღაცას უნდოდა. ძალიან ცუდი რამე იყო ჩადებული. ეტყობა, უნდოდათ, რომ ქართველები და სომხები დავტაკებოდით ერთმანეთს. ეს არ გამოუვიდათ, საბედნიეროდ ომში აღმოვჩნდით ჩართულები. კიტოვანი საქმეს კარგად ვერ უძღვებოდა. ვითარების გამოსასწორებლად შევარდნაძემ კიტოვანი თავდაცვის მინისტრობიდან გადააყენა. მის ნაცვლად ყარყარაშვილი დანიშნა. ეს ამბავი კიტოვანმა უშიშროების საბჭოს სხდომაზე გაიგო.

— ***როგორი რეაქცია ჰქონდა?***

— საშინელი. გარეთ გავარდა და ყვიროდა.

— ***რას ყვიროდა?***

— შევარდნაძეს საფლავში ჩავყვებიო. მასთან მივედი და ვცადე, დამეწყნარებინა. ის ისევ ყვიროდა, საფლავში ჩავყვებიო. მერე მეც დავიღალე და ვუთხარი, ჩაყოლა არ გინდა, იქ დახვდი-მეთქი.

— ***კიტოვანს ომის დაწყებას სხვებიც აბრალებენ. ეს ცოტა დაუჯერებელია. არ შეეძლო ვითომ შევარდნაძეს მისი შეჩერება?***

— მისი შეჩერება ძნელი იყო. შეიარაღებულ ძალებს ის აკონტროლებდა. ისე, რომ იცოდეთ, თენგო ცუდი ბიჭი არ იყო. ხლაფორთებში ეხვეოდა. სიბოროტე არასდროს გამოუმჟღავნებია. ახლა ცოტა ცუდად იქცევა. შევარდნაძეზე და სხვებზეც ტყუილებს ამბობს. ყველამ ძალიან რთული დრო გამოვიარეთ. საშინელებები ხდებოდა და იმ დროზე კიდევ ტყუილების მოყოლა როგორ შეიძლება. „იმელის" პარლამენტში ვინც ვიყავით, დეპუტატობა კი არ გვიხაროდა, გულდამძიმებულები ვიყავით.

— ***ამის მიუხედავად, მაინც მხიარული პარლამენტი იყავით....***

— მხიარულების რა გითხრათ, მაგრამ მრავალპარტიული არჩევნები კი გვქონდა. მაშინ საქართველოში დემოკრატიული არჩევნები ჩატარდა. შედეგად პარლამენტში 33 პარტია შემოვიდა. ამის მიუხედავად, პარლამენტი კარგად მუშაობდა. მრავალაზროვანი კი იყო, მაგრამ მიზანი ერთი ჰქონდა.

— ***რა იყო ეს მიზანი?***

— საქართველოს გამოყვანა რთული ვითარებიდან. მაშინ საქართველო ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იდგა.

— ***იმ პარლამენტში ბევრი ბრაზიანი პოლიტიკოსი იყო. ყველაზე მეტად ნერვებს ვინ გიშლიდათ?***

— მე არავინ არ მიშლიდა ნერვებს. ამ პარლამენტში დიდხანს არ დავრჩენილვარ. მალევე გადამიყვანეს მთავრობაში. ისე, ოპოზიცია მაშინ ძალიან აქტიურობდა. სახელისუფლებო გუნდშიც რაღაც კომბინაციები თამაშდებოდა.

— ***რა კომბინაციებზე საუბრობთ?***

— ის ძალები, რომლებიც დღეს არიან ქვეყნის სათავეში, რაღაცისთვის ემზადებოდნენ.

— ***რისთვის ემზადებოდნენ?***

— შევარდნაძის ჩასანაცვლებლად.

— ***ამას შევარდნაძე ვერ ამჩნევდა?***

— ედუარდს მაშინ იმდენი საქმე ჰქონდა, სად ეცალა ამათ ინტრიგებზე დასაკვირვებლად, თანაც მათი ინტრიგები მაშინ თვალშისაცემი არ იყო. ყველა თავისი საქმით იყო დაკავებული. ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდებოდა. საჭირო იყო რაღაცის გაკეთება. სერიოზულად განიხილებოდა დსთ-ში შესვლის საკითხი. ამ საკითხით მე ძალიან ვიყავი დაინტერესებული.

— ***რატომ იყავით დაინტერესებული?***

— ვხედავდი, რომ სხვა გამოსავალი არ გვქონდა. დსთ-ში შესვლაზე პირველმა მე დავეკითხე, ჩავედი მინსკში და ხელი მოვაწერე გაერთიანებას.

— ***რა გაერთიანებას? არ თქვათ ახლა, რომ დსთ-ში საქართველო თქვენ შეიყვანეთ...***

— შეყვანით მე არ შემიყვანია. მე მნიშვნელოვან დოკუმენტს მოვაწერე ხელი.

— ***რა დოკუმენტი იყო?***

— ამ დოკუმენტში ეკონომიკურ გაერთიანებაზე იყო საუბარი.

— ***ეს როდის მოხდა?***

— 1993 წლის მარტში.

— ***გამოდის, რომ თქვენ ჯერ კიდევ ომის დასრულებამდე შეიყვანეთ დსთ-ში საქართველო...***

— მე მინდოდა, ეს კონფლიქტი დსთ-ის ეგიდით გადაწყვეტილიყო. ყველაფერი კარგად იყო. მახსოვს, ერთ-ერთმა გაზეთმა ჩემზე ასეთი რამე დაწერა: „მარგიანი ამერიკაში, საქართველო — დსთ-ში".

— ***ამერიკაში წახვედით მართლა?***

— აბა, მხოლოდ ესენი კი არ დადიან ამერიკაში. სხვა თუ არაფერი, მე რეიგანს ვგავარ.

— ***ამის გამო წახვედით ამერიკაში?***

— ხორბალს დავდევდი. გახსოვთ, ალბათ, რა პერიოდი იყო. ბიუჯეტში ფული არ გვქონდა, რომ ხორბალი გვეყიდა. აქეთ-იქით დავდიოდით, ხორბალი რომ გვეშოვა.

— ***რადგან ხორბალზე ჩამოვარდა საუბარი, ერთ რაღაცას გკითხავთ. ამბობენ, რომ მაშინ თქვენ და ანზორ ბურჯანაძემ ბევრი ხორბალი შეჭამეთ. მართალია?***

— მოდით, დავიწყოთ იმით, რომ მე და ანზორ ბურჯანაძე არ ვჭამთ ხორბალს. ჩვენ ვჭამთ პურს. მან ძალიან კარგად იმუშავა. რა შევჭამეთ ერთი, გვითხრან. უფასოდ გვაქვს შემოტანილი 360 ათასი ტონა ხორბალი.

— ***ხორბალზე აღარ გვინდა და ისევ აფხაზეთს მივუბრუნდეთ. ამბობთ, მინდოდა, დსთ-ის ეგიდით გადაწყვეტილიყო ეს საკითხიო...***

— ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. 1993 წლის 19 სექტემბერს უკვე აშკარა იყო, რომ აფხაზეთი იკარგებოდა. ამიტომ ჩავედი მოსკოვში. მეგობრები მყავს იქ ბლომად. ერთი მათგანი ოლეგ სასკავიცია. ვიცე-პრემიერის პოსტი ეკავა და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს კურირებდა. შემახვედრა ელცინს. ელცინს სვანები და მათ შორის მეც ძალიან ვუყვარდი.

— ***რატომ უყვარდით ელცინს სვანები?***

— ახალგაზრდობაში სვანეთში იყო ნამყოფი. მე ადრეც მოგიყევით, რომ ანწლის არაყი მოეწონა. მოსკოვში რამდენჯერმე ჩავუტანე. ძალიან უყვარდა ქართული კონიაკი. განსაკუთრებით მოსწონდა „ვარძია". ელცინი ლომი იყო, მაგრად სვამდა.

— ***მაგრად როგორ სვამდა, მისი სიმთვრალე ბევრჯერ გვინახავს...***

— მაგის სიმთვრალე ახალგაზრდობაში უნდა გენახათ... იცით, როგორ სვამდა? ორ ბოთლს დალევდა და ვერაფერს შეატყობდი. მერე მოწამლეს.

— ***ვინ მოწამლა?***

— მასონებმა.

— ***რას ერჩოდნენ?***

— იმას, რომ რუსეთი მასონებს გამოსტაცა. ამას შეარჩენდნენ? მოწამლეს.

— ***და მის შემცვლელად პუტინი მოიყვანეს?***

— პუტინი მაგათი მტერია. მასონები ისეთ ვინმეს ამზადებდნენ რუსეთის პრეზიდენტად, მტრისას.

— ***მოდით, ისევ ომს დავუბრუნდეთ. ელცინთან შეხვედრის დროს რა გადაწყვიტეთ?***

— მე ვუთხარი, რამენაირად დაგვეხმარეთ აფხაზეთის საკითხის მოგვარებაში-მეთქი. კი ბატონოო, მითხრეს.

— ***მერე, რატომ არ დაგეხმარნენ?***

— დახმარება დაავალეს გრაჩოვს. ის ჰოსპიტალში იყო და მკურნალობის პატარა კურსს გადიოდა. როგორც კი სთხოვეს, სასწრაფოდ გადაფრინდა ადლერში. იქ უნდა შეხვედროდა ედუარდს. მე სასწრაფოდ დავურეკე ვაჟა ლორთქიფანიძეს. ის აპარატის უფროსი იყო. მას ედუარდთან კავშირი ჰქონდა. ვუთხარი, დაჯავშნული ვერტმფრენი ჩამოვა და ადლერში იმით ჩამოფრინდეს-მეთქი.

— ***დაუჯავშნავი ვერტმფრენით ვერ ჩაფრინდებოდა?***

— როგორ არა, მაგრამ საშიში იყო. მანამდე ედუარდს რამდენიმე ტერაქტი მოუწყვეს. ამიტომ ვამჯობინეთ, ადლერში დაჯავშნული ვერტმფრენით გადაგვეფრინა. შეხვედრაზე მან თან წამოიყვანა ბათიაშვილი და ყარყარაშვილი. დაიწყო მოლაპარაკება. გრაჩოვმა ამათ უთხრა, ახლა მე დსთ-ის ეგიდით შემოვიყვან 2 დივიზიას და 48 საათში ჩაგაბარებთ აქაურობას, მერე გადავალ ყარაბაღშიო. ბათიაშვილი უარზე წასულა, უთქვამს, თუ ამას გააკეთებთ, მე გადავდგებიო. გიაც აიყოლია მერე, ყარყარაშვილი. შევარდნაძე და ახალგაზრდა მინისტრები ერთმანეთში ქართულად კამათობდნენ. გრაჩოვი მიხვდა, რომ ვერ თანხმდებოდნენ, თქვა, ნახევარი საათით „პერეკურზე" გავედიო. უკან რომ დაბრუნდა, ნახა, რომ ვერ მოილაპარაკეს. გაბრაზებული წავიდა. სამწუხაროდ, შევარდნაძემ ვერ შეძლო ჩვენი ახალგაზრდების გადარწმუნება.

— ***ცოტა დაუჯერებელია, რომ შევარდნაძემ მათ გაუწია ანგარიში.***

— თავდაცვისა და უშიშროების მინისტრების წინააღმდეგ რომ მიდიან, არ არის ლამაზი. ედუარდს არ სურდა, ამ საკითხს კიდევ რამე დაპირისპირება მოჰყოლოდა. ამიტომაც დაეთანხმა მინისტრებს. გრაჩოვი ძალიან გაბრაზებული იყო. მან საგანგებო დავალება მისცა კოლესნიკოვს.

— ***რა დავალება?***

— რა დავალება და განცხადება გააკეთებინა, ათქმევინა, ერთ კვირაში დაეცემა სოხუმიო. არადა, ამ კაცს საქართველო ძალიან უყვარს.

— ***ეს სიყვარული ამ განცხადებით დაამტკიცა?***

— მართლა ძალიან უყვარს ქართველები. ცოლიც ქართველი ჰყავს, ტყიბულიდან.მისი განცხადებიდან ერთ კვირაში მართლაც დაიკარგა სოხუმი.

— ***ამით ნათლად ჩანს, რომ აფხაზეთი რუსებმა დაგვაკარგვინეს.***

— რუსები არ ჩართულან. მათ აფხაზებსა და ჩრდილოკავკასიელებს გაუხსნეს გზა. გრაჩოვთან მოლაპარაკებების ჩაშლის შემდეგ მე მოსკოვიდან სასწრაფოდ გამოვფრინდი. იქ რაღა გამაჩერებდა, როცა აფხაზეთი იკარგებოდა. ადლერში მომცეს კომეტა. ამ კომეტით წავედი ოჩამჩირეში და დავბინავდი ხუტა გუგუჩიას ბინაში.

— ***ვინ იყო ხუტა გუგუჩია?***

— ოჩამჩირის გამგებელი. იმ პერიოდში გამსახურდიას მომხრეებს ოჩამჩირესთან გზა ჰქონდათ გადაკეტილი, ჩვენს სამხედროებს არ ატარებდნენ სოხუმისკენ. არადა, სოხუმს ძალიან უჭირდა. დავიწყე მოლაპარაკებები ქობალიასთან, ელიავასთან. ასლან აბაშიძე ძალიან აქტიურად იყო ჩართული.

— ***რა მხრივ იყო ჩართული?***

— ყველაფერს აკეთებდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები გაერთიანებულიყვნენ. გამგებლის კაბინეტში გვქონდა მოწყობილი შტაბი. 200 კაცი სვანეთიდან ჩამოვიყვანე. ქობალია გავიყვანე სალაპარაკოდ ედუარდთან. საუბარს ესწრებოდნენ კიტოვანი და ელიავა. რაციით მიდის ლაპარაკი. ედუარდი ეუბნება ქობალიას: ვახტანგ, შვილო, გავერთიანდეთ ახლა, გადავარჩინოთ სოხუმი და მერე, თუ გინდათ, გადავდგებიო. თენგიზა ეუბნება აქედან, კიტოვანი: „ახლა გახდა, არა, მამაშენი?". მეგონა რომ ხუმრობდა. მაგრამ ბოღმა ჰქონდა გულში. ვერ მოინელა, რომ მოხსნეს. ამის გამო ის დღესაც ბოროტ ინტერვიუებს იძლევა, ამტკიცებს, გამსახურდია შევარდნაძემ მოაკვლევინაო. ეს სიცრუეა. ედუარდს არ უნდოდა ზვიადის სიკვდილი. მე რამდენჯერმე მთხოვა, მოლაპარაკებაზე წავსულიყავი. კიტოვანი სხვებზე საერთოდ რა უფლებით ლაპარაკობს, როცა თავად დაამხო გამსახურდია. ეს ძალიან ცუდი რამე იყო. ცუდი იყო, რომ ვერ შევძელით პირადი ამბიციების დაძლევა, ვერ გავერთიანდით და ვერ ვუშველეთ სოხუმს. რა მოხდა აფხაზეთში, ამას ისტორია აუცილებლად იტყვის, ისევე, როგორც იმას, რომ შევარდნაძე ბუშებმა გადააგდეს.

— ***რატომ გადააგდეს?***

— იმიტომ რომ მათ ნება-სურვილს არ დაემორჩილა.

— ***რა სურვილს?***

— ამერიკას საქართველოში თავისი ჯარის ჩაყენება და ირანზე დარტყმა უნდოდა. ეს საქართველოსთვის სასიკვდილო განაჩენი იყო. ედუარდი არ დათანხმდა და იმათაც მოიშორეს ხელისუფლებიდან, თანამდებობა დააკარგვინეს. მაგრამ ეს არაფერია. მთავარი ის არის, რომ მან საქართველო გადაარჩინა.





გულიკო ბალა ე

**სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათა ე 18 წლის ასაკში, სტუდენტობის დროს ბეთანიაში მოინათლა.**

ფილოსოფიის ინსტიტუტში მუშაობის დროს, ღრმა კომუნისტური ულმერთობის ხანაში, ნოდარ ნათაძემ შეძლო თავის წიგნში სხვადასხვა თვალსაზრისით ქრისტეს ქადაგებები მიეწოდებინა საზოგადოებისთვის.

ნოდარ ნათაძე გვიყვება, ქრისტეს ქადაგებების შესახებ წიგნის გამოცემის შემდეგ, როგორ ცდილობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელმძღვანელობა აკადემიაში შექმნილი ანტირელიგიური კომისიის თავმჯდომარედ დანიშვნაზე დაეყოლიებინათ.

***— ბატონო ნოდარ, თქვენ კომუნისტების დროს ცხოვრობდით და ფილოსოფიის ინსტიტუტშიც მუშაობდით. მოგეხსენებათ, კომუნისტების პერიოდი ულმერთობის ხანა იყო. თქვენ როდის მოინათლეთ?***

— მე 19 წლის ასაკში მოვინათლე. მე და ჩემი და ერთად მოვინათლეთ. ვინც ჩვენ მოგვნათლა, წმინდანადაა შერაცხული. ახლა მსოფლიოში არც ერთი ზრდილობიანი ავტორი სიტყვა „ათეიზმს“ არ ხმარობს. მე გამოვუშვი წიგნი, რომელშიც გადმოვეცი ქრისტეს ქადაგებები. ჩემმა ჯგუფელმა რეზი თვარაძემ მითხრა (ის ცოტა ხანს ცეკაში მუშაობდა), „ნაკადულში“ მიდი, იქ თემები აქვთ დასამუშავებელიო და მივედი. ერთი თემა იყო, „შენ და შენი ამხანაგები“. მე დავწერე თემა, „შენ და სხვები“, რომელიც შემდეგ პოპულარული ბროშურის ფორმით გამოვეცი. ძალიან ორიგინალური და ძალიან კარგი ბროშურა გავაკეთე მორალის თემაზე. ის სერგი წულაძემ წაიკითხა. მეორე თემა იყო, „ვინ იყო ქრისტე?“ ამაზე გავაკეთე ექვსფორმანახევრიანი წიგნი და „ნაკადულში“ დავბეჭდე, მაგრამ სათაური შეუცვალეს, „მითი და სინამდვილე“ დაარქვეს. ათასგვარი ლიტერატურა მოვიძიე. ძალიან კარგი მონაცემები შევაგროვე — სახელობათა ისტორია, მონაცემები ქრისტეს ცხოვრებაზე, პირველად ვინ ახსენებს და ა.შ. პირველად ქრისტეს კაციტუსი ახსენებს. ქრისტეს ქადაგებების გადმოსაცემად ეს ფორმა გამოვიყენე. მაშინ საქართველოში სულ რამდენიმე ცალი სახარება არსებობდა, ისიც ძველი ტექსტებით. სახარება ბოლოს 50-იან წლებში იყო გამოცემული.

***— ამ დროს საზოგადოებას ქრისტეს ცხოვრება, ქადაგებები აინტერესებდა?***

— რა თქმა უნდა. ამ გზით მე მოვნახე ფორმა, მათთვის ქრისტეს ქადაგებების შინაარსი მომეთხრო. ხან ვითომ ტექსტოლოგიის, ხან ვითომ ლიტერატურული ფორმით, ხან — შინაარსის თვალსაზრისით, შევძელი ქრისტეს ქადაგებების ამ წიგნში გადმოცემა. მაშინ ცხონებული ზურაბ ჭავჭავაძე საპატრიარქოში მუშაობდა და მითხრა, შენი გამოცემული წიგნი პატრიარქს მოეწონაო.

ამ წიგნთან დაკავშირებით კომიკურ ამბავს მოგიყვებით. ამ წიგნის ავტორი რომ ვიყავი, აკადემიაში მოინდომეს, ჩემთვის რაღაც ანტირელიგიური საბჭოს თავმჯდომარეობა აეკიდებინათ, რომელიც მაშინ შექმნეს. ხაფანგები დამიგეს.

***— დათანხმდით?***

— არა. როგორ გგონიათ, დავთანხმდებოდი? მერე დამზვერეს, როდის ვიყავი სამსახურში და გაიგეს, რომ ფილოსოფიის ინსტიტუტის ერთ მივარდნილ ოთახში ვმუშაობდი. იქ დარეკეს, ვითომ დირექტორთან — ნიკოსთან რეკავდნენ.

***— ვინ დაგირეკათ იცით?***

— ვინც დარეკა, მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ვასო ფრანგიშვილი იყო, მამაჩემის კოლეგა, ფსიქოლოგი. ის ხმაზე ვიცანი. ვასო ფრანგიშვილმა დამირეკა და მითხრა, აკადემიაში მოდი, ვილაპარაკოთო. მივედი და მითხრეს, შენ მეცნიერი კაცი ხარ, მღვდლისა გჯერაო? ჩვენ მეცნიერულ ენაზე ლაპარაკი დაგვავიწყდაო და ა.შ. მე აკადემიის ანტირელიგიური საბჭოს თავმჯდომარეობაზე უარი ვუთხარი და წამოვედი. შემდეგ სია დაბეჭდეს. თავმჯდომარედ გელა ბანძელაძე დასვეს, მაგრამ მე წევრად ჩამწერეს. აკადემიაში დავურეკე და ვუთხარი, რატომ ჩამწერეთ ანტირელიგიური საბჭოს წევრად-მეთქი. თქვენ ხომ თავმჯდომარეობაზე მითხარით უარი და არა წევრობაზეო? უარი არ მითქვამს, მაგრამ არც დაგთანხმებივართ-მეთქი. იძულებული გავხდი, განცხადება დამეწერა ორ ცალად. ერთზე დავარტყმევინე ბეჭედი, მეორე წამოვიღე და აკადემიის პრეზიდენტს მივუტანე. მაშინ პრეზიდენტის მოვალეობას ევგენი ხარაძე ასრულებდა. განცხადებაში ვწერდი: არ ჩამთვალოთ ანტირელიგიური საბჭოს წევრად-მეთქი. შემდეგ დამანებეს თავი.

***— ე.ი. კომუნისტებისთვის ეს იყო პიროვნების „გაფუჭების“ ერთი გზა?***

— დიახ. შემდეგ პერიოდში შევარდნაძემ, თავისი იდიოტობის შესაბამისად, დაიწყო კამპანია „მოძველებული წეს-ჩვეულებების“ წინააღმდეგ, საქელეხე ქვაბებში ნავთს რომ ასხამდნენ და მსგავს რაღაცეებს აკეთებდნენ გურიაში.

***— ქელეხები რომ არ გადაეხადათ?***

— დიახ. ამ კამპანიის უზრუნველსაყოფად, ჩვენთან, ფილოსოფიის ინსტიტუტში, პარტმუშაკების მთელი ბრიგადა მოვიდა და წინადადებების ჩამოყალიბება დაიწყეს. მე ვუთხარი, 300 კაცი, არაგველები, მთავარ სალოცავ ლომისაზე ავიდნენ (ეს მეც მეკუთვნის, მეც ლომისას ყმა ვარ), რომელიც მდებარეობს უღელტეხილზე, არაგვის ხეობასა და ქსნის ხეობას შორის. თითომ თითო ცხვარი შესწირა. სამასი ცხვრის შეჭმას 3 ათასი კაცი ხომ უნდოდა. 300 არაგველმა იმ 3 ათასი კაცის წინაშე ფიცი დადო. შემდეგ 300 არაგველი თბილისში ჩამოვიდა და რა გააკეთეს, ხომ იცით. თქვენ რა გაქვთ იმის შემცვლელი, ასეთ შედეგს რომ მიაღწიოთ-მეთქი. პარტმუშაკების ბრიგადა ინსტიტუტიდან კუდამოძუებული გავუშვით. ძალიან ცნობილი პიროვნებები იყვნენ. მათი გვარები რომ დაგისახელოთ, გაგიკვირდებათ, არ დაიჯერებთ, ისეთი მოღვაწე ხალხი იყო მოსული.

***— ვინ იყვნენ, გვარებს არ დაასახელებთ?***

— არა.

***— პარტიულ დავალებებს ასრულებდნენ?***

— პირადად შევარდნაძის დავალებებს ასრულებდნენ. ისე, წმინდა მეთოდოლოგიურად, როდესაც მორწმუნე კაცი ეკამათება ურწმუნოს, მორწმუნე კაცი იგებს. ვთქვათ, ფიზიკოსი, ქიმიკოსი. ფიზიკოსები ურწმუნოები არ არიან. ქიმიკოსი უფრო ხშირად ურწმუნოა. ფიზიკოსი ეუბნება მორწმუნეს, მე მეცნიერი კაცი ვარ და დასაბუთებული ცოდნა მინდა, ანუ მე რწმენა არ მინდა, მინდა ცოდნა. რასაც შენ მეუბნები, იმას ექსპერიმენტით თუ არ შევამოწმებ, ისე ვერ დავიჯერებ. მორწმუნე ეუბნება, შენ ხომ მორწმუნე ხარ, დედამიწაზე შაურიანს რომ გავაცხელებთ, ხომ ფიქრობ, რომ მარსზეც გაფართოვდება, ხომ ფიქრობ, რომ იქითა გალაქტიკაშიც გაფართოვდება, სადაც არ უნდა წავიდეთ, იქ გაფართოვდება? რა თქმა უნდა, ვფიქრობ. ე.ი. შენ მეცნიერებაში ემყარები იმ პოსტულატს, ანუ დაუსაბუთებელ წანამძღვარს, რომ სამყარო არის ერთგვაროვანი. რაც აქ ხდება, იგივე ხდება იქითაც და იქითაც. თუ შენ 18 გალაქტიკა შეამოწმე, რა იცი, რომ მე-19-შიც ასეა, მილიარდობით გალაქტიკაა. ე.ი. ეს შენთვის არის რწმენა. იძულებული ვარ ვაღიარო, რომ შენთვისაც ეს არის რწმენა. მე ჩემი რწმენა ამას და ამას მაძლევს. შენ შენი რწმენა რას გაძლევს? ასე რომ, მორწმუნემ მოიგო.

***— ამ დროს საბჭოთა კავშირის პერიოდში ურწმუნოების ინდუსტრია იყო. იმ ეპოქაში ადამიანებს, მგონი, უცხოპლანეტელების უფრო სწამდათ, ვიდრე — ქრისტესი. ისე, შეიძლება უცხოპლანეტელები იყვნენ?***

— უფრო მეტი ალბათობაა, რომ არიან, ვიდრე არ არიან. იმ პერიოდში, როდესაც მე დავიბადე, გავიზარდე, სკოლაში დავდიოდი, ათეისტები იყვნენ სახელმწიფო იდეოლოგები. ისინი ყოველთვის დებილებად იყვნენ მიჩნეული.

***— ეკლესიაში ჩუმად დადიოდით?***

— რატომ ჩუმად? მინდოდა წავიდოდი, მინდოდა — არა. ქართველ საზოგადოებაში ასეთი კაციჭამიური დამოკიდებულება არ იყო.

***— მორწმუნეებს არ სდევნიდნენ? პირადად ჩემ თავზე არ გამომიცდია, მაგრამ გამიგია, რომ მორწმუნეებს სდევნიდნენ. ეკლესიაში შემსვლელებს აგენტები არ ჰყავდათ მიჩენილი და სპეცსამსახურებს ისინი აღრიცხვაზე არ აჰყავდათ?***

— რა თქმა უნდა, აგენტურის მეტი რა იყო, მაგრამ პირადად მე ის აგენტურა სულ ფეხებზე მეკიდა ყოველთვის. ერთხელ ჩემ ძმაკაცს მარტყოფში გავყევი. იქიდან სოფელ ახალსოფელში წავედით. იქ დიდი ეკლესიის ნანგრევები ვნახეთ, მეტრონახევრიანი კედელი ჰქონდა. ეკლესიის ნანგრევებთან ბებრები ისხდნენ. მათ რაღაც შელაპარაკება მოუვიდათ და ერთმა მეორეს უთხრა: შენ არ იყავი, ამ ეკლესიას რომ ანგრევდიო? ასე ერთმანეთს ეუბნებოდნენ, შენც ხომ იყავი, შენც ხომ იყავი, შენც ხომ იყავიო... თურმე ეს ეკლესია 1924 წელს დაუნგრევიათ და ისინი ამ ეკლესიის დანგრევაში მონაწილეობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი შემთხვევები ცოტა იყო. გურიაში კი მასობრივად დაანგრიეს. ჩემმა ძმაკაცმა დაიცვა დისერტაცია. მისი ნათესავები ჩამოვიდნენ. მათ შორის, ერთი სკვინჩასავით ქალია, ათას რაღაცას ყვება და ამბობს: მღვდელი იყო და ჩავქოლეთ.

***— თავს იქებდა?***

— დიახ. ვკითხე, რატომ ქალბატონო-მეთქი? ხალხს ატყუებდაო.

***— თქვენ როგორ გადაწყვიტეთ მონათვლა?***

— 19 წლის ვიყავით, ბიჭები და გოგონები ბეთანიაში ავედით. იქ კაკი მოსაშვილი იყო მღვდელი. მაშინ ახალგაზრდა გახლდათ. ინსტიტუტიდან გამოვიდა და ეკლესიაში წავიდა. შემდეგ მოწამეთაში მსახურობდა, ეპისკოპოსი გახდა. მან გოგონებს დაუწყო საუბარი, მოინათლეთო. გოგონები შემობრუნდნენ და მკითხეს, მოვინათლოთო? უჩემოდ ვერ წყვეტდნენ... მე ვუპასუხე, მოვინათლოთ-მეთქი.

***— სტუდენტები იყავით?***

— დიახ. მე და ჩემი და მეორე კურსზე ვიყავით გადასულები. იქ კიდევ სხვებიც იყვნენ. ოთხი მონათლული აღმოჩნდა, ოთხი — მოუნათლავი. მამა გიორგი მხეიძემ მოგვნათლა, რომელიც წმინდანადაა შერაცხული. ვუთხარით, როგორ უნდა მოგვნათლოთ, ფული რომ არ გვაქვსო. გვიპასუხა, საიდუმლო ფულზე არ განისყიდებისო. მოგვნათლა ისე, რომ ერთი სიტყვაც კი არ გამოუტოვებია ტექსტიდან.

***— ალბათ, ამ პროცესმა თქვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.***

— ჰო. მღვდელმა ნათლობის მთელი ტექსტი, კაკალ-კაკალ, დამარცვლით, ზეპირად წარმოთქვა, რომელიც მეხსიერებაში ჩამრჩა. ამიტომ მე პირდაპირ ვშფოთდები, როცა ვხედავ, მღვდელი ტექსტს ჩქმალავს, ან ისე წარმოთქვამს, ვერაფერს გაიგებ.

***— ბატონო ნოდარ, პირველად ფიზიკურად, აჭარაში, სხალთის ეკლესიაში გნახეთ. თქვენ იქ სხვებთან ერთად რაფით მოხვედით...***

— დიახ, რამდენჯერმე ვიყავი მას შემდეგ, რაც 1989 წელს სხალთის ტრაგედია მოხდა. ბეთანიაში კი ბევრჯერ ვიყავით. ერთხელ მამაჩემი და დეიდაჩემი წავედით. ქედიდან დავინახეთ ბეთანია. საერთოდ, იქ ეკლესია ისეა მიფარებული, რომ არსაიდან ჩანს, მაგრამ ჩვენ ქედიდან დავინახეთ. იქ მამა ივანე (მაისურაძე) და მამა გიორგი იყვნენ. ბეთანიაში ერთხელ, მეორე მსოფლიო ომის დროს, მე და მამაჩემი წავედით. ჩვენ იმ დროს რადიო არ გვქონდა. არ ვიცოდით, რა ხდებოდა. გარე სამყაროს მოწყვეტილი ვიყავით. მაშინ ჰიტლერმა თბილისშიც ჩამოაგდო ბომბები.

***— რამდენი წლის იყავით?***

— მაშინ 16 წლის ვიყავი (1943 წელს). ჩავედით ბეთანიის ეკლესიაში და ბერებმა გვითხრეს, იტალიაში მეორე ფრონტი გაიხსნაო. მათ რადიო ჰქონდათ და მოისმინეს. ჩვენ კი არაფერი ვიცოდით.

***— სტალინის დამოკიდებულებას ეკლესიისადმი როგორ აფასებთ? ზოგიერთი სტალინისტი მის პერიოდში ეკლესიების ნგრევას უარყოფს. თქვენ რას იტყვით?***

— სტალინმა დაამთავრა სასულიერო სემინარია და სოლიდური სარწმუნოებრივი რელიგიური განათლება მიიღო. მაგრამ რომ ვინმემ თქვას, ეკლესიას სტალინის ბრძანების გარეშე ებრძოდნენო, ეს, რა თქმა უნდა, ტყუილი იქნება. ომის დროს მან დაინახა, რომ ხალხი მასობრივად ეკლესიისკენ მობრუნდა. ამიტომ ამას სანქცია მისცა.

***— სტალინმა ხალხის ეკლესიისკენ შემობრუნებას რატომ მისცა სანქცია, ომის იმ ქარცეცხლიან დღეებში ხომ არ გაუჭირდა და ეკლესიის მხარდაჭერა ხომ არ უნდოდა?***

— ალბათ.

# ეკლესიაში სიარულს კომუნისტები არ გვიშლიდნენ



**ვინ შესთავაზა ნოდარ ნათა ეს ანტირელიგიურ საბჭოში მუშაობა**

**ერთხელ ჩემ ძმაკაცს მარტყოფში გავყევი. იქიდან სოფელ ახალსოფელში წავედით. იქ დიდი ეკლესიის ნანგრევები ვნახეთ, მეტრონახევრიანი კედელი ჰქონდა. ეკლესიის ნანგრევებთან ბებრები ისხდნენ. მათ რაღაც შელაპარაკება მოუვიდათ და ერთმა მეორეს უთხრა: შენ არ იყავი, ამ ეკლესიას რომ ანგრევდიო? ასე ერთმანეთს ეუბნებოდნენ, შენც ხომ იყავი, შენც ხომ იყავი, შენც ხომ იყავიო... თურმე ეს ეკლესია 1924 წელს დაუნგრევიათ და ისინი ამ ეკლესიის დანგრევაში მონაწილეობდნენ. აღმოსავლეთ საქართველოში ასეთი შემთხვევები ცოტა იყო. გურიაში კი მასობრივად დაანგრიეს.**

ნათია ხურცილავა

# სულიერი მარხვა მუდმივად გრძელდება

## ინტერვიუ იოანე ღვთისმეტყველის სახელობის ტაძრის დეკანოზ, მამა გიორგი სხირტლაძესთან

***— მამა გიორგი, რა არის აღდგომა ადამიანისთვის და თუ სწვდება მას ადამიანური გონება?***

— აღდგომის თემა ჩვენში მიუწვდომელ, გამოუთქმელ, მიუახლებელ, შეუცნობელ სიყვარულსა და სიხარულს ბადებს, რასაკვირველია, პირველ რიგში — სარწმუნოების იმედის დიდ გრძნობას. რაც არ უნდა ინტელექტით ვიაზროვნოთ და ვიფიქროთ, თუ რა არის აღდგომა, გონებრივად, ჩვენი ინტელექტუალური შესაძლებლობებით ვერანაირად ვერ გავაანალიზებთ და ვერ დავასაბუთებთ მას. თუმცა, რა თქმა უნდა, სალი აზრით დასაბუთებადია, მაგრამ აპრიორულად უნდა ვირწმუნოთ და აპოფატურად განვიცადოთ ის, რასაც ჰქვია ღვთისმეტყველებითი, გამოცდილებითი აღდგომის შეგრძნება. ეს ადამიანმა უნდა განიცადოს სიხარულის გრძნობით, დიდი იმედის გრძნობით, არა ჭამისა და სმისა, ხალხში აღრევისა, წრეგადასული ღრეობისა, არამედ სიხარული გამოუთქმელი, იდუმალი, მისტიკური ღმერთთან ურთიერთობისა. ვიმეორებ, ვერანაირი ინტელექტუალური, თუნდაც მჭვრეტელობითი გონებრივი თუ წმინდა ცხოვრება ვერ განჭვრეტს და ვერ იაზრებს აღდგომის დიდ საიდუმლოს. ეს არის მხოლოდ-დამხოლოდ განცდა, გრძნობა, რა თქმა უნდა, შემეცნებაც, მაგრამ პირველ რიგში ეს ყველაფერი რწმენის შედეგია. აღდგომის საიდუმლო პირდაპირ რწმენასთან არის დაკავშირებული. აღდგომა არის ის, რასაც ყველა თავის დროზე განვიცდით ანუ მეორედ მოსვლის შემდეგ, როდესაც იქნება აღდგომა ყოველთა ცხოველთა და მკვდართა. აღდგომა არის ყოველთათვის სავალდებულოდ განცდადი საიდუმლოება, რასაც ჩვენ მომავალში განვიცდით, მაგრამ, სანამ განვიცდით, ჩვენგან პირველ რიგში ამის რწმენა მოითხოვება და არა ინტელექტით გააზრება. თუმცა, არც ეს არის გამორიცხული. სარწმუნოებრივი მიდგომა უპირატესია, რადგან რწმენა ბადებს ჩვენში შეგრძნება-თანაგანცდა-გრძნობას. რწმენა ბადებს ცოდნის შესაძლებლობას მომავალში. ცოდნა მოგვეცემა მაშინ, როდესაც აღდგომის რწმენა გვექნება. რა თქმა უნდა, ქრისტეს აღდგომა ჭეშმარიტია. რადგან ქრისტე ჭეშმარიტად ძე ღვთისაა, გვწამს და გვჯერა, რომ ის არა მხოლოდ განკაცდა, მოვიდა სრული კაცი და სრული ღმერთი, არამედ ჯვარს ეცვა, როგორც სრული კაცი და აღსდგა, როგორც სრული ღმერთი. ამაში მდგომარეობს ჩვენი სარწმუნოების ქვაკუთხედი, გასაღების გასაღები. რომ არა ქრისტეს აღდგომა, მაშინ მისი მისია, მისი ღვთივგამოცხადებული სწავლება, საერთოდ ქრისტიანობა, როგორც ღვთივგამოცხადებული რელიგია, იმ სამეუფეო მსახურებით არ იქნებოდა დაბეჭდილი, რომელიც მან აღდგომით დაბეჭდა, მართალია, სხვა სასწაულებითაც, მაგრამ ყველაზე უპირატესი აღდგომაა. ადამიანებს ყველაზე უფრო მთავარი ბეჭედი, ბეჭედთა ბეჭედი მისი სამეუფეო-საღმრთო მსახურებისა მოგვცა. ეს არის არა სამწელიწად-ნახევარი, მიწაზე ხილულად მსახურება მოწაფეთა და ხალხთა შორის, მკვდრების აღდგენა (მათ შორის, ოთხი დღის მიცვალებული ლაზარე), არამედ, ეს არის მისი აღდგომა. ამით გვიჩვენა, რომ არა მხოლოდ სხვებს აღადგენდა მკვდრეთით, არამედ თვითონ არის აღდგომისა და სიცოცხლის წყარო, რომ ჩვენი არსებობის პრინციპი ღმერთშია. რადგანაც ღმერთი აღსდგა და უკვდავია, ამიტომ ჩვენც უკვდავნი და აღდგომადი ვართ. რადგანაც ღმერთი გვიყვარს, იმიტომ გვიყვარს ერთმანეთი. რადგანაც ღმერთი გვიყვარს, იმიტომ ვართ უკვდავნი. ჩვენ დამოუკიდებელი უკვდავება არ გვაქვს. ჩვენ დამოკიდებული უკვდავება გვაქვს, მაგრამ დამოკიდებული ღმერთზე. რადგან იგი მარადიულია, ჩვენც მარადიული ვართ, თუმცა, ქმნილი მარადიულობაა. ბევრი შეიძლება ვისაუბროთ აღდგომაზე და არაფერი ვთქვათ. ბევრი შეიძლება გაჩუმდეს და მდუმარედ განიცადოს აღდგომის სიხარული და ამით ბევრი რამე თქვას. მთავარი ის არის, რომ ზებუნებრივი, ზეპიროვნული, უნივერსალური სასწაულის, რომელიც არც ერთ რელიგიაში არ არის, მოწმენი ვართ. არავინ არავისთვის ჯვარს არ ცმულა, არავინ არავისთვის ჯოჯოხეთში არ ჩასულა და მიცვალებულთა სულები არ ამოუყვანია, არავინ არვისთვის მკვდრეთით არ აღმდგარა და არ გამოცხადებია ათობით ათას ადამიანს. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, პირველ რიგში აღდგომის მოწმენი ისინი გახდნენ, რომელნიც მას ებრძოდნენ და მის საფლავს ყარაულობდნენ. წმინდა მამები ამბობენ, რომ სწორედ ისინი გახდნენ პირველი მქადაგებლები ნებსით თუ უნებლიეთ.

***— როგორ უნდა აღვნიშნოთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული?***

— პირველ რიგში უნდა ვიფიქროთ და გავიაზროთ არა ჭამითა და სმით, არა ღრეობით, არა სასაფლაოებზე გასვლითა და გაუგებარი, ზოგჯერ ფოლკლორში გადასული რიტუალებით აღვნიშნოთ, არამედ გავიაზროთ ფხიზელი გონებით, არა მთვრალი გონებით, მარხვის შემდეგ ნაშიმშილარი მუცლის ერთბაშად აღვსებით, არამედ ვეცადოთ, ზომიერებით გავიაზროთ აღდგომა. ფიზიკური მარხვის შემდეგ სულიერი მარხვა უნდა გაგრძელდეს.

***— სულიერი მარხვა გრძელდება?***

— სულიერი მარხვა მუდამ გრძელდება და მუდმივად მოგვეკითხება.

***— აღდგომა სიხარულის განცდაა?***

— აღდგომა, პირველ რიგში, იმედია. მართლმადიდებელი ეკლესიის მრწამსში მოცემულია, რომ ღმერთი მამა, ძე და სულიწმიდა არის ჩვენთვის მოსული (ვინც ქრისტე იხილა, მან იხილა მამაც და სულიწმინდაც) და გამოგვიხსნა ჯვარცმითა და აღდგომით. აღდგომა არის იმედი, ბრწყინვალე ფაქტი, რომ ჩვენც უკვდავნი ვართ და აღდგომადნი. ადამიანს ეძლევა უზარმაზარი სასოება, რომ ის არასოდეს მოკვდება, რომ ის ქრისტესთან ერთად მარადიულ ცხოვრებას ეზიარება. ზოგიერთი ადამიანი თავის თავს, „მე“-ს, პირად ცხოვრებას აიგივებს თავის ფიზიკურ სხეულთან და ფიქრობს, რომ სიკვდილთან ერთად ქრება, სხეულის დამარხვის შემდეგ არარაობას მიეცემა. როდესაც წარმართები აკლდამებს აკეთებდნენ, აკლდამა დავიწყებას ნიშნავდა. ეს იყო დავიწყების სიმბოლო. ძველ აღთქმაში იყო სადუკევლების მიმდინარეობა, რომლებიც სულის უკვდავებას არ აღიარებდნენ, მაგრამ აღდგომა მათთვისაც საოცარი ღვთივგამოცხადებული ჭეშმარიტება იყო. წარმართებზე აღარ ვსაუბრობ, რადგან ისინი ადამიანის ხსოვნის დაკარგვაზე, უძირო უფსკრულზე, აჩრდილთა ჰადესში გადასვლაზე საუბრობდნენ. ყველა მოასწავებდა ჯოჯოხეთს, წყვდიადს, ადამიანის პიროვნულ გაქრობას, მაგრამ ქრისტემ ამ სიბნელიდან და წყვდიადიდან გამოიყვანა ადამიანები. აღდგომა, პირველ რიგში, უდიდესი დოგმატია, უდიდესი ცოდნის წყარო, რა თქმა უნდა, სარწმუნოების, მაგრამ, როგორც შედეგი, რწმენას უმალ მოჰყვება ცოდნა. რისი ცოდნა? რასაც მართლმადიდებელი სარწმუნოების დოქტრინა გვასწავლის. ქრისტეს, როგორც მეუფესა და შემოქმედს ადამიანისა და სამყაროსი, აქვს გასაღები სამოთხისა და ჯოჯოხეთის. ზოგადად ის ფლობს სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოს. უფალს, რომელიც ქმნის, თვითონვე აქვს ძალა, რომ ქმნული მისი ფიზიკურად მოკვდავი აღადგინოს მარადიული ცხოვრებისთვის. ვისაც აღდგომა არ სწამს, მან თავისი თავი მის ფიზიკურ სხეულთან არ გააიგივოს მხოლოდ. ფიზიკური სხეული მიწაა და მიწად იქცევა, მაგრამ, მოვა ჟამი, როდესაც სხეულიც



აღსდგება, როგორც შეუძლია ღმერთს, ადამიანთა სულები ქვებისგან აღადგინოს, ქვა პურად აქციოს, არაყოფიერი ყოფიერში მოიყვანოს. მეტყვით, სული უკვდავიაო, მაგრამ მაშინ რაღაა სხეულებრივი აღდგომა, რისთვის ვიბრძვით, რატომ ვიწმენდთ ფიზიკურ სხეულს, რატომ ვმარხულობთ, თუ მხოლოდ ფიზიკური სხეული არ ვართ? დიახ, ჩვენ არ ვართ მხოლოდ ფიზიკური სხეული, გვაქვს სული, სამშვინველი და სხეული. ადამიანის შემადგენლობაც სამმაგია, როგორც ღმერთშია იდუმალად რიცხვი სამი ყოვლადწმიდა სამების სწავლების თანახმად. რატომ იწმინდება სხეული, რატომ ვლოცულობთ, რატომ ვმარხულობთ, რატომ ვებრძვით სხეულის ვნებებს? ჩვენ სხეულს კი არა, ხორციელ ვნებებს ვებრძვით. სხეულის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, როგორც ბუდიზმსა და ინდუიზმშია, ჩვენი სხეული ილუზია კი არ არის, როგორც ეს წარმართულ რელიგიებშია, არამედ სხეულის გადარჩენისთვისაც ვიბრძვით, სხეული, როგორც ტაძარი ღვთისა, სადაც სული უნდა იმყოფებოდეს, აღსდგეს მომავალში. თავისი აღდგომით ქრისტე გვეუბნება, იყავ მორწმუნე, ნუ იქნები ურწმუნოო. მორწმუნე ადამიანისთვის აღდგომის საიდუმლო სასწაულების შანსს იძლევა. აღდგომის საიდუმლოს გააზრებით ადამიანისთვის ძალაუფლება და გასაღებია მიცემული.

***— სამშვინველი სულისა და სხეულის შუალედური მდგომარეობაა, მაგრამ, თუ შეიძლება, უფრო ზუსტად განსაზღვროთ მისი არსი?***

— სამშვინველი სულის ნაწილია. სულსა და სამშვინველს შორის საზღვარი არ არის, მესაზღვრე არ დგას, თუ შეიძლება ასე ითქვას. ის სულისმიერი ძალების გარეთ მიმართული მხარეა. უხეშად რომ ვთქვათ, ეს ერთი მედლის მეორე მხარეა. თუმცა,ი სულიერი ძალები უფრო ინსტინქტური, იმპულსური, ემოციური, მშვენიერების აღქმის, სულიერი ფასეულობების განცდის, შემოქმედებითი ცნობიერების განმსაზღვრელია, რომლებიც გვეხმარება „მე“-ს გააზრებაში. სამშვინველისეული ძალები ფარად არის დადებული სულსა და ფიზიკურ სხეულს შორის. იგი რაღაც გარკვეული ფილტრია, მაკონტროლებელი ძალაა, რომელიც სულის ცენტრიდანული მიმართულების ძალებს წარმოაჩენს. ცენტრიდანულში იგულისხმება არა ის, რაც ღმერთს გვაშორებს, არამედ ის, რაც გვაახლოებს. გარე სამყაროსთან ფიზიკური სხეულით შეხება სულისთვის სამშვინველის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა. სამშვინველი აკონტროლებს იმ ძალებს, რომლებსაც ჩვენ არ ვაკონტროლებთ. მაგალითად, ფიზიოლოგიურ დონეზე გულის კუნთს ადამიანი თავისით არ კუმშავს. ნივთიერებათა ცვლას ჩვენ არ ვაწარმოებთ ჩვენით. რეფლექსურ-ინსტინქტურ დონეზე დაძინება, გაღვიძება, ჭამა-სმა, გამრავლება და ა.შ. ეს ყველაფერი სასწაულია ადამიანში, რაც სწორედ სამშვინველის ძალებით აღესრულება, რაც ფიზიოლოგიურ დონეზე ჩანს და მე ვიტყოდი, რაც ქრისტიანული შემოქმედების ხელოვნების დონეზეც ჩანს. სამშვინველი ცხოველსაც აქვს, მაგრამ ის არ არის უკვდავი. ცხოველსაც აქვს სხეული, სამშვინველი და სული, მაგრამ ის არ არის ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი. თუმცა, ფლორაც და ფაუნაც მეტყველებს იმაზე, რომ ღვთისქმნილია.

***— ისევ აღდგომის საკითხს რომ დავუბრუნდეთ, როგორ უნდა გაატარონ ეს პერიოდი ადამიანებმა?***

— აღდგომას წინ უძღვის სინანულის მარხვა. ადამიანმა არ უნდა მოიმიზეზოს, რომ ცოდვილია, უღირსია. დიახაც ცოდვილი როდესაც ხარ, უღირსი და მოუმზადებელი, მაშინ ხარ საჭირო და ღვთისთვის სათნო. თუ წმინდანი და მართალი ხარ, ნუ იტყვი, მაინც არ მჭირდება მონანიებაო. მაგრამ, ეჭვი მეპარება, იყოს კაცი, ცხოვრებდეს მიწაზე და წმინდანი იყოს. ადამიანი, რომელიც აღდგომისთვის ემზადება, მარხვის განმავლობაში მეტანიას უნდა აკეთებდეს, კითხულობდეს ეფრემ ასურის ლოცვებს, იღებდეს მონაწილეობას წირვა-ლოცვაში, რომელიც მხოლოდ დიდი მარხვის დროს ტარდება. ეს არის პირველშეწირულის წირვა. განსაკუთრებული სიხშირით უნდა ეზიაროს მოძღვრის კურთხევით. ამ დროს ხდება მადლის მოგროვება, რაც ადამიანს განაღმრთობს. ქრისტიანს, რომელიც მარხულობს ვნების შვიდეულში, თანაგანცდა უნდა ჰქონდეს. განსაკუთრებით ვნების შვიდეული დაუთმოს ეკლესიურ ცხოვრებას. აღარ ვსაუბრობ პირველ კვირაზე, როდესაც ანდრია კრიტელის კანონი იკითხება. სხვა დროსაც შეიძლება ამ კანონის წაკითხვა, მაგრამ გაცნობიერებულად და არა მოხსენებასავით. ვნების შვიდეული განსაკუთრებით მწვავე და ფაქიზ პერიოდს წარმოადგენს. თუ ადამიანმა მთელი ამ ხნის განმავლობაში ვერ იმარხულა, ვერ მოემზადა, დიდი შანსი აქვს, თუ ვნების შვიდეულს ეკლესიურად გაატარებს, მიეცეს კურთხევა, რომ ეზიაროს ღვთის წყალობით. ჩვენი არსებობის პრინციპი ღმერთშია და არა ბიოლოგიურ საკვებში. ადამიანმა, რომელმაც იმარხულა და აღდგომის კარამდე მივიდა, ეს ყველაფერი წყალს არ უნდა გაატანოს.

***— რას გულისხმობთ?***

— პირველ რიგში სასურველია, თავი აარიდოს დათრობას, ეცადოს, სიფხიზლით შეხვდეს აღდგომის დღესასწაულს. არ ვამბობ, რომ მწვალებელივით არც ღვინო და არც ხორცი არ მიიღოს. მიიღოს, გაიხსნილოს, იმხიარულოს, მაგრამ — ზომიერად, რომ კონტროლი არ დაკარგოს. რადგან გაფაქიზებული მდგომარეობა (მარხვის ბოლოს ბევრ რამეს გრძნობს ადამიანი, რასაც მანამდე ვერ გრძნობდა) უკონტროლოდ არ მიუშვას. ამან შეიძლება ავნოს ადამიანს. გახსნილება მარხვის დამაბრკოლებლად არ უნდა იქცეს. მე ვიტყოდი, არანაკლებ მგრძნობიარობა უნდა ხსნილს, ვიდრე მარხვას. ზოგჯერ უფრო ადვილია ხსნილიდან მარხვაზე გადასვლა, ვიდრე — მარხვიდან ხსნილზე. ერთ-ერთი ლიტერატორის გამონათქვამის პერიფრაზის არ იყოს, მარხვა დამთავრდა და ხსნილის გეშინოდეთ.

***— რატომ?***

— სულიერი მარხვა მუდამ გრძელდება. ზოგი ცოდვების არჩადენას მხოლოდ მარხვის პერიოდთან აიგივებს, ჰგონია, რომ ათი მცნება მხოლოდდამხოლოდ მარხვის პერიოდში მოქმედებს და, თუ მარხვა დამთავრდა, ყველაფერი შეიძლება. მარხვის შემდეგ უფრო არ შეიძლება. შეიძლება, ვიღაცამ იფიქროთ, რომ მან მადლი მოიპოვა მარხვაში და ხსნილში უნდა „დაისვენოს“. აი, აქ არის ორმო გათხრილი. ამიტომ ვამბობ, რომ მარხვის დასრულების შემდეგ გვმართებს განსაკუთრებული სიფხიზლე. თუ მხოლოდ მარხვაში ვივლით სწორად და ხსნილში — თვალდახუჭულები, ორმოში გადავცვივდებით. ამიტომ არის სიფრთხილე საჭირო. მარხვა არის შემეცნების გზა და ხსნილშიც ეს გზა უნდა გავიაროთ გადახვევის გარეშე. ამიტომ მინდა, სულიერი გაფრთხილებისკენ მოვუწოდო ადამიანებს. სულიერების მთლიანობა, რომელიც მარხვაში მოგვეცა, რომელიც უნდა მოგვეპოვებინა, პირველ რიგში, უფლის მადლით, მოძღვრის კურთხევით, ღვაწლით, ეს სულიერი მთლიანობა არ შევწიროთ ბიოლოგიური საკვებისა თუ ალკოჰოლის უზომო მიღებას. პატარა გამარჯვება, რომელიც მარხვაში მოგვეცა, არ უნდა გახდეს ამპარტავნობის მიზეზი. ნუ გვეგონება, რომ ჩვენით რაღაცას დავამარცხებთ და ჩვენით რაღაცას თავს გავართმევთ.

***— მამა გიორგი, რას უსურვებთ ქართველ ერს, რადგან აღდგომა ერთგვარი განახლებაა?***

— აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ვულოცავ ყველას, რომელიც ღვთის მადლით მოგვეცა. მთელ ერს, ყველა ჩვენგანს, რადგანაც ერი არის თითოეული ადამიანი, მინდა ვუსურვო სწორი არჩევნის, მართალი, მართლმადიდებლური არჩევნის გაკეთება. თუ გვინდა, ტყე კარგად იყოს, ყოველი ხე უნდა იყოს კარგად. თუ გვინდა, ტყემ იხაროს, ყოველ ხეს უნდა დავუსხათ წყალი. ერის კარგად ყოფნაში ყოველი ადამიანის წინსვლა იგულისხმება. ყველა ადამიანს სიკეთის გენერირებას, დადებით ენერგიას, პირველ რიგში, სულიერ მთლიანობას ვუსურვებ. მინდა, ჩვენი ერი ავი ზრახვისგან, ავი ქმედებისგან ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა და მფარველი ანგელოზის ლოცვით იყოს დაცული. დაე, სულიწმიდის ქნარმა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის ჰანგების მოსასმენად განაწყოს ჩვენი ერი. თუ ეს არ დაირღვევა, ამის შედეგად აუცილებლად მოვა გზის გახსნა, სულიერი წინსვლა და ბედნიერება, რომელსაც უფალი ყოველთვის გვაძლევს, თუ ვითხოვთ. მინდა, ყველას ვუსურვო, როგორც ჩვენი ტაძრის ერთ-ერთ სასწაულთმოქმედ ხატს ჰქვია, მოულოდნელი სიხარული, მე ვიტყოდი, დაუმსახურებელი სიხარული და წყალობა ღვთისა. ქრისტე აღსდგა — ჭეშმარიტად!

# ლალი მოროშკინა ახალი სკანდალით იმუქრება

ეკა ირემაშვილი

**ჟურნალისტმა ლალი მოროშკინამ საზოგადოებას მორიგი წიგნი „უსექსობა პატარა ქალაქში" შესთავაზა. გამოცემამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუმცა ფაქტია, რომ წიგნის გამოცემიდან ერთ საათში 300 ეგზემპლარი გაიყიდა.**

ლალი მოროშკინა არ მალავს, რომ მიზანში გაარტყა და ასეთი სათაური ერთგვარი პიარია. ის გაჩერებას არ აპირებს და მესამე არანაკლებად სკანდალური წიგნის დაწერასაც გეგმავს, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაზე იქნება.

**ლალი მოროშკინა:**

— პირველი წიგნი, რომელიც 2009 წლის ბესტსელერი გახდა, „მე, პრეზიდენტი და მსოფლიო ჩემპიონი", იყო საქართველოს ისტორია ბოლო 35 წლის განმავლობაში. აქ იყო სწორი ფორმა ნანახი, იმიტომ რომ როდესაც ავტობიოგრაფიულია ნაწარმოები, თუ საინტერესო პერსონაჟია, მას კითხულობენ. შევეცადე, ჩემი ისტორიიდან გამომდინარე წაეკითხათ, აფხაზეთი, სამაჩაბლო როგორ დავკარგეთ, 9 აპრილი, შეცდომები ქვეყანაში, 20 წლის შემდგომი 9 აპრილის შეცდომები. ამას ვერ მოვახერხებდი და ვერ წავაკითხებდი მკითხველს, თუ დავარქმევდი „იდეალების რღვევას", რეალურად რაზეც იყო წიგნი, ამიტომ მოვიფიქრე ასეთი სათაური. პირველ რიგში ვარ ჟურნალისტი და ვთვლი, რომ ჩემი საქმის პროფესიონალი ვარ, წერა ჩემი პროფესიაა. იმის გამო, რომ 2 უნივერსიტეტში ვარ პროფესორი, ვასწავლი და პედაგოგიური საქმიანობით ვარ დაკავებული, ვერ ვახერხებ მწვავე ფაქტებზე მყისიერ რეაგირებას, არც დრო მაქვს და არც საშუალება. არც ერთ ტელეკომპანიასა და ჟურნალში არ ვმუშაობ, ამიტომ, ორი წლის განმავლობაში რაც დაგროვდა, ასეთი ფორმით უნდა ვთქვა. აუცილებლად უნდა დამეწერა. ყველა ნორმალურ საქართველოს მოქალაქეს უნდა ჰქონდეს რეაქცია იმაზე, რომ დაგვაკარგვინეს მშობლიური ენა, ჩვენი სალამოს ეთერი ინგლისური გახდა. ეს არის ჩემი თაობის, ჩემზე უფროსი თაობის პრობლემა. ჩვენი კონსტიტუციური უფლებაა, როდესაც დაღლილი ხარ, ეკრანიდან მშობლიურ ენაზე იღებდე პროდუქტს და არა უცხო ენაზე, როგორი კარგი და მნიშვნელოვანიც არ უნდა იყოს ის. ჩემთვის ასევე მტკივნეულია დარბევა და მძიმე მდგომარეობა აფხაზეთში მეომარი ადამიანებისა. იქ არც ერთი ადამიანის სახელი და გვარი არ მიწერია, მაგრამ გიორგი კორინთელში ძალიან ბევრი იცნობს გია ყარყარაშვილს. ძალიან მაწუხებს წამლის ჩადების ინსტიტუტი საქართველოში, გაუკუღმართებული, ყველანაირი ნორმამოშლილი ვითარება. იმისთვის, რომ ადამიანს ქონება წაართვა, დაუყადაღო ან რამე ცუდი გაუკეთო, შეგიძლია, თავისუფლად წამალი ჩაუდო. ასეთი ძალიან ბევრი ფაქტი ვიცით. ვთვლი, რომ, როგორც მოქალაქეს, აქცენტი ამაზე უნდა გამეკეთებინა, აქცენტი გასაკეთებელი იყო იმ ფსევდოდიზაინერებზე, რომლებსაც ყოველდღიურად ცხვირში გვატენიან ტელევიზიის ეკრანიდან. რეალურად ისინი არა დიზაინერები, არამედ ჩვეულებრივი სუტინიორები არიან, რომლებიც არჩევენ კადრებს — გოგონებსა და ბიჭებს მაღალი ჩინოვნიკებისთვის. ეს რეალობაა და სქემა ჩემს ახალ წიგნში სრულად არის გაშიფრული.

— *თქვენ საიდან იცით ამდენი?*

— ჩვეულებრივად ვცხოვრობ ამ ქვეყანაში და ინფორმაციებს ვიღებ. დღეში ალბათ 20-25 ადამიანის ზარს ვიღებ, რომელსაც ან შვილი ან ქმარი დაუჭირეს. სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რატომ ჩათვალეს, რომ შემიძლია ამაზე რეაგირების მოხდენა. ჩემს ხელში ბერკეტი არ არის. ალბათ გამოყოლილი მაქვს ის ძველი სახელი, რასაც კონფლიქტების სამინისტრო ჰქვია. რეალურად ყოველ კვირას დავდიოდი ციხეებში და არა მარტო ქართველ პატიმრებს, არამედ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებსაც ვხვდებოდი. ცხინვალშიც კი დავდიოდი ჩვენი ქართველი ბიჭებისა და გოგონების გამოსაყვანად. ძალიან აქტიურად მწერენ ფეისბუქზე და, რითაც შემიძლია, ყველას ვეხმარები. აღმოჩნდა, რომ მათ ფსიქოლოგიური დახმარება სჭირდებათ. როდესაც „ნანუკას შოუში" მოვყევი ერთ-ერთი ფეხბურთელის შესახებ, რომლის მიმართაც ძალიან უხეშად კაცის მხრიდან ჰქონდა ძალადობას ადგილი, ეს ჩემს წიგნშიც არის დაწერილი. ამის შემდეგ 150-მდე წერილი დამხვდა ფეისბუქში ასეთი დაჩაგრული ბიჭებისა, რომლებიც კაზინოში, ღამის კლუბში იყვნენ ძალადობის მსხვერპლნი მამაკაცებისგან.

— *გამოდის, ჰომოსექსუალისტები გვიტევენ?*

— უნდა ითქვას ხმამაღლა, რომ ძალიან დიდი პროცენტია ამ ჰომოსექსუალური გადახრებისა საქართველოში. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ ვერჩი არც ერთ უმცირესობას, მათ შორის, არც სექსუალურს, მაგრამ წინააღმდეგი ვარ ძალადობის, რომელსაც ისინი ხშირ შემთხვევაში ნასვამ მდგომარეობაში მიმართავენ. ვთვლი, რომ დროული იყო ამაზე წერა და ხმის ამოღება. ნელნელა შედეგებს ვიღებ. ძალიან ბევრი ადამიანი მირეკავს, მათ შორის, ბევრი ჩემთვის პატივსაცემი და თავის მოსაზრებებს გამოთქვამს. ძალიან დადებით კრიტიკას ვიღებ. იქ არის დიალოგი ორ მამაკაცს შორის, სადაც მსჯელობენ, რა ხდება რეალურად ქვეყანაში, რამდენი მინუსია. ეს არის გაუკუღმართებული რელიგიური აღქმა. ჩვენ გადავიქეცით სამარხვო ნამცხვრების ქვეყნად. ეს ფსევდორელიგიური სიყვარულია და უფრო მეტი, ფარისევლობას ჰგავს თავწაკრული სიარული. რეალურად აბსოლუტურად შორს ვართ ქრისტიანული მორალისგან.

— *ხომ გაგიგიათ, ნუ განიკითხავ და არ განიკითხებიო...*

— ეს ჩემი პროფესიაა. მე რომ არ განვიკითხო, მაშინ არ უნდა ვიყო ჟურნალისტი. როდესაც შევდივარ პირველად სტუდენტებთან, ვამბობ, თუ ძალიან კეთილშობილები და წესიერები ხართ და არ გინდათ სხვის ჭუჭყიან თეთრეულში ხელის ფათური, მაშინ გადაირჩიეთ პროფესია-მეთქი. ჟურნალისტს მეტი რა ევალება? ჩვენ გვაქვს ღილაკის მოვალეობა, როცა ქვეყანას სტკივა, უნდა ვინთებოდეთ, რომ თუნდაც პრეზიდენტი ხვდებოდეს, ქვეყანას რა უჭირს.

— *პრეზიდენტი თქვენს წიგნებს კითხულობს?*

— ზუსტად ვიცი, რომ კითხულობს. ჩემი ახალი წიგნიც უკვე წაკითხული აქვს. მის ფრაზებში გამოსჭვივის ხოლმე ჩემი ფრაზები. ნამდვილად მნიშვნელოვანია მისთვის იცოდეს, რას სჩადის მისი ერთ-ერთი გუბერნატორი. როცა ლაპარაკია ქამრების შემოჭერაზე, პრეზიდენტი საქმის კურსში უნდა იყოს, როგორ ხდება ბიუჯეტიდან ფულების ფლანგვა ღრეობასა და ვნებააშლილობაში.

— *ახერხებთ, იყოთ ობიექტური?*

— თუ გავითვალისწინებთ, რომ ჯერ არავის უთქვამს, რომ რომელიმე მხარეს წარმოვადგენ, ვახერხებ. ოპოზიციაც ძალიან მძიმედ მყავს გაკრიტიკებული. ჩემი ერთადერთი ინტერესია, სიმართლე ითქვას. რაც ამ წიგნში წერია, ეს ყველაფერია, რასაც ჩურჩულით ვამბობთ სამზარეულოებში. უბრალოდ, ალბათ, ვერ გავბედეთ ამაზე საჯაროდ საუბარი.

— *თქვენ რატომ გაბედეთ?*

— პირველ წიგნში დავწერე ჩემზე და ჩემი მხარე გავაშიშვლე. ბევრი ქალი ამას არ იზამდა. რადგან ჩემს თავს უფლება მივეცი, ასე დამეწერა, ვფიქრობ, როგორც საქართველოს მოქალაქეს, მაქვს უფლება, მქონდეს რეაქცია იმაზე, რაც ამ წიგნშია, ის, რომ მაღალჩინოსანი კაბინეტში გასაუპატიურებლად არ უნდა დასდევდეს სამსახურის მაძიებელ ქალბატონებს.



ძალიან ხშირად ქალბატონები ასეთი ძალადობის მსხვერპლნი ხდებიან.

— ***ეს ყველაფერი მათი მონაყოლიდან იცით თუ ჭორის დონეზე?***

— ნუკი კოშკელიშვილმა წამაკითხა მესიჯები, სადაც წერენ ქალბატონები, როგორ ხდებიან ძალადობის მსხვერპლნი. მეც ვაჩვენე ფეისბუქზე ჩემთვის მოწერილი წერილები. გადამოწმების ჟურნალისტიკა ჩემთვის უმთავრესია და ეს ფაქტები, რა თქმა უნდა, გადამოწმებულია. ერთ-ერთი ასეთი ამბავი მეც შემემთხვა. ეს პრეზიდენტს მოვუყევი და მეორე დღეს ის ადამიანი გაათავისუფლეს სამსახურიდან.

— ***მაშინ წადით პოლიტიკაში და საჯაროდ, ხმამაღლა თქვით თქვენი სათქმელი.***

— ყველაფრის მიუხედავად, ჩემს თავს პოლიტიკაში ვერ ვხედავ. არ ვთვლი საჭიროდ, რომ მაღალი პოსტი უნდა მქონდეს, იმიტომ რომ ბევრი რამე არ მომწონს დღევანდელ ქართულ პოოლიტიკაში, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ მაქვს ადამიანური ურთიერთობები. იმავეს ვიტყვი ოპოზიციურ ფლანგზეც. მესმის, რომ ბევრი არ მომწონს, ბევრს მე არ მოვწონვარ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველაზე ხელაღებით შემიძლია რამის თქმა.

— *მუქარა ხომ არ ყოფილა?*

— მუქარაზე ჩემთვის პირადად არსებობს ვაკე-საბურთალოს პოლიციის განყოფილება. ერთმა ყმაწვილმა ბეწვეულის მაღაზიასთან დაკავშირებით მომწერა მუქარის წერილი და შემდეგ ძალიან მძიმედ დაისაჯა. მხოლოდ იმიტომ, რომ დავინდე, ხულიგნობის გამო არ მიიღო სამწლიანი ციხე. მუქარის პრობლემის გადაწყვეტა ჩემთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ამ წიგნში არ მიწერია არც ქვეყანა, არც ქალაქი, არც სახელები, არც დრო. კარგად ვიცი, რა ნორმებში უნდა ჩავეტიო, რომ იგავარაკული იყოს ნაწარმოები. ეჭვი მეპარება, იგავ-არაკის გამო ვინმე ისჯებოდეს. როდესაც ლიტერატურული ნაწარმოები იქმნება, ყველა პერსონაჟს პროტოტიპი ჰყავს. ეს იგივეა, აწ გარდაცვლილ ლევ ტოლსტოის რომ მივწერო, ძალიან მეცნობა ჩემი თავი ანა კარენინაში და რატომ გამოამზეურე ჩემი სიყვარულის ისტორია-მეთქი. ეს არის მხატვრული და არა დოკუმენტური ნაწარმოები და ჩვენი თანამედროვეობა ძალიან შეესაბამება ამ ყველაფერს. ვინც ამოიცნობს თავის თავს ამ წიგნში, ის ამჯობინებს დუმილს. ამიტომ, ჯობია, გაჩუმდნენ. საერთო ფონისთვის უკეთესია, გამომჟღავნებული იყოს ასეთი ფაქტები. უკვე წავიკითხე ჩემთვის ძალიან ბევრი პატივსაცემი ჟურნალისტის სტატია, რომელშიც იგრძნობა პათოსი — მოდით, დავიწყოთ სიმართლის წერა. ძალიან ჩავიხრჩვით ჭუჭყსა და ტალახში. იმიტომაც მაქვს წამძღვარებული ანდერსენის შიშველი მეფე და ვამთავრებ სოდომისა და გომორის ცოდვით. როდესაც საზოგადოება და მეფე ბრმავდება, ვიღაცამ უნდა უთხრას, რომ ის შიშველია. თუ ეს არ მოხდება, მაშინ სოდომსა და გომორს მივიღებთ.

— ***ამ წიგნის დასაწერად ფსიქოლოგიური მომზადება დაგჭირდათ?***

— იმპულსური ადამიანი ვარ და მახსოვს, ყველაზე მძიმედ ამ ორი წლის განმავლობაში რაც მომხვდა გულზე, ეს იყო გმირთა მოედანზე აფხაზეთის მეომრების დარბევა. სახლში რომ მოვედი, მაშინ ვთქვი, რომ თუ ამას არ დავწერ, ე.ი. ჟურნალისტი აღარ ვარ. ამას მოჰყვა ჩემთვის ძალიან პატივსაცემი ადამიანის დაჭერა. მის სახელსა და გვარს არ ვიტყვი, მაგრამ ალბათ ყველა გამოიცნობს. მან, უბრალოდ, არ დათმო ბიზნესი და დღესაც ციხეშია. თუ ამაზე ხმა არ ამოვიღე, მაშინ არავინ ვყოფილვარ.

— *ფიზიკური განადგურების არ გეშინიათ?*

— ფიზიკური განადგურების რომ მეშინოდეს, არც ცხინვალში გადავიდოდი მარტო და არც გალში ჩავიდოდი. არანაირი შიში არ მაქვს. უფრო იმის შიში მაქვს, რომ მოდის თაობა, რომელიც კარგავს ზღვარს უხამსობასა და მორალს შორის. როდესაც ტელევიზორიდან გეუბნებიან ვიღაცა მთვრალ, გონებადაბინდულ, აღვირახსნილ სუტინიორზე, რომ ის არის ჩვენი თაობის საუკეთესო დიზაინერი, მეშინია, რომ ახალგაზრდებიც ასე დაიწყებენ ფიქრს.

— ***„უსექსობა პატარა ქალაქში" სპეციალურად ახალგაზრდებისთვის დაწერეთ?***

— რა თქმა უნდა, ეს წიგნი გათვლილია ახალგაზრდებზე. ამით მოვახერხე, რომ წაეკითხათ თუნდაც ანდერსენი, ძველი აღთქმის მე-19 თავი, თუნდაც ეზოპეს იგავ-არაკი. ამ წიგნში ბევრი იგავია ჩადებული. რეალურად არ კითხულობს თაობა.

— *თქვენმა შვილმა თუ წაიკითხა ეს წიგნი?*

— რა თქმა უნდა. ჩემი შვილი 24 წლის არის და, როდესაც რამეს ვწერ, მას აუცილებლად ვაკითხებ. ძალიან ბევრი ისტორია მისი მეგობრებისგანაც ვიცი, რომლებიც თვითმხილველები არიან, რადგან ამ ასაკში ღამის კლუბებში ხშირად დადიან. მე ღამის კლუბებში არ დავდივარ. ზუსტად ვიცი, რომ ბევრმა ჩემი წიგნით გული მოიფხანა.

— ***„უსექსობა პატარა ქალაქში" — ასეთი მყვირალა სათაური რატომ აარჩიეთ?***

— საქართველოში ყველაზე კარგად, ისევე, როგორც მთელ მსოფლიოში, სექსი და პოლიტიკა იყიდება. თან მე ხომ პიარტექნოლოგი ვარ! ამიტომ ძალიან კარგად ვიცი, როგორ უნდა შევფუთო და გავყიდო. ეს არის ჩვეულებრივი პიარტექნოლოგია. დამერწმუნეთ, წიგნისთვის რომ მიმეცა ძალიან კონსერვატიული სათაური და ყდა, ვერ მივიღებდი ამდენ მკითხველს.

— *კომერციული ინტერესი არ გაქვთ?*

— კომერციული ინტერესი ყველაზე ნაკლები მაქვს, იმიტომ რომ ეს არ არის ჩემი გამოცემული წიგნი. ეს არის „კვირის პალიტრის" გამოცემა. ფინანსური მოგება მიზერულია. მთავარია, სათქმელი მივიტანო საზოგადოებამდე, იმიტომ რომ სხვა შემთხვევაში, როგორც ჟურნალისტი, როგორც პიროვნება, ვკვდები. არ მინდა, ეს ყველაფერი დაიკარგოს.

— *კიდევ დაწერთ წიგნს?*

— რა თქმა უნდა. ისეთ სკანდალს ვამზადებ, ზუსტად ვიცი, რომ ძალიან ბევრი ცუდად იგრძნობს თავს. ეს იქნება სასჯელაღსრულების სისტემაზე, ციხეებზე, იმ ისტორიებზე, რომელიც დღეს ხდება ციხეებში, იმ ჭლექით გარდაცვლილ ახალგაზრდებზე, რომლებზეც ამბობენ, რომ თურმე ბებრები იყვნენ და იმიტომ გარდაიცვალნენ. ეს არის ის უკეთურება, რაც დღეს ხდება გისოსებს მიღმა, იმიტომ რომ გისოსებს მიღმა სხვა საქართველოა, ალბათ, უფრო ნამდვილი, ვიდრე გისოსებს აქეთ დარჩა.

— *სათაური უკვე შეარჩიეთ?*

— კი, წიგნს ერქმევა „საქართველოს უკანასკნელი კანონიერი ქურდი". მოდით, მკითხველმა თავად იფიქროს, ნეტა ვინ იქნება ეს კანონიერი ქურდი. ეჭვი მეპარება, რომ კანონიერი ქურდები დღეს მმართველ სისტემაში არიან.

— *ტელევიზია არ გენატრებათ?*

— ძალიან მენატრება, მაგრამ, ზუსტად ვიცი, რომ არ მომცემენ გადაცემას. უკვე წლებია ვცდილობ, მომცენ ანალიტიკური გადაცემა, მაგრამ ვიბლოკები იმ თამამი გამოთქმების გამო, რომელსაც ყოველთვის ვაცხადებ და არასოდეს ვმალავ. სულ ვამბობ, რომ არც ერთი მხარე არ ვარ, არც ოპოზიცია და არც პოზიცია, ვარ საქართველოს მოქალაქე, რომელსაც თავისი ქვეყნის ტკივილი სტკივა. ჩემს წიგნშიც ვამბობ, არსებობს ორი საქართველო — ერთი გაბრწყინებული და ბედნიერი და მეორე — ჩამქრალი და უბედური. მინდა მქონდეს გადაცემა, სადაც ამ ყველაფერზე ვილაპარაკებ, მაგრამ წლებია მბლოკავს ტელევიზია. სამაგიეროდ, არ მბლოკავენ, როცა გასართობ გადაცემაში უნდა მივიდე, არ მბლოკავენ, როცა ლაითი თემებია, იმიტომ რომ ამ ქალაქისთვის საკმაოდ ხმაურიანი ვარ, მაგრამ, როგორც კი პოლიტიკური თემებია, სერიოზულად მიდის ჩემი დაბლოკვა. ის, რომ ჩვენი მედია დღეს არ არის თავისუფალი, ცხადია. ჩემი ადგილი, როგორც ჩანს, არ მოიძებნა. წიგნების გამოცემის სახით კარგი ხერხი ვიპოვე. მეეჭვება, რომ ტელეგადაცემით უფრო მეტს ვეტყოდი თანამემამულეებს. პირველი წიგნი გაიყიდა 15 ათასი ტირაჟით. ეს ცოტა არ არის. მეორე წიგნი, პრაქტიკულად, უკვე ბესტსელერია. მისი გამოცემიდან ჯერ ორი კვირაც არ გასულა. პირველი რეკორდი მაშინ მოხსნა, როდესაც ერთ საათში 300 წიგნი გაიყიდა და ვიცი, რომ დღეში ორ-ორჯერ შეაქვთ.

— *მეორე წიგნშიც ჩადეთ თქვენი პირადული?*

— მთავარი გმირი სოფო ვაჩნაძეა, რომლისთვისაც ბებიაჩემის სახელი და გვარი მაქვს აღებული. პროტოტიპში შეიძლება ჩემი ხასიათი ამოიცნოთ. ჟურნალისტიკაზე წიგნის მთავარი გმირის პირით რომ ვლაპარაკობ, ეს ჩემი აზრია, რომ არ უნდა იჯდე არავის ჯიბეში.

— *ეს ადვილია?*

— ძალიან ძნელია და ეს იმას ნიშნავს, რომ წლობით უმუშევარი ხარ, ისევე, როგორც მე. ნამდვილად მიღირდა ის უმუშევრობის წლები იმის გამო, რომ ჩემი სჯერათ. მალე ჩემი პირველი წიგნი რუსულ ენაზე რუსეთში გამოიცემა. რუსული ვერსიაც მე დავწერე, ცოტა უფრო გაღრმავებული ომის მომენტებით, იმიტომ რომ პირველ რიგში საქართველოს მოქალაქე ვარ და არავის ვალაპარაკებ ჩემს ქვეყანაზე. რაც შეეხება მეორე წიგნს, ამას არ გადავთარგმნიდი, რადგან ეს ჩვენი პრობლემებია და თავად უნდა მოვაგვაროთ.

— ***მართლა აპირებთ რუსეთში საქართველოს ელჩობას?***

— ვიყავი პოლიტიკაში და მგონია, რომ ის წლები ძალიან წარმატებული იყო კონფლიქტების მოგვარების კუთხით. ცხინვალთან პრობლემა აღარ არსებობდა, რომ არა შემდგომი მცდარი ნაბიჯები. 2006 წელს იყო ჩემი კანდიდატურა ელჩად, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა ხაზი გადამისვა და სხვა გაუშვა. მოლაპარაკების კუთხით მგონია, რომ ჩემი ადგილი ნამდვილად არის, ვთვლი, ძალიან კარგი მომლაპარაკებელი ვარ. კიდევ, იცით, რა მაოცებს?! საქართველოში ფორმას იმდენად დიდი ყურადღება ექცევა, როგორც არსად. თუ შენ გაცვია ჭილოფი, ნორმალურების სიაში ხარ, თუ ოდნავ ინდივიდუალურობას ხაზს უსვამ, მიუღებელი ხდები საზოგადოებისთვის. ჩემთვის ჯობია, იყო ისეთი, როგორიც ხარ და არა აქვს მნიშვნელობა, როგორ გამოიყურები. ვებრძვი ერთფეროვნებას, რადგან მასის ფსიქოლოგია ყველაზე საშიშია. როცა ყველა ერთნაირად აზროვნებს და გამოიყურება, ეს არის ერის დაკნინება. ყველამ თავის თავში ჩაიხედოს და სხვაზე მერე ილაპარაკოს. მე მივიღებ კრიტიკას მხოლოდ იმ ადამიანისგან, რომელიც მინიმუმ ჩემს წიგნებს წაიკითხავს და იმ 50 წიგნსაც, რომელიც ყველა კულტურულ ადამიანს უნდა ჰქონდეს წაკითხული. აი, შემდეგ შემოვიდეს პოლემიკაში. ის 7 მამაკაცი, რომელიც ჩემი რეცენზორი იყო, დღეს წარმოადგენს საქართველოს ინტელექტუალურ ნაწილს.

# პერის ჰილტონი — სკანდალისტი მემკვიდრე

**ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური თანამედროვე მსახიობი, პერის ჰილტონი, ძალიან ბევრ ფილმშია გადაღებული და საკმაო პოპულარობითაც სარგებლობს.**

## ბავშვობა

პერის ჰილტონი 1981 წლის 17 თებერვალს დაიბადა ნიუ იორკში. დედამისი, ნაკლებად ცნობილი მსახიობი, კეტი ჰილტონი, ცოლად გაჰყვა ჰილტონების იმპერიის მემკვიდრეს. დიახ, პერის ჰილტონი იმ ცნობილი კონრად ჰილტონის შვილიშვილია, რომელიც მთელ მსოფლიოს „ჰილტონების“ სასტუმროების ქსელს ფლობს.

დედამისმა პერისი ადრეული ასაკიდანვე შეაჩვია ვარსკვლავობას — ბავშვობის წლებიდან აჩვევდა კოსმეტიკასა და სადღესასწაულო ღონისძიებებზე ყურადღების მიპყრობას. გოგონაც ადრევე მიხვდა, რომ მისთვის ბომონდური ცხოვრება ყველაფერი იყო.

## კარიერის დასაწყისი

ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში შეუდგა შემოქმედებით კარიერას. მონაწილეობდა სასკოლო პიესებში, სადაც ყველა მთავარი როლი მისი იყო. ლოს-ანჟელესში გადასვლის შემდეგ პერისი 3 წელიწადზე მეტ ხანს სამსახიობო სკოლაში სწავლობდა. არადა, მანამდე ნორჩი პერისი ძალიან ცნობილი ფიგურა იყო თავისი კლუბური ცხოვრებით.

ჯერ კიდევ 10 წლის ასაკში დისნეის სტუდიაში გამოჩნდა დაბალბიუჯეტიან ფილმში „ჯინი ბოთლის გარეშე“, ხოლო შემდეგ ხანგრძლივი პაუზა გააკეთა.

19 წლის ასაკში პერისი გადაიღეს ფილმში „ტკბილი ნამცხვარი“, თუმცა ამჯერად მთავარი როლი არ რგებია.

## გზა დიდებისკენ

2003 წელი პერისისთვის წარმატებული გამოდგა. გოგონა თავის დასთან, ნიკი ჰილტონთან ერთად მიიწვიეს რეალითი შოუში „უბრალო ცხვორება“, რომელმაც გაუხსნა გზა ამერიკული კინოსაკენ.

მართალია, პროექტიდან მისი და მალევე ამოვარდა, მაგრამ პერისს პარტნიორობას უწევდა ცნობილი მომღერლის, ლიონელ რიჩის გოგონა, ნიკოლ რიჩი, რის შემდეგაც შოუ უკვე შეწყვეტის გარეშე გაგრძელდა მომხიბვლელი პერისისა და იუმორის მქონე ნიკოლის მონაწილეობით.

შოუს პარალელურად, უკვე ცნობილი პერისის მიწვევა ფილმებშიც დაიწყეს. ასე შეხვდა პატარ-პატარა როლები ფილმებში „კატა შლაპაში“ და „საოცარი ქვეყანა“. იმავე პერიოდში მიიწვიეს სერიალში „ლას ვეგასი“.

2004 წელმა კი პერისის ცხოვრებაში სერიოზული კვალი დატოვა. ითამაშა ფილმებში „მოდური დედა“ და „ბევერლი ჰილზი“, აგრეთვე გადაიღეს ტელესერიალში „ვერონიკა მარსი“.

წარმატებული გამოდგა 2005 წელიც — რეჟისორმა ჯიმი ფელონმა მიიწვია ფილმში „შაბათ საღამოს პირდაპირ ეთერში“ და შეხვდა მეორეხარისხოვანი როლი ფილმში „მე მქვია ერლი“.

## ოლიმპის მწვერვალზე

პერის ჰილტონისთვის ვარსკვლავური გამოდგა 2006 წელი, როდესაც ითამაშა ფილმებში „ქერა შოკოლადში“ და „დალიე ბოლომდე“. 2008 წელი კი განსაკუთრებული იყო და წარმოუდგენელ სიმაღლეს მიაღწია, როდესაც ითამაშა ფილმში „ლამაზი და მახინჯი“.

თუმცა, ამ ფილმების შემდეგ მცირე ჩავარდნა დაეწყო და ფილმებში „გენეტიკური ოპერა“ და „ამერიკული ზღაპარი“ ისე შთამბეჭდავად ველარ გამოიყურებოდა.

## პირადი ცხოვრება

პერის ჰილტონი ორ დიდ ქალაქში ცხოვრობს — ნიუ იორკსა და ლოსანჟელესში. გატაცებული იყო იოგათი, ჩოგბურთითა და ჩანთების დიზაინით. თავის დასთან ერთად გახდა საიუველირო მაღაზიათა ქსელის მფლობელი. აქტიურად არის ჩართული ქველმოქმედებაში და ხშირად ეხმარება ცხოველთა დაცვის საზიგადოებას.

მის თაყვანისმცემლებზე ბევრი ჭორი დადის, თუმცა რეალურად მხოლოდ ორია ცნობილი — ჯგუფ „ბექ სტრიტ ბოიზის“ მომღერალი ნიკ კარტერი და ჯგუფ „გუუდ შარლოტის“ როკ-ვარსკვლავი ბენჯი მედენი, რომლის ოჯახში მიღების წინააღმდეგიც პერისის მშობლები არ იყვნენ.

## სკანდალები

სასტუმროების იმპერიის მემკვიდრეს ყოველთვის სჯეროდა, რომ თუ სკანდალური იქნებოდა, მაშინ ყველასთვის ცნობილი ფიგურა გახდებოდა. ამიტომაც ხშირად იქმნიდა არასასურველ იმიჯს.

რამდენჯერმე მოხვდა ყველაზე ცუდად ჩაცმული ქალბატონების ჰიტ-პარადში და ასევე ხშირად სექსუალური სკანდალების გმირადაც გვევლინებოდა.

ჰილტონს შეეძლო, რომელიმე წვეულებაზე საღამოს კაბით გადამხტარიყო აუზში ან გზაზე გაჩერებულიყო, დალოდებოდა პაპარაცებს, მიეყვანათ ის ბენზინგასამართ სადგურამდე და იქ ეკითხა, სად არის ის ადგილი, სადაც საწვავის ჩასხმა შეიძლებოდა.

ჰილტონი არ ერიდებოდა პაპარაცებს და შეეძლო, მშვიდად დაკავებულიყო სექსით ავტომობილში, რის გამოც ასეთი უამრავი ფოტოა გადაღებული.

მას ასევე თავისუფლად შეეძლო, რომელიმე მობეზრებული თაყვანისმცემლის მოსაშორებლად ისეთი სახე მიეღო, თითქოს ტელეფონზე საუბრობდა და ამ დროს მისი მობილური მართლაც აწკრიალდებოდა, რაც შემდეგში დავის საგანი



ხდებოდა.

ერთხელ შემთხვევით მამაკაცთა ტუალეტში შევიდა და, როდესაც იქ მყოფმა ჰკითხა — თქვენ პერისი ხართ? — მუშტები დაუშინა.

მისი პირველი სკანდალური მასალა კი ინტერნეტში გავრცელდა, სადაც სექსით არის დაკავებული ვინმე რიკ სალომინთან, რომელმაც მიჰყიდა კიდეც ეს ვიდეო პორნოგრაფიულ კომპანიას. მიუხედავად სასამართლო პროცესით დაშინებისა, ვიდეო გაქირავებაში მაინც გამოჩნდა სახელწოდებით „ერთი ღამე პერისთან“.

მის სკანდალების სიას მიეკუთვნება ურთიერთობები ისეთ მსახიობებთან, როგორებიც არიან ბრიტნი სპირსი და ლინდსეი ლოჰანი. მოხვედრილა ციხეშიც, არ ერიდებოდა ნარკოტიკებს, ხშირად უნახავთ საჭესთან მთვრალი და, რაც ყველაზე მთავარია, ამ ქმედებების გამო ახლაც ემუქრება საფრთხე, ჩამოერთვას საყვარელი ბაბუის კაპიტალის მემკვიდრეობა.

## საინტერესო ფაქტები

პერის ჰილტონი საოჯახო ბიზნესის წილი 50 მილიონ დოლარს შეადგენს, ხოლო მისი პირადი შემოსავალი სატელევიზიო პროგრამებით, ფილმებით, მოდური ჩვენებებით ბოლო 2 წელიწადში 6,5 მილიონი დოლარია.

პერის ჰილტონმა გამოსცა საკუთარი ბიოგრაფიული წიგნი „სკანდალისტის აღიარება“.

გავრცელებული ხმებით, მისი ერთი გამოჩენა საღამოზე ან კლუბის გახსნაზე 300.000 დოლარი ღირს.

უყვარს მუსიკა, განსაკუთრებით „როლინ სტოუნზი“ და „იუ-2“. აგრეთვე გატაცებულია გოლფის თამაშით.



ჰენრი ფონდას შვილსა და პიტერ ფონდას დას, ჯეინ ფონდას, 2 „ოსკარი“ აქვს აღებული ფილმებისთვის „ჩხვლეტა“ და „დაბრუნება სახლში“. თუმცა, ამ ფილმების გარდა არანაკლებ საინტერესო როლები აქვს შესრულებული.

ჯეინ სეიმურ ფონდა 1937 წლის 21 იანვარს დაიბადა ნიუ იორკში. მართალია, ჯეინი გამოჩენილი მსახიობის შვილი იყო, მაგრამ ბავშვობა არცთუ ადვილი ჰქონდა. ამის მიზეზი დედამისი იყო, რომელსაც უკვე ჰყავდა ერთი გოგონა (ფრენსის დე ვილარ ბროკაუ) პირველი ქორწინებიდან და ძალიან უნდოდა, მეორე ბიჭი ყოფილიყო. თუმცა, ჯეინმა „იმედები გაუცრუა“.

ჯეინი მაშინ დაიბადა, როდესაც მამამისს ბროდვეიზე სპექტაკლი ჰქონდა, დედამისი კი იმდენად გაწბილებული იყო მეორე გოგონას დაბადებით, რომ მისი სიყვარული იმავე წამს გაუნელდა. დედამ მაშინვე გადასცა გოგონა მედდას და უარი განაცხადა მის აღზრდაზე.

— არასდროს მომწონდა, როდესაც ის მეხებოდა და იმ წამსვე ვგრძნობდი, რომ არ ვუყვარდი, — იხსენებდა შემდგომში ჯეინი, რომელსაც დედამისის სიძულვილი წლების განმავლობაში გაჰყვა.

ფონდა მსუქანი გოგონა იზრდებოდა, რაც კიდევ უფრო არ მოსწონდა დედამისს. ასეთი ფსიქოლოგიური ზეწოლის შემდეგ ჯეინი მოგვიანებით ანორექსიითა და ბულემიით დაავადდა. ამ დროს დედამისი უკვე ცოცხალი არ იყო — როდესაც ჯეინი 10 წლის გახდა, დედამისმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა და ეს იმიტომ გააკეთა, რომ გაიგო, მისი მეუღლე უფრო ახალგაზრდა გოგონაზე აპირებდა დაქორწინებას. ჯეინს მამამისი დიდი ხნის განმავლობაში ეუბნებოდა, რომ დედა გულის შეტევით გარდაიცვალა, მაგრამ შემდეგში ჯეინმა სიმართლე კინოჟურნალით გაიგო.

ახალგაზრდობა

გარკვეული დრო ჯეინი და მისი ძმა ბებიასთან იზრდებოდნენ, შემდეგ კი სასწავლებლად ვასარში გაემგზავრა — ამერიკაში ყველაზე საუკეთესო ქალთა კოლეჯში, რომლის დასრულების შემდეგ უკვე პარიზში ფერწერის შესწავლა დაიწყო. ამერიკაში დაბრუნებული, ენების შესწავლას შეუდგა, პარალელურად ჟურნალ „ვოგის“ გვერდებზეც ჩნდებოდა, როგორც მანეკენი.

მისი ცხოვრება 1958 წელს ლი სტრასბერგთან შეხვედრამ შეცვალა, რომელმაც ურჩია, სამსახიობო კურსები გაევლო და ჯეინიც 1958-60 წლებში ამ პროფესიის დაუფლებას შეუდგა.

## კინოკარიერა

ჯეინის დებიუტი ჯოშუა ლოგანის ფილმ „დაუჯერებელ ისტორიაში“ შედგა. ლოგანი მამამისის ბავშვობის მეგობარი იყო, რამაც გადაწყვიტა კიდეც, რომ ჯეინს ამ კომედიურ ფილმში მთავარი როლი ეთამაშა. თუმცა, სანანებლად საქმე არ გახდომიათ.

ამის მიუხედავად, რეჟისორებს მაინცდამაინც არ სჯეროდათ მომხიბვლელი ჯეინის მსახიობობისა და ფილმებში მიწვევისგან თავს იკავებდნენ. თუმცა, იყვნენ ერთეულები, რომელიც იძულებული ხდებოდნენ, რაიმე როლი შეეთავაზებინათ და ჯეინიც ჯიუტად ცდილობდა მათი ყურადღების მიპყრობას.

1962 წელს უკვე მისით დაინტერესება დაიწყეს. საქმე ის არის, რომ ჯეინმა ითამაშა ფილმში „გასეირნება ველურ მხარეს“, სადაც ახალგაზრდა მეძავის როლი შეასრულა. ასეთი როლები კი ამერიკაში მუდამ ყურადღებას იპყრობს. ამას კიდევ რამდენიმე კინოროლი მოჰყვა, მაგრამ ჯეინმა დამოუკიდებლობის ძებნაში გადაწყვიტა, ამერიკას გაშორებოდა და ბედის საძიებლად ისევ საფრანგეთს დაუბრუნდა. საფრანგეთში ჩასვლისთანავე ჯეინი გადაიღეს ფილმებში „მტაცებელი“ და „კარუსელი“, რომელთა რეჟისორი მისი ქმარი, იქვე გაცნობილი როჟე ვადიმი იყო. ვადიმი ცდილობდა, მისგან ახალი ბრიჯიტ ბარდო შეექმნა და ჯეინსაც ამის მონაცემები ჰქონდა, რაც მალევე დაამტკიცა ეროტიკულ ფილმში „ბარბარელა“.

ჯეინს დასამახსოვრებელი ფრანგული აქცენტი ჰქონდა, რაც ძალიან ხიბლავდა იქაურებს და მისით აღფრთოვანებული იყვნენ. თუმცა, ჯეინს რეგულარულად უხდებოდა საფრანგეთის დატოვება და ამის მიზეზი ქმარი იყო, რომლის უხეში გამოხდომები უკვე აღიზიანებდა. ამერიკაშიც დიდი სიამოვნებით იღებდნენ ფილმებში, 1968 წელს კი, როდესაც სიდნეი პოლაკმა ფილმში გადასაღებად მიიწვია, ჯეინმა ძუძუმწოვარა შვილთან, ვანესასთან ერთად საფრანგეთი დატოვა.

# ჯეინ ფონდა — პრეზიდენტ ნიქსონის პირადი მტერი

## ამერიკული კარიერა

მომხიბვლელმა ფონდამ, რომელსაც დიდი სამსახიობო ტალანტი ჰქონდა, ამერიკაში ჩასვლისთანავე მოახერხა, შეებიჯებინა ჰოლივუდის ელიტაში და ელან პაკულას ფილმ „ჩხვლეტაში“ თამაშის შემდეგ „ოსკარის“ მოპოვებაც მოახერხა.

ოსკაროსანმა ფონდამ კიდევ 3 როლი ითამაშა და შემდეგ კინოს ჩამოშორდა. ამის მიზეზი მისი მეორე ქმარი გახდა — ტომ ჰეიდენი „სტუდენტები დემოკრატიული საზოგადოებისთვის“ ყოფილი ლიდერი იყო, პარალელურად ჯეინიც აქტიურად იბრძოდა ვიეტნამში გაჩაღებული ომის წინაალმდეგ და გადაღებებისთვის არ ეცალა.

ჯეინი კინოს 70-იანი წლების ბოლოს დაუბრუნდა და ისევ წარმატებით. 1977 წელს რეჟისორ ფრედ ცინემანის ფილმ „ჯულიაში“ თამაშისთვის ფონდამ „ოქროს გლობუსი“ დაიმსახურა ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის.

სამოქალაქო თვითშეგნებას ჯეინი ფილმებშიც გამოხატავდა, რომელშიც იმ პერიოდში მონაწილეობდა, ხოლო კინოსამყარო და მთელი ამერიკა გაოცდა, როდესაც ჯეინი გაჩაღებული ომის დროს ჩრდილოეთ ვიეტნამში გამეგზავრა. ამ ფაქტს ამერიკულ პრესაში დიდი აჟიოტაჟი მოჰყვა. „ჯეინი ჰანოიდან“ — ასეთი სათაურით ხშირად იბეჭდებოდა სტატიები ამ თემის ირგვლივ. ჯეინს კი სურდა, ყველაფერი თავისი თვალით ენახა და ეგრძნო, თუ რატომ არის ომი საშინელება. ეს ყველაფერი მალე ფილმში „დაბრუნება სახლში“ გადაიტანა, რისთვისაც მეორე „ოსკარი“ დაიმსახურა.

80-იანი წლების დასაწყისში მისმა შემოქმედებამ უკუსვლა დაიწყო. ფონდა იშვიათად ჩნდებოდა ეკრანებზე. ერთადერთი ფილმი, რომელმაც აღიარება მოუტანა, კოლინ ჰიგინსის კომედია „ცხრიდან ხუთამდე“ იყო. სხვა მისმა ფილმებმა კი კრახი განიცადა და კრიტიკოსებიც ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ მისი ტალანტი შესაძლოა არ ჩამქრალა, მაგრამ ფილმები არაფერს წარმოადგენდა.

1990 წელს ჯეინმა საბოლოოდ გადაწყვიტა კინოდან წასვლა და ამის მიზეზად ის დაასახელა, რომ სურდა, მაყურებელს მუდამ ახალგაზრდა ხსომებოდა. მისი ბოლო ფილმები გამოდგა „ძველი გრინგო“ (1989) და „სტენლი და აირისი“ (1990), სადაც რობერტ დე ნიროსთან ერთად ითამაშა.

თუმცა, კინემატოგრაფმა მაინც ვერ დაივიწყა ფონდა და 15-წლიანი პაუზის შემდეგ ჯენიფერ ლოპესთან ერთად ითამაშა ფილმში „მონსტრი“. მართალია, იქ მთავარ როლს ლოპესი ასრულებს, მაგრამ ჯეინის თამაშმა სრულიად დაჩრდილა მთავარი გმირი. კიდევ ორი წლის შემდეგ კინოეკრანებზე გამოვიდა კომედიური ფილმი „მაგარი ჯორჯია“, რომელმაც მაყურებელზე დიდებული შთაბეჭდილება დატოვა.

## პირადი ცხოვრება

გავრცელებული ხმებით, ფონდა რესპექტაბელურად ცხოვრობდა და ბოლომდე გაურკვეველი რჩება, რამდენად წარმატებული იყო ის.

მამაკაცები მის ცხოვრებაში ყოველთვის მთავარ როლს თამაშობდნენ. რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ყოველთვის თავისუფალი და ამაყი ჯეინი ქმრების დამჯერი გოგონა გახლდათ. სექსუალური პარტნიორი მან როჟე ვადიმის სახით იპოვა, იდეოლოგიური და პოლიტიკური თანამოაზრე — ტონ ჰეიდენის სახით, ხოლო ტედ ტერნერთან ძალაუფლება ისწავლა.

ვადიმთან და ჰეიდენთან მორჩილი დიასახლისი და დედა იყო, თუმცა, მათზე მეტს გამოიმუშავდებდა და ოჯახში მთავარი შემომტანი იყო. ტედ ტერნერი კი მილიარდერი გახლდათ, უმალ მოიპოვა ძალაუფლება ცოლზე, რადგან თვლიდა, რომ ყველაფერი შეეძლო გაეკეთებინა და არაფრად მიიჩნევდა ჯეინის შემოსავალს. ჯეინი 50 წელს იყო გადაშორებული, როდესაც ტედისგან შვილი შეეძინა.

კინოკარიერის ადრეულ დამთავრებასაც ტერნერის ამ ძალაუფლებას უკავშირებენ. თუმცა, ჯეინი საზოგადოებრივ საქმიანობას მაინც აგრძელებდა და ხშირადაც ჩნებოდა ბომონდურ ქრონიკებში, ეწეოდა აქტიურ ცხოვრებას და ხშირად იღებდა მონაწილეობას მისი ქმრის მიერ მოწყობილ სხვადასხვა ღონისძიებაში.

## საინტერესო ფაქტები

ჯეინ ფონდას სეიმური მეფე ჰენრიხ VII-ის მესამე ცოლის პატივსაცემად დაარქვეს.

რუსეთში ყოფნის დროს ფონდამ მონაწილეობა მიიღო გარბენში, რომელიც კრემლის ირგვლივ გაიმართა, მაგრამ მისთვის არასასიამოვნოდ დასრულდა — მსახიობმა გარბენის დროს ინფარქტი მიიღო.

70-იანი წლების ბოლოს ჯეინმა ჩამოაყალიბა საკუთარი კომპანია „იპს ფილმი“, რომელსაც კრიტიკოსები არცთუ აღფრთოვანებით შეხვდნენ.

ჯეინი წარსულში ნარკომანი იყო — გამუდმებით ეწეოდა მარიხუანას და ყლაპავდა აბებს. ეს გამოწვეული იყო მისი ადრეულ ასაკში დაავადებით.

ჯეინი კოსმეტიკური ქირურგიის პირველი კრიტიკოსი იყო, მაგრამ მაინც გაიკეთა მკერდის იმპლატანცია.

ფონდა მიეკუთვნებოდა იმ ადამიანების გუნდს, რომელიც პრეზიდენტმა ნიქსონმა თავისი „პირადი მტრების“ სიაში ჩაწერა. 6 სპეციალური აგენტი ყოველთვის თან დასდევდა მის გოგონას, ხოლო ჯეინს ხშირად აწუხებდნენ ფსბ-ს აგენტები.

1984 წელს ფონდამ გამოკითხვის შემდეგ აჯობა დედა ტერეზას, მარგარეტ ტეტჩერსა და ნენსი რეიგანს.

# ბექა ბურჯანაძე: ესპანეთში მიღებული გამოცდილება საქართველოს ნაკრებს უნდა მოვახმარო



დღესდღეობით, ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ ქართველ კალათბურთელად 17 წლის ბექა ბურჯანაძე ითვლება. 202 სანტიმეტრი სიმაღლის ფორვარდი მეორე სეზონია, ესპანურ „კახასოლში" ირიცხება და პროგრესის გზას ადგას. ბურჯანაძე ძირითადად სევილიელთა 18-წლამდელთა გუნდში თამაშობს, თუმცა ამას წინათ, ესპანეთის პრიმერადივიზიონის მატჩშიც მოუწია მცირე ხნით მოედანზე გასვლა.

ბურჯანაძესთან ინტერვიუ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ვებგვერდზე გამოქვეყნდა.

***— „კახასოლის" ძირითადი გუნდის განაცხადში ხშირად ხვდები, თუმცა მოედანზე ჯერ მხოლოდ ერთხელ გამოჩნდი. ძირითადად, ალბათ, ახალგაზრდულ ჩემპიონატში ხარ დაკავებული.***

— არა მხოლოდ ახალგაზრდულში. 18-წლამდელთა ჩემპიონატთან ერთად, ესპანეთის პირველობის მესამე დივიზიონშიც გამოვდივარ.

***— რა განსხვავებაა ამ ჩემპიონატებს შორის?***

— 18-წლამდელთა ჩემპიონატი, ბუნებრივია, რომ ასაკობრივი შეზღუდვითაა, ხოლო ება-ში არაა ლიმიტი. იქ 30 წლის კალათბურთელებიც თამაშობენ. ეს ჩემპიონატი შესანიშნავი შესაძლებლობაა საიმისოდ, რომ გამოცდილება მიიღო. ზრდასრულ მოთამაშეებთან მიწევს პაექრობა და ეს პროფესიულ განვითარებას ძალიან უწყობს ხელს.

***— ანუ შენთვის ება 18-წლამდელებზე უკეთესია?***

— აქამდე ნამდვილად ასე იყო. 18-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ ეტაპზე 50-60 ქულის სხვაობებით ვიგებდით. თავდაპირველად, ეს ჩემპიონატი ლოკალურია და შემდეგ, რაც უფრო იგებ და იგებ, მთელს ესპანეთს მოიცავს. ჩვენ თავიდან სევილიის გუნდებს ვეთამაშებოდით და ყველას იოლად ვჯაბნიდით. შემდეგ ანდალუზიის ჩემპიონატში გადავინაცვლეთ, სადაც ამ რეგიონის ყველა მნიშვნელოვანი ქალაქიდან ჩვენსავით საუკეთესო გუნდები მონაწილეობენ. აქაც წარმატებულად ვასპარეზობთ. სამიდან სამი გამარჯვება გვაქვს და უკვე გადაწყვეტილია, რომ ესპანეთის ფინალურ ჩემპიონატში, სადაც ქვეყნის ყველა რეგიონის საუკეთესო გუნდები მიიღებენ მონაწილეობას, ანდალუზიიდან ჩვენ ვითამაშებთ.

***— ანდალუზიაში პირველი ადგილი გაინაღდეთ?***

— არა, ესპანეთის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, თითო რეგიონიდან 3 საუკეთესო გუნდი გადის, სამეულში ადგილი კი განაღდებული გვაქვს. ჩვენთან ერთად „უნიკახა" და „გრანადა" გავლენ. დანარჩენი ანდალუზიური გუნდები ძალიან სუსტები არიან.

***— რას იტყვი საკუთარ თამაშზე? ბოლოს დროს რამდენიმე შთამბეჭდავი შეხვედრა ჩაატარე.***

— ბოლო ხანებში მართლაც სტაბილურად კარგად ვთამაშობ. სეზონის დასაწყისში კი სტაბილურობა მაკლდა. იყო თამაშები, მოედნიდან უქულოდ გამოვსულვარ. თუმცა ცუდი პერიოდი უკან მოვიტოვე, ფორმაშიც შევედი და ბოლო 4 თამაშია, მოედნიდან ოც ქულაზე ნაკლებით არ გამოვსულვარ.

***— ეს შედეგები რომელ ჩემპიონატში გაქვს?***

— ება-ში, სადაც მე-8 ადგილზე ვიმყოფებით. ჩემი თამაშით მეც კმაყოფილი ვარ და მწვრთნელებიც.

***— ალბათ, ამიტომაც გიწევს „კახასოლის" ძირითად გუნდთან ერთად ვარჯიში და ოფიციალურ მატჩებში განაცხადში ყოფნა.***

— „კახასოლის" განაცხადში სეზონის დასაწყისშიც ვხვდებოდი. თუმცა, ახლა უფრო თამამად ვარ. ერთ-ერთ ბოლო ტურში მცირე ხნით, თუმცა მაინც მომიწია მოედანზე გასვლა.

***— განაცხადში საკმაოდ ბევრჯერ იყავი, მაგრამ მთლიანობაში მხოლოდ 35 წამი გაქვს ნათამაშები. ამაზე გული არ გწყდება?***

— მე იმითაც ბედნიერი ვარ, რომ ამ ასაკში ესპანეთის უმაღლესი დივიზიონის გუნდის ძირითად თორმეტ კაცში ვხვდები და საშუალება მეძლევა, „კახასოლთან" ერთად ვიყო, როგორც პრიმერადივიზიონის, ისე — ევროთასის მატჩებში. რა თქმა უნდა, მინდა თამაში, მაგრამ სიტუაციას რეალურად ვაფასებ. ვთვლი, რომ მოედანზე ყოფნას ჩემზე მეტად ის გამოცდილი კალათბურთელები იმსახურებენ, რომლებიც გუნდში არიან. განაცხადში ბოლო ადგილის შესავსებად, ძირითადად, სამი ახალგაზრდა ვიბრძვით: მე, 217-სანტიმეტრიანი ჩეხი ცენტრი და ესპანელი გამთამაშებელი. თითქმის ყოველთვის ჩემზე კეთდება არჩევანი, ამ მხრივ, თავს უკვე გამარჯვებულად ვთვლი.

***— ალბათ, ყოველთვის მოუთმენლად ელი, რომ მოედანზე შეხვალ. ეს „ბილბაოსთან" მატჩში მოხდა. როგორ გაიხსენებ იმ წუთებს, რა განიცადე მოედანზე შესვლისას?***

— ძალიან მძაფრი განცდა იყო. ხომ ამდენს ვთამაშობ ასაკობრივ და ება-ს მატჩებში, მაგრამ სულ სხვაა, როცა ესპანეთის პრიმერადივიზიონის შეხვედრაში გახვალ მოედანზე. მხოლოდ 35 წამი ვითამაშე, მაგრამ უდიდესი გამოცდილება მივიღე, თვითრწმენა შევიმატე. მოედანზე რომ შევედი, ჩვენები ჯარიმას ესროდნენ. შემდეგ მოწინააღმდეგის შეტევა დაიწყო და ბოლო წამებზე ჩვენს კალათს ჩემმა უშუალო ოპონენტმა შეუტია. ხელი ავუწიე და მან ბურთი ააცილა. ეს იყო და ეს, მაგრამ ამ შეხვედრაში მიღებული გამოცდილება ვერანაირ თამაშს ვერ შეედრება. ძალიან კმაყოფილი ვარ და ჩემს მორიგ შანსს ველოდები...

***— რომელიც, შესაძლოა, ევროთასის „ოთხთა ფინალში" მოგეცეს. „კახასოლთან" ერთად იტალიაში შენც მიემგზავრები.***

— დღეს ბოლო ვარჯიში გვქონდა და ხვალ ტრევიზოში მივდივართ. არა მგონია, ასეთ დაძაბულ მატჩებში მოედანზე გასვლა მომიწიოს, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი და ყველანაირი გამოცდისთვის მზად ვარ.

***— ევროთასის მოგების შანსებს როგორ შეაფასებ?***

— ძალიან ძლიერი გუნდები არიან. მეორე წყვილში ერთმანეთს ხორვატული „ცედევიტა" და რუსული „უნიქსი" ხვდებიან, ჩვენ კი ნახევარფინალში მასპინძელ „ბენეტონს" ვეთამაშებით. ამ გუნდს მიმდინარე სეზონში ევროთასზე უკვე შევხვდით. შინ რამდენიმე ქულით მოვიგეთ, ტრევიზოში კი 20 ქულით გვაჯობეს. სახლის გუნდია, თანაც „ოთხთა ფინალს" მასპინძლობს და უდიდესი მხარდაჭერა ექნება როგორც მაყურებლებისგან, ასევე მსაჯებისგან. მიუხედავად ამისა, ვთვლი, რომ მოგება შეგვიძლია. ჩვენი გუნდი ძალიან კარგადაა მომზადებული და ტრევიზოში მხოლოდ მოსაგებად მივდივართ.

***— სევილიაში ყოფნითა და თამაშით, როგორც ჩანს, კმაყოფილი ხარ.***

— დიახ, აქ ძალიან კარგი გარემოა და რაც მთავარია, პროფესიონალი მწვრთნელები არიან. მათი ძალიან კმაყოფილი ვარ. ჩემს განვითარებაზე ზრუნავენ და მეც არაფერს ვიშურებ, რომ პროფესიონალად ჩამოვყალიბდე.

***— პირობები რამდენად მისაღებია?***

— ვცხოვრობ დიდ საერთო საცხოვრებელში, სადაც ძირითადად სტუდენტები არიან. „კახასოლის" ლეგიონერებსა და არასევილიელ ესპანელ მოთამაშეებს ერთი სართული გვაქვს დაკავებული. ოთახში აფრიკელ თანაგუნდელთან ერთად ვარ, რომელიც გამბიიდანაა. დავდივარ სკოლაში და ვარჯიშებზე. საკმაოდ კარგ პირობებში ვარ.

***— სკოლაში რა ენაზე და რას სწავლობ?***

— თავდაპირველად ესპანურ ენას ვსწავლობდი, რომელიც ხუთ თვეში შევისწავლე და შემდეგ ჩვეულებრივ სასკოლო საგნებზე გადავედი. ახლა ვსწავლობ ფიზიკას, ისტორიას, მათემატიკას — ჩვეულებრივად, როგორც საქართველოში.

***— წინა სეზონში „კახასოლში" საქართველოს ნაკრების ნატურალიზებული წევრი, ტაირონ ელისი თამაშობდა. მასთან თუ გქონდა ურთიერთობა?***

— ელისი ძალიან კარგი და ყურადღებიანი ადამიანია. როცა ჩვენს გუნდში იყო, ძალიან ხშირად ვხვდებოდით მოედნის გარეთ. მის მეუღლესაც კარგად ვიცნობ — ისინი ხშირად მპატიჟებდნენ რესტორანში. ელისს არაერთხელ გაუკეთებია ჩემთვის საჩუქარი სპორტულ ამუნიციას მაძლევდა, ერთხელ მობილური ტელეფონიც მაჩუქა. მიყვებოდა საქართველოს ნაკრებში გატარებულ პერიოდზე. ჩვენი ნაკრების წევრებთან მას ძალიან კარგი და მეგობრული ურთიერთობები აქვს. გული დამწყდა, ელისი რომ „ესტუდიანტესში" გადავიდა, თუმცა მასთან ხშირად ვკონტაქტობ.

***— „კახასოლთან" კონტრაქტი როდემდე გაქვს?***

— 2011-2012 სეზონი რომ დასრულდება, კონტრაქტიც ამოიწურება. მინდა „კახასოლში" დარჩენა, მაგრამ თუ უკეთესი ვარიანტი გამომიჩნდება, უარს არ ვიტყვი. სადაც კარგად განვვითარდები, იქ მინდა ყოფნა. ჩემთვის ახლა თამაშის სრულყოფაა მთავარი.

***— საქართველოს ასაკობრივ ნაკრებზე რას იტყვი? გასულ წელს, როცა 16-წლამდელებში გამოდიოდი, ელიტაში გადასვლამდე სულ ცოტა დაგაკლდათ...***

— ნაკრებში თამაში ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია. ყოველთვის უდიდეს სიხარულს განვიცდი, როცა მოედანზე საქართველოს სახელის დასაცავად გავდივარ. გასული წლის ბოლმა ახლაც გულში მაქვს. ძალიან განვიცადე, ა დივიზიონში რომ ვერ გადავედით და მიზნის მიღწევას მომავალ ზაფხულს ვაპირებ — თუმცა ახლა უკვე 18-წლამდელთა ნაკრებთან ერთად.

***— ნაკრები კარგა ხანია შეკრებილია. გუნდს შენ როდის შეუერთდები?***

— საქართველოში 1 ივლისს ჩამოვალ, რის შემდეგაც ერთ კვირას დავისვენებ და შემდეგ 18-წლამდელთა ნაკრების ახალი მწვრთნელის, მიხეილ ბერუაშვილის განკარგულებაში ვიქნები. მზად ვარ, ჩემი ესპანეთში მიღებული გამოცდილება საქართველოს ნაკრებს საერთაშორისო ასპარეზზე მოვახმარო.

პ.ს. ბურჯანაძემ ტრევიზოს „ოთხთა ფინალშიც" მცირე დროით ითამაშა, ხოლო მისი გუნდი ფინალში დამარცხდა ყაზანის „უნიქსთან".

# მეხუმრებიან, გეგონა, ნიჟნი ნოვგოროდში მიდიოდი და თურმე საქართველოში წასულხარო

დასაწყისი მე-16 გვერდზე

— იმიტომ მიდიან, რომ საქართველოში ჯერ არაა ისეთი პირობები, როგორიც ევროპაში. მაღალ დონეზე თამაში ყველას სურს. როგორც კი საქართველოში ფეხბურთელი ოსტატობის გარკვეულ დონეს მიაღწევს, კლუბი მას ჰყიდის. აი, პერსპექტიული მოთამაშეები კი, საქართველოს მუდამ ჰყავდა და ჰყავს.

***— როდის წახვედით საქართველოს ჩემპიონატიდან და რატომ?***

— ჯერ თბილისის „ლოკომოტივში", მერე კი „დინამოში" ვთამაშობდი. „დინამო" „ზენიტს" ხვდებოდა ამხანაგურ მატჩში და ამ თამაშს „რუბინის" მწვრთნელმა ყურბან ბერდიევმა უყურა. შემდეგ თბილისის „დინამოში" ყაზანიდან დარეკეს — ჩემი შეძენა სურდათ და შემიძინეს კიდეც. ვფიქრობ, „რუბინის" ჩემ მიმართ ინტერესი იმის „ბრალიცაა", რომ ყაზანის გუნდში ქართველი მცველი ლევან სილაგაძე მშვენივრად თამაშობდა.

***— ყაზანში რომ გადახვედით, რუსული ენა იცოდით?***

— არა. იმ დროს ერთი სიტყვაც არ ვიცოდი. მეჩვენება, რომ რუსულად კარგად ახლაც ვერ ვლაპარაკობ.

***— ახლა იმორცხვებთ... და რაც შეეხება პირველ სეზონს — როგორ გარისკეთ რუსეთის ჩემპიონატში გადასვლა, როცა ენაც კი არ იცოდით?***

— ჯერ ერთი, ვერ ვიტყვი, რომ რუსეთი ჩვენთვის უცხო ქვეყანაა. უბრალოდ, ენის მხრივ მქონდა პრობლემა. სამ-ოთხ თვეში უკვე ყველაფერი მესმოდა, ხოლო ერთ წელიწადში ვსაუბრობდი კიდეც. მეორეც, „რუბინში" იმ დროს გიორგი ქინქლაძე თამაშობდა, მომდევნო წელს კი გადმოვიდნენ ნუკრი რევიშვილი, ზურაბ არზიანი და მიხეილ აშვეთია. ასე რომ, ქართველები მოვგროვდით და ვარჯიშებზე ენის პრობლემა აღარ იყო.

***— ქართველების გარდა, „რუბინში" კიდევ ბევრი ეროვნების ფეხბურთელი იყო. მათთან ურთიერთობა ხომ არ გიჭირდათ?***

— არა, ჩვენ ერთი ოჯახივით ვიყავით. რუსი, უცხოელი... ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა, რადგან „რუბინი" ძალიან მეგობრული გუნდი იყო. ვფიქრობ, შედეგშიც აისახა,

„რუბინი" ორჯერ გახდა რუსეთის ჩემპიონი.

***— ახლა „ვოლგაშიც" ქართული დიასპორაა.***

— ყოფილი თანაგუნდელები მეხუმრებიან — გეგონა, ნიჟნი ნოვგოროდში მიდიოდი და თურმე საქართველოში წასულხარო. ეს ხუმრობაა. ისე, მე ის ახალგაზრდა ბიჭი აღარ ვარ, 6 წლის წინ ყაზანში რომ გადავიდა. ამჯერად, ადაპტაციასთან პრობლემა არ მქონია.

***— „ვოლგაში" ქართველი ფეხბურთელები ცალკე ჯგუფად ხართ?***

— არა, რატომ ცალკე?! რა თქმა უნდა, ქართველები ერთმანეთში უფრო ახლოს ვართ, ოჯახებით ვმეგობრობთ, მინდვრის გარეთაც ყოველდღიურად ვხვდებით, თუმცა ეს იმიტომ, რომ გუნდში ბევრი ახალი ფეხბურთელია და ჯერ კარგად არ ვიცნობთ ერთმანეთს.

***— „ვოლგაში" რომ გიწვევდნენ, ძირითად შემადგენლობაში გარანტირებულ ადგილს გთავაზობდნენ?***

— რა თქმა უნდა, არა. ყოველ ვარჯიშზე თუ მატჩში უნდა დაამტკიცო, რომ სხვაზე ძლიერი ხარ. ძველ დამსახურებას არავინ უყურებს. სად და როგორ ბრწყინავდი, ეს უკვე ისტორიაა.

***— ამ ზამთარს, „რუბინიდან" სხვა კლუბშიც შეგეძლოთ გადასვლა?***

— მქონდა წინადადებები თურქეთიდან და უკრაინიდან, თუმცა რუსეთში მსურდა დარჩენა. „რუბინში" დარჩენა? შემეძლო, რადგან კონტრაქტი ჯერ კიდევ ძალაში იყო. უბრალოდ, გასულ წელს იშვიათად ვთამაშობდი ძირითად შემადგენლობაში და საამსეზონო პერსპექტივაც ასეთი ჩანდა. საქართველოს ეროვნული ნაკრებიდან მიწვევაზე უარის თქმას არ ვაპირებდი, ნაკრებში კი, სათამაშო პრაქტიკის გარეშე ჩასვლა არ მსურდა. ამიტომაც შევიცვალე კლუბი. „რუბინში" ბევრი ვისწავლე როგორც ფეხბურთელმა და როგორც პიროვნებამაც. და მადლობას ვუხდი ყურბან ბერდიევს, რომელმაც ჩემი არგუმენტები გაიგო და გამიშვა.

***— ანუ, „რუბინის" ხელმძღვანელობასთან კარგი ურთიერთობა შეინარჩუნეთ?***

— რა თქმა უნდა. „რუბინს" ყოველთვის ვუქომაგებ.

***— „ვოლგასთანაც"?***

— არა, „ვოლგასთან" ნამდვილად არა!

***— „რუბინის" რომელ ფეხბურთელებთან გაქვთ ხშირი ურთიერთობა?***

— იქ ბევრი მეგობარი მყავს. უფრო ხშირად, ვკონტაქტობ ალან კასაევთან და პიოტრ ბისტროვთან.

***— იცით, რომ ბისტროვი ნიჟნი ნოვგოროდელია?***

— ვიცი. როცა „ვოლგაში" მოვდიოდი, ბევრი რამ მომიყვა ნიჟნი ნოვგოროდზე. დამარწმუნა, რომ ეს დიდი და თანამედროვე ქალაქია, სადაც მოსახლეობაც საკმაოა და რესტორნებიც ბევრია. „ვოლგას" სტადიონზე არაფერი უთქვამს, არც მე მიკითხავს.

***— რამდენი ხნით აპირებთ „ვოლგაში" დარჩენას?***

— მხოლოდ ღმერთმა იცის, რა იქნება მომავალში. „ვოლგასთან" კონტრაქტი სამწლიანია. ვნახოთ. სხვათა შორის, „რუბინთანაც" თავიდან სამწლიანი ხელშეკრულება მქონდა და მერე კიდევ გავახანგრძლივეთ ოთხი წლით.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**



# აიფონი და აიპოდი მფლობელის გადაადგილებას თვალყურს ადევნებენ

პოპულარული მობილური აპარატები „აიფონი" და „აიპოდი 3ჯი", რომლის მწარმოებელიც კომპანია „ეფლი" გახლავთ, მფლობელის შეუმჩნევლად მისი ადგილმდებარეობის ცვლილების ინფორმაციას აგროვებენ და ცალკე ფაილში ინახავენ.

ეს განცხადება უსაფრთხოების სფეროს ექსპერტებმა გაავრცელეს.

სმარტფონის, ან პლანშეტური კომპიუტერის მფლობელის მონაცემები დამალულ, მაგრამ დაუშიფრავ ფაილში ინახება და შესაბამისი პროგრამის საშუალებით მისი დამუშავება და მფლობელის გადაადგილების შესახებ სრული ინფორმაციის მიღება არის შესაძლებელი.

ამ განცხადებით გამოვიდნენ მკვლევარები ალისდერ ალან და პიტ უორდენი, რომლებიც ამასთან არ ამტკიცებენ, რომ ხელსაწყოების მწარმოებლები მომხმარებელთა გადაადგილების ინფორმაციას იღებენ ან რამენაირად იყენებენ.

თავად კომპანია „ეფლს" ამ განცხადებისათვის კომენტარი არ გაუკეთებია.

„აიფონის" მფლობელების უმეტესობას ალბათ აზრადაც არ მოსდით, რომ მათი სმარტფონი მათ ალდგილმდებარეობას იწერს, რადგან ვიზუალურად ეს ფაქტი არსად ფიქსირდება. თუმცა, „აიფონისა" და „აიპოდით" სარგებლობის პირობებში არის ფორმულირება, რომელიც მომხმარებლის ადგილმდებარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების შესაძლებლობაზე ლაპარაკობს.

როგორც დოკუმენტში არის ნათქვამი, ამ ხელსაწყოს საშუალებით შესაძლებელი აინფორმაციის მიღება მფლობელის საქმიანობის, ენის, საფოსტო ინდექსის, სატელეფონო კოდის, ადგილმდებარეობის, სასაათო სარტყელის შესახებ, სადაც „ეფლის" პროდუქციით სარგებლობენ, კლიენტების ქცევის უკეთ გაგებისა და მისი მოთხოვნილებების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით.

ალენისა და უორდენისათვის ცნობილი არ არის, თუ რა მიზნით აგროვებს „ეფლი" მათი კლიენტების გეოლოკაციურ მონაცემებს, მაგრამ ეს ფუნქცია აშკარად წინაწარგანზრახვით არის ჩასმული.

გადაადგილების დაფიქსირება ამ ხელსაწყოში ყოველთვის არ მოქმედებდა და 2010 წლის ოპერაციული სისტემის განახლების შემდეგ გაჩნდა.

გარდა ამისა, „აიფონის" და „აიპოდის" მფლობელის კომპიუტერში ყოველ მიერთებისას კოორდინატების ფაილის გადაწერა ხდება სინქრონიზაციის ან სარეზერვო კოპირების დროს.

**გ.თ.**

# ევროპაში დღესასწაულმა ტურები შეამოკლა

## ინგლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.04 | მანჩესტერი-ევერტონი | 1.5 | 3.75 | 8.0 |
| 23.04 | ასტონ ვილა-სტოკი | 1.91 | 3.5 | 4.0 |
| 23.04 | ბლექპული-ნიუკასლი | 2.8 | 3.3 | 2.5 |
| 23.04 | ლივერპული-ბირმინგემი | 1.5 | 3.75 | 8.0 |
| 23.04 | სანდერლენდი-უიგანი | 2.12 | 3.0 | 3.5 |
| 23.04 | ტოტენჰემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.61 | 3.6 | 6.0 |
| 23.04 | ვულვზი-ფულემი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 23.04 | ჩელსი-ვესტ ჰემი | 1.25 | 5.5 | 12.0 |
| 24.04 | ბოლტონი-არსენალი | 4.5 | 3.5 | 1.8 |
| 25.04 | ბლექბერნი-სიტი | 3.5 | 3.2 | 2.15 |

### მანჩესტერი — ევერტონი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-დარენ ფლეტჩერი, ოუენ ჰარგრივზი; დისკვ-პოლ სქოულზი

ევერტონი: ***ტრავმ***-ტიმ კეიჰილი (?), ლუი საა, მიკელ არტეტა, მარუან ფელაინი

### ასტონ ვილა — სტოკი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-არავინ

სტოკი: ***ტრავმ***-აბდულაიე ფაიე, ჯონ კარეუ, მამადუ სიდიბე

### ბლექპული — ნიუკასლი

ბლექპული: ***ტრავმ***-ჩარლი ადამი, დევიდ ვაიგანი, კრის ბაშამი; ***დისკვ***-მარკ ჰალსტედი

ნიუკასლი: ***ტრავმ***-სტივ აჰრპერი (?), ტამაშ კადარი, ლეონ ბესტი, დან გუსლინგი, ალან სმიტი, ჰატემ ბენ არფა

### ლივერპული — ბირმინგემი

ლივერპული: ***ტრავმ***-ანდრიუ კეროლი, ჯიმი კარაგერი, დანიელ აგერი, გლენ ჯონსონი, სტივენ ჯერარდი

ბირმინგემი: ***ტრავმ***-ობაფემი მარტინსი, მარტინ იირანეკი, მაიკ ტეილორი, ენრიკ ველში, ჯეიმს მაკფადენი, სკოტ დანი

### სანდერლენდი — უიგანი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-კრეიგ გორდონი, ჯონ მენსა, ტიტუს ბრამბლი, ფრეიზერ კემბელი

უიგანი: ***ტრავმ***-არავინ

### ტოტენჰემი — ვესტ ბრომვიჩი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ალან ჰატონი, ლედლი კინგი, ჯონათან ვუდგეიტი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-პაბლო იბანიესი

### ვულვზი — ფულემი

ვულვზი: ***ტრავმ***-სტივენ ჰანტი, რონალდ ზუბარი, კევინ დოილი, სტივენ მოუიოკოლო

### ჩელსი — ვესტ ჰემი

ჩელსი: ***ტრავმ***-რამირესი, ალექსი

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-პეტერ კურუვჩი

### ბოლტონი — არსენალი

ბოლტონი: ***ტრავმ***-სტიუარტ ჰოლდენი, შონ დევისი, სამუელ რისკეტსი

არსენალი: ***ტრავმ***-ლუკაშ ფაბიანსკი, ტომას ვერმალენი

### ბლექბერნი — სიტი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-რაიან ნელსენი, ვინსე გრელა, კეიტ ენდრიუსი; ***დისკვ***-სტივენ ნზონზი, ჰეროლდ გულონი

სიტი: ***ტრავმ***-კარლოს ტევესი, ჯერომ ბოატენგი, შეი გივენი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 33 | 20 | 10 | 3 | 70:32 | 70 |
| 2.არსენალი | 32 | 18 | 9 | 5 | 63:31 | 63 |
| 3.ჩელსი | 32 | 18 | 7 | 7 | 58:26 | 61 |
| 4.სიტი | 32 | 16 | 8 | 8 | 50:30 | 56 |
| 5.ტოტენჰემი | 31 | 14 | 11 | 6 | 44:36 | 53 |
| 6.ლივერპული | 33 | 14 | 7 | 12 | 46:39 | 49 |
| 7.ევერტონი | 34 | 11 | 14 | 8 | 47:41 | 47 |
| 8.ბოლტონი | 32 | 11 | 10 | 11 | 46:43 | 43 |
| 9.ნიუკასლი | 33 | 10 | 10 | 13 | 48:47 | 40 |
| 10.ას. ვილა | 33 | 10 | 10 | 13 | 42:54 | 40 |
| 11.ვესტ ბრომ. | 33 | 10 | 9 | 14 | 47:62 | 39 |
| 12.ფულემი | 32 | 8 | 14 | 10 | 36:36 | 38 |
| 13.სტოკი | 32 | 11 | 5 | 16 | 39:42 | 38 |
| 14.ბირმინგემი | 31 | 8 | 14 | 9 | 32:41 | 38 |
| 15.სანდერლ. | 34 | 9 | 11 | 14 | 37:50 | 38 |
| 16.ბლექბერნი | 33 | 9 | 8 | 16 | 40:54 | 35 |
| 17.უიგანი | 32 | 7 | 13 | 12 | 32:50 | 34 |
| 18.ბლექპული | 33 | 9 | 6 | 18 | 47:69 | 33 |
| 19.ვესტ ჰემი | 33 | 7 | 11 | 15 | 39:58 | 32 |
| 20.ვულვზი | 32 | 9 | 5 | 18 | 36:56 | 32 |

## იტალია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.04 | რომა-კიევო | 1.44 | 4.0 | 8.0 |
| 23.04 | ინტერი-ლაციო | 1.95 | 3.2 | 4.2 |
| 23.04 | ბოლონია-კიევო | 3.4 | 1.7 | 5.5 |
| 23.04 | კალიარი-ფიორენტინა | 2.5 | 2.7 | 3.4 |
| 23.04 | ჯენოა-ლეჩე | 2.3 | 2.4 | 4.5 |
| 23.04 | პალერმო-ნაპოლი | 3.0 | 3.1 | 2.4 |
| 23.04 | უდინეზე-პარმა | 1.7 | 3.4 | 5.5 |
| 23.04 | ბარი-სამპდორია | 5.0 | 5.0 | 1.44 |
| 23.04 | ბრეშა-მილანი | 5.0 | 3.2 | 1.8 |
| 23.04 | იუვენტუსი-კატანია | 1.44 | 4.0 | 8.0 |



### რომა — კიევო

რომა: ***ტრავმ***-ფილიპ მექსე, ჟულიო სერჟიო (?)

კიევო: ***ტრავმ***-ბიოან იოკიჩი, სანტიაგო მორერო 9?), ლუჩიანო; ***დისკვ***-ლუკა რიგონი

### ინტერი — ლაციო

ინტერი: ***ტრავმ***-ტიაგო მოტა (?), სამუელ ეტოო (?), ივან კორდობა, დავიდ სუაზო, ვალტერ სამუელი

ლაციო: ***ტრავმ***-ჯუზეპე სკული, მობიდო დიაკიტე, ტომაზო როკი; დისკვ-ფრანსისკო მათუზალემი

### ბოლონია — ჩეზენა

ბოლონია: ***ტრავმ***-დიეგო პერესი (?), ალბინ ეკდალი (?), მასიმო მუტარელი, ბრუნო მონტელონგო

ჩეზენა: ***ტრავმ***-მასიმილიანო პელეგრინ (?), ალესაბდრო როსიან, ფელიპე, ივან ფატიჩი; ***დისკვ***-პაოლო სამარკო

### კალიარი — ფიორენტინა

კალიარი: ***ტრავმ***-ფრანჩესკო პისანო, ნენე

ფიორენტინა: ***ტრავმ***-მარიო სანტანა, ხუან ვარგასი, სტევან იოვეტიჩი

### ენოა — ლეჩე

ჯენოა: ***ტრავმ***-მიგელ ველოდო, მატია დესტრო (?)

ლეჩე: ***ტრავმ***-სტეფანო ფერარიო, ანდრეა ბეტოლაჩი, ედვარდ ეფერე, ალბერტო გულიატო

### პალერმო — ნაპოლი

პალერმო: ***ტრავმ***-მაურისიო პინილია (?); დისკვ-დორინ გოიანი

ნაპოლი: ***ტრავმ***-ჯანლუკა გრავა; ***დისკვ***-ეზეკიელ ლავესი, პაოლო კანავარო

### უდინეზე — პარმა

უდინეზე: ***ტრავმ***-ანტონიო დი ნატალე (?), დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი; ***დისკვ***-სამირ ჰანდანოვიჩი, მაურისიო დომიცი

პარმა: ***ტრავმ***-ტონი კალვო, მასიმო პაჩი, რაფაელ პალადინო, ფერნანდო მარკესი

### ბარი — სამპდორია

ბარი: ***ტრავმ***-აბდელკადერ გეზალი, ხაიმე რომერო, ხოსე იგნასიო, სტეფანო ოკაკა ჩუკა, ვიტალი კუტუზოვი, ვიტო ბარეტო, სალვატორე მასიელო

სამპდორია: ***ტრავმ***-დანიელე კასტადელო (?), მარკო პალადინო, ჯილბერტო მარტინესი, ფრანკო სემიოლი

### ბრეშა — მილანი

ბრეშა: ***ტრავმ***-პიეტრო აკარდი (?), ნიკოლას კორდოვა, მატეო სერენი, სიმონე დალამანო; დისკვ-დავიდე ძობოლი

მილანი: ***ტრავმ***-პატო, კრისტიან აბიატი, ალესანდრო ნესტა, მარეკ იანკულოვსკი, დანიელე ბონერა (?), მასიმო ამბროზინი, ფილიპო ინძაგი; ***დსიკვ***-ზლატან იბრაჰიმოვიჩი

### იუვენტუსი — კატანია

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჯორჯო კიელინი, ვინჩენცო იაკინტა, მოჰამედ სისოკო, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, რინაუდო

კატანია: ***ტრავმ***-კრისტიან ლამა, ალესანდრო პოტენცა (?), ფაბიო სკიაცა, რაფაელ მარტინიო, ჯუზეპე ბელუჩი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 33 | 21 | 8 | 4 | 59:23 | 71 |
| 2.ნაპოლი | 33 | 20 | 5 | 8 | 53:32 | 65 |
| 3.ინტერი | 33 | 19 | 6 | 8 | 58:37 | 63 |
| 4.ლაციო | 33 | 18 | 6 | 9 | 45:30 | 60 |
| 5.უდინეზე | 33 | 18 | 5 | 10 | 59:35 | 59 |
| 6.რომა | 33 | 15 | 8 | 10 | 51:47 | 53 |
| 7.იუვენტუსი | 33 | 14 | 10 | 9 | 50:40 | 52 |
| 8.პალერმო | 33 | 14 | 5 | 14 | 50:54 | 47 |
| 9.კალიარი | 33 | 12 | 8 | 13 | 41:40 | 44 |
| 10.ფიორენტინა | 33 | 10 | 13 | 10 | 38:35 | 43 |
| 11.ჯენოა | 33 | 11 | 9 | 13 | 34:37 | 42 |
| 12.ბოლონია | 33 | 11 | 10 | 12 | 34:44 | 40 |
| 13.კიევო | 33 | 9 | 12 | 12 | 32:34 | 39 |
| 14.კატანია | 33 | 9 | 9 | 15 | 31:45 | 36 |
| 15.პარმა | 33 | 8 | 11 | 14 | 32:45 | 35 |
| 16.ლეჩე | 33 | 9 | 8 | 16 | 38:56 | 35 |
| 17.ჩეზენა | 33 | 8 | 8 | 15 | 30:45 | 34 |
| 18.სამპდორია | 33 | 7 | 11 | 15 | 26:39 | 32 |
| 19.ბრეშა | 33 | 7 | 9 | 17 | 28:43 | 30 |
| 20.ბარი | 33 | 4 | 9 | 20 | 20:48 | 21 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

## ესპანეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.04 | ვალენსია-რეალი | 2.3 | 3.3 | 3.1 |
| 23.04 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.2 | 6.0 | 15.0 |
| 23.04 | ბილბაო-სოსიედადი | 1.67 | 3.75 | 5.0 |
| 24.04 | ერკულესი-დეპორტივო | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 24.04 | მალიორკა-ხეტაფე | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 24.04 | რასინგი-მალაგა | 2.3 | 3.2 | 3.2 |
| 24.04 | ხიხონი-ესპანიოლი | 2.0 | 3.4 | 3.75 |
| 24.04 | ატლეტიკო-ლევანტე | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 24.04 | სევილია-ვილიარეალი | 2.0 | 3.75 | 4.0 |
| 25.04 | სარაგოსა-ალმერია | 1.8 | 3.5 | 4.5 |

### ვალენსია — რეალი

ვალენსია: ***ტრავმ***-ალბერტო კოსტა, ბრუნო, დავიდ ნავარო, ვისენტე, ჩორი დომინგესი

რეალი: ***ტრავმ***-ლასანა დიარა, პედრო ლეონი, ფერნანდო გაგო

### ბარსელონა — ოსასუნა

ბარსელონა: ***ტრავმ***-ადრიანო, ბოიან კრკიჩი, ერიკ აბიდალი

ოსასუნა: ***ტრავმ***-კარლოს არანდა, ოიერი, რუპერი

### ბილბაო — სოსიედადი

ბილბაო: ***ტრავმ***-აიტორ ოსიო, ინიგო დე სერიო, იგორ კასერესი, იბაი გომესი, იონას რამალიო

სოსიედადი: ***ტრავმ***-ალბერტო დელა ბელა, ხოსება ლიორენტე

### ერკულესი — დეპორტივო

ერკულესი: ***ტრავმ***-ფრანსისკო ფარინოსი, უნაი ალბა, ნოე პარამოტი, ტოტე

დეპორტივო: ***ტრავმ***-რიკი, ივეს დესმარეტსი, ზე კასტრო

### მალიორკა — ხეტაფე

მალიორკა: ***ტრავმ***-ენრიკე კორალესი, ხონათან დე გუზმანი, ტომას პინა, პერეირა, ნადალი

ხეტაფე: ***ტრავმ***-მანუ დელ მორალი, პედრო რიოსი, ხუან ალბინი, რაფა ლოპესი, ხაიმე გავილანი

### რასინგი — მალაგა

რასინგი: ***ტრავმ***-კენედი ბაქირჩიოღლუ, ფრანსისი, მანუელ როდრიგესი, ოსკარ სერანო, ალექსანდროს ციოლისი

მალაგა: ***ტრავმ***-რუბენი, გალა, სერხიო ასენხო

### ხიხონი — ესპანიოლი

ხიხონი: ***ტრავმ***-ნაჩო კასესი, რობერტო კანელა, ივან გუელარი, სასტრე, მატე ბილიჩი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-დავიდ გარსია, სერხიო გარსია, რაფაელ ბაენა, ხუან ფორლინი, ხესუს დატოლო, ივან დე ლა პენია

### ატლეტიკო — ლევანტე

ატლეტიკო: ***ტრავმ***-დიეგო ფორლანი, ვალერა, მერიდა პერესი, პულიდო

ლევანტე: ***ტრავმ***-ასიერ დელ ორნო, ჯეფერსონ მონტერო, სერხიო, გარსია გორკა, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი

### სევილია — ვილიარეალი

სევილია: ***ტრავმ***-ხესუს ნავასი, ფრედერიკ კანუტე, სერხიო სანჩესი, ლაუტარო აკოსტა, ლუკა გიგარინი, ტიბერიო გუარენტე

ვილიარეალი: ***ტრავმ***-გონსალო, ხავი ოლივა, მარკოს სენა, ანგელ ლოპესი

### სარაგოსა — ალმერია

სარაგოსა: ***ტრავმ***-მატეო კონტინი, ედმილსონი, ვიქტორ ლაგუარდია

ალმერია: ***ტრავმ***-მიგელ ნიეტო

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 32 | 27 | 4 | 1 | 86:17 | 85 |
| 2.რეალი | 32 | 24 | 5 | 3 | 73:23 | 77 |
| 3.ვალენსია | 32 | 19 | 6 | 7 | 54:35 | 63 |
| 4.ვილიარეალი | 32 | 17 | 6 | 9 | 49:36 | 57 |
| 5.ბილბაო | 32 | 15 | 3 | 14 | 49:46 | 48 |
| 6.ატლეტიკო | 32 | 13 | 7 | 12 | 50:43 | 46 |
| 7.სევილია | 32 | 13 | 7 | 12 | 48:47 | 46 |
| 8.ესპანიოლი | 32 | 14 | 3 | 15 | 40:45 | 45 |
| 9.ლევანტე | 32 | 12 | 6 | 14 | 36:42 | 42 |
| 10.მალიორკა | 32 | 11 | 6 | 15 | 33:45 | 39 |
| 11.ხიხონი | 32 | 9 | 11 | 12 | 30:37 | 38 |
| 12.სოსიედადი | 32 | 12 | 2 | 18 | 42:55 | 38 |
| 13.დეპორტივო | 32 | 9 | 11 | 12 | 27:40 | 38 |
| 14.ხეტაფე | 32 | 10 | 7 | 15 | 43:51 | 37 |
| 15.ოსასუნა | 32 | 9 | 8 | 15 | 37:39 | 35 |
| 16.რასინგი | 32 | 9 | 10 | 13 | 31:47 | 34 |
| 17.სარაგოსა | 32 | 8 | 9 | 15 | 31:45 | 33 |
| 18.მალაგა | 32 | 9 | 6 | 17 | 42:62 | 33 |
| 19.ერკულესი | 32 | 8 | 6 | 18 | 28:50 | 30 |
| 20.ალმერია | 32 | 5 | 11 | 16 | 32:57 | 26 |

## გერმანია

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 23.04 | აინტრახტი-ბაიერნი | 6.5 | 4.0 | 1.5 |
| 23.04 | ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი | 1.57 | 3.8 | 6.0 |
| 23.04 | შალკე-კაიზერი | 2.0 | 3.2 | 4.0 |
| 23.04 | ზანკტ პაული-ვერდერი | 3.4 | 3.4 | 2.1 |
| 23.04 | შტუტგარტი-ჰამბურგი | 2.0 | 3.5 | 3.5 |
| 23.04 | გლადბახი-დორტმუნდი | 5.5 | 3.75 | 1.61 |
| 24.04 | ვოლფსბურგი-კიოლნი | 1.7 | 3.6 | 5.0 |
| 24.04 | ნიურნბერგი-მაინცი | 2.1 | 3.3 | 3.5 |

### აინტრახტი — ბაიერნი

აინტრახტი: ***ტრავმ***-მაიკ ფრანცი, სონი კიტელი, გიორგიოს ცაველასი, კრისი; ***დისკვ***-ალექსანდერ მეიერი

ბაიერნი: ***ტრავმ***-დანიელ პრანიჩი, ჰამიტ ალტინტოპი, ივიცა ოლიჩი; ***დისკვ***-არიენ რობენი

### ლევერკუზენი — ჰოფენჰაიმი

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-არავინ

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-დენის ტომალა, ტობიას ვეისი, ბორის ვუკჩევიჩი, სეიად სალიჰოვიჩი, მანუელ გულდე

### შალკე — კაიზერი

შალკე: ***ტრავმ***-ბენედიქტ ჰეივედესი, პეერ კლუგე, მარიო გავრანოვიჩი, კლაას იან ჰუნტელაარი, კრისტიან პანდერი, კრისტოფ მორიტცი, ლევან ყენია

კაიზერი: ***ტრავმ***-ადამ ნემეცი, ივო ილიჩევიჩი, იან შიმუნეკი

### ზანკტ პაული — ვერდერი

ზანკტ პაული: ***ტრავმ***-რიჩარდ სუკუტა პასუ, მატიას ჰაინი, კარლოს ძამპარნო, კარსტენ როტენბახი

ვერდერი: ***ტრავმ***-სებასტიან პროდლი, საიდ ჰუსეინოვიჩი, დანიელ იენსენი, ლენარტ ტუ

### შტუტგარტი — ჰამბურგი

შტუტგარტი: ***ტრავმ***-ტიმო გერბახტი, ელსონი, ფილიპ დეგენი, პატრიკ ფუნკი, ჩიპრიან მარიკა

ჰამბურგი: ***ტრავმ***-ჯონათან პიტროიპა, რუუდ ვან ნისტელროოი, იორის მატიისენი, მარსელ იანსენი, კოლინ ბენჯამინი, ტომას რინკონი

### გლადბახი — დორტმუნდი

გლადბახი: ***ტრავმ***-იენს ვასინგი; დისკვ-მაიკ ჰანკე

დორტმუნდი: ***ტრავმ***-ნური საჰინი, სებასტიენ კელი, შინჯი კაგავა

### ვოლფსბურგი — კიოლნი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-თოლგა, ტომას კალენბერგი, ფაბიენ ჯონსონი

კიოლნი: ***ტრავმ***-სლავომირ პეჟკო, სიმონ ტეროდე, კრისტოფერ შორცი; ***დისკვ***-ლუკაშ პოდოლსკი

### ნიურნბერგი — მაინცი

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-მარკუს მენდლერი, მაიკ ფრანტცი, პასკალ ბიელერი, ალბერტ ბუინაკუ

მაინცი: ***ტრავმ***-ჰაინც მიულერი, ადამ ზალაი, იან შიმაკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 30 | 21 | 6 | 3 | 62:18 | 69 |
| 2.ლევერკუზ. | 30 | 18 | 7 | 5 | 60:40 | 61 |
| 3.ჰანოვერი | 31 | 18 | 3 | 10 | 45:41 | 57 |
| 4.ბაიერნი | 30 | 16 | 7 | 7 | 66:36 | 55 |
| 5.მაინცი | 30 | 15 | 3 | 12 | 44:37 | 48 |
| 6.ნიურნბერგი | 30 | 13 | 7 | 10 | 45:38 | 46 |
| 7.ჰამბურგი | 30 | 12 | 7 | 11 | 44:45 | 43 |
| 8.ფრაიბურგი | 31 | 12 | 5 | 14 | 39:47 | 41 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 30 | 10 | 10 | 10 | 45:42 | 40 |
| 10.შალკე | 30 | 11 | 7 | 12 | 35:34 | 40 |
| 11.ვერდერი | 30 | 8 | 11 | 11 | 40:56 | 35 |
| 12.კიოლნი | 30 | 9 | 5 | 15 | 40:57 | 35 |
| 13.კაიზერი | 30 | 9 | 7 | 14 | 40:48 | 34 |
| 14.აინტრახტი | 30 | 9 | 6 | 15 | 29:40 | 33 |
| 15.შტუტგარ. | 30 | 9 | 6 | 15 | 52:55 | 33 |
| 16.ვოლფსბ. | 30 | 6 | 11 | 13 | 34:44 | 29 |
| 17.ზ. პაული | 30 | 8 | 5 | 17 | 32:53 | 29 |
| 18.გლადბახი | 30 | 7 | 5 | 18 | 43:64 | 26 |

## საფრანგეთი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 24.04 | ოსერი-ლანსი | 2.0 | 3.0 | 4.2 |
| 24.04 | ბორდო-სტ.ეტიენი | 1.91 | 3.2 | 4.33 |
| 24.04 | ბრესტი-პსჟ | 3.4 | 3.0 | 2.3 |
| 24.04 | კაენი-ტულუზა | 2.5 | 3.0 | 3.0 |
| 24.04 | მონაკო-რენი | 2.2 | 3.0 | 3.6 |
| 24.04 | ნანსი-არლე | 1.5 | 4.0 | 7.0 |
| 24.04 | ვალანსიენი-სოშო | 2.05 | 3.1 | 4.0 |
| 24.04 | ლორიენი-ლილი | 3.2 | 3.2 | 2.3 |

### ოსერი — ლანსი

ოსერი: ***ტრავმ***-დელვინ ნდინგა, ჟერემი ბერტოდი, ბენუა პედრეტი, ჟან პასკალ მინიო

ლანსი: ***ტრავმ***-ნენად კოვაჩევიჩი, სიდი კეიტა, დავიდ პოლე, სტივენ მონრო

### ბორდო — სტ.ეტიენი

ბორდო: ***ტრავმ***-ბენუა ტრემოულინასი, ფლორიან მარანგე, იოან გუფრანი, აბდუალიე კეიტა

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-მუსტაფა სალი, ლოიკ პერინი, იოან ენდრიუ

### ბრესტი — პსჟ

ბრესტი: ***ტრავმ***-ომარ დაფი, იოან ბინიო

პსჟ: ***ტრავმ***-პეგი ლუინდულა

### კაენი — ტულუზა

კაენი: ***ტრავმ***-გრეგორი პრომენი, ბრანკო ლაზარევიჩი

ტულუზა: ***ტრავმ***-მარკ ვიდალი, იოან პელე

### მონაკო — რენი

მონაკო: ***ტრავმ***-მენდი, ლორენ ბონა, მაჰამადუ დიარა, კრის მალონგა, მუსა მააზუ, ჯიმი ტრაორე

რენი: ***ტრავმ***-აბდულ კამარა, იასინ ბრაჰინი, სილვიან მრვო, ონეაკაჩი აპამი

### ნანსი — არლე

ნანსი: ***ტრავმ***-იუსუფ ჰაჯი, ჯენარო ბრაჩილიანო

არლე: ***ტრავმ***-ტომას აიასე, ლიოკ აბენზოარი, ჟილ ერმენი, კაბა დიავარა, სირილ მერვილი

### ვალანსიენი — სოშო

ვალანსიენი: ***ტრავმ***-სტივენ ლანგილი, რემი გომისი, მამადუ სამასა, გულიმ ლორიო

სოშო: ***ტრავმ***-ფატი, კევინ ანინი, იასინ მიკარი, ჟერემი ბრეჩე

### ლორიენი — ლილი

ლორიენი: ***ტრავმ***-ჩეიკ დაკური, ოლივიე მონტერუბიო

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლილი | 31 | 16 | 11 | 4 | 53:30 | 59 |
| 2.მარსელი | 31 | 16 | 10 | 5 | 46:27 | 58 |
| 3.ლიონი | 31 | 14 | 11 | 6 | 52:29 | 53 |
| 4.პსჟ | 31 | 14 | 10 | 7 | 45:31 | 52 |
| 5.რენი | 31 | 14 | 9 | 8 | 33:25 | 51 |
| 6.სტ.ეტიენი | 31 | 11 | 11 | 9 | 40:37 | 44 |
| 7.ლორიანი | 31 | 11 | 10 | 10 | 38:36 | 43 |
| 8.მონპელიე | 31 | 11 | 10 | 10 | 27:33 | 43 |
| 9.სოშო | 31 | 12 | 6 | 13 | 46:39 | 42 |
| 10.ბორდო | 31 | 9 | 14 | 8 | 38:35 | 41 |
| 11.ბრესტი | 31 | 10 | 9 | 12 | 32:35 | 39 |
| 12.ნიცა | 31 | 9 | 12 | 10 | 25:33 | 39 |
| 13.ვალანსიენი | 31 | 8 | 14 | 9 | 36:33 | 38 |
| 14.ტულუზა | 31 | 11 | 5 | 15 | 31:34 | 38 |
| 15.ნანსი | 31 | 10 | 7 | 14 | 32:44 | 37 |
| 16.ოსერი | 31 | 7 | 16 | 8 | 35:36 | 35 |
| 17.მონაკო | 31 | 7 | 14 | 10 | 31:32 | 35 |
| 18.კაენი | 31 | 9 | 8 | 14 | 35:46 | 35 |
| 19.ლანსი | 31 | 6 | 11 | 14 | 29:47 | 29 |
| 20.არლე | 31 | 1 | 10 | 20 | 16:58 | 13 |

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# ახლობლების გარეშე ვერ ვძლებ

## დეპუტატი გიორგი იმნა ე „დიმაუშკას“ აფეთქებდა



ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის წევრი გიორგი იმნაძე ამბობს, რომ რაჭველებისთვის დამახასიათებელი სიდინჯე აქვს, თუმცა, სიფიცხეც ახასიათებს. დეპუტატი ხუმრობს, რომ რაჭველებისთვის ნერვების მოშლა ძნელია, თუმცა, თუ ნერვები მოუშალე, მერე მტრისას.**

გიორგი იმნაძე არ მალავს, რომ საკმაოდ ცელქი ბავშვი იყო. 4 წლის ასაკში უმცროს ძმასთან ერთად როიალი გადაატრიალა, რის გამოც მშობლებმა დატუქსეს.

სკოლის პერიოდიდან გიორგი იმნაძე იხსენებს, რომ ერთ დღეს ინგლისურში ექვსი ორიანი მიიღო, რომელიც შემდეგ დირექტორმა გააუქმა.

აფეთქებდა თუ არა ბავშვობაში „დიმაუშკას“, რატომ გააგდო მათემატიკის მასწავლებელმა კლასიდან და სად დადიოდა „შატალოზე“?

„ახალი თაობა“ გიორგი იმნაძეს ესაუბრა.

***— იმნაძეები საიდან ხართ?***

— იმნაძეები წარმოშობით რაჭიდან ვართ, ამბროლაურის რაიონის სოფელ ტბეთიდან. მანამდე, როგორც ვიცი, გურიაში ცხოვრობდა სამი ძმა. მათ თავადი მოკლეს და გურიიდან გაიქცნენ. ერთი ძმა იმერეთში გადავიდა, ერთი ძმა რაჭაში წავიდა და ერთი — აჭარაში. ჩვენ რაჭის შტო ვართ.

***— დიდი გვარი ხართ?***

— მაინცდამაინც დიდი გვარი არა ვართ რაჭაში, იმერეთის შტოსთან ვნათესაობთ. იმნაძეების ნაწილი ემნაძეებად არის დაწერილი, მეფის რუსეთის დროს პასპორტიზაცია რომ დაიწყო, შეეშალათ და „ი“-ს მაგივრად „ე“ დაწერეს.

***— საგვარეულო შეკრება გქონდათ?***

— ერთხელ გვქონდა. ამ შეკრებაზე იმერელი, რაჭველი, გურული და აჭარელი იმნაძეები იყვნენ.

***— რაჭველებისთვის დამახასიათებელი თვისებები თუ გაქვთ, მაგალითად, სიდინჯე?***

— სიდინჯეც მაქვს და სიფიცხეც.

***— სიფიცხე რაჭველებისთვის რომ არ არის დამახასიათებელი?***

— რატომ? რაჭველებისთვის, უბრალოდ, ძნელია ნერვების მოშლა, თორემ, თუ ნერვები მოუშალე, მერე მტრისას.

***— რაჭველებზე ამბობენ, რომ რაღაცებს გვიან ხვდებიან. თქვენც ასე ხართ?***

— არა, თუმცა, არ მიყვარს, როდესაც მიკიბ-მოკიბვით მესაუბრებიან. მირჩევნია, პირდაპირ მითხრან, რა უნდათ.

***— დაოჯახებული ხართ?***

— არა.

***— რატომ, ესეც რაჭველობის ბრალი ხომ არ არის?***

— შეიძლება...

***— ორი მოწვევის პარლამენტის წევრი ხართ. წესით, სასურველ სასიძოდ უნდა ითვლებოდეთ და მეუღლე რატომ არა გყავთ?***

— ცოლის მოყვანას მარტო ის ხომ არ უნდა, რომ სასურველ სასიძოდ ჩაითვალო.

***— პრეტენზიული ხართ?***

— ნაკლებად. უბრალოდ, არ მიყვარს პრეტენზიული ხალხი, რატომღაც სულ ასეთები მხვდებიან, ზედმეტად პრეტენზიულები, რაც ქალებს ახასიათებთ...

***— როგორი ბავშვი იყავით, მშვიდი, დინჯი თუ ზომიერი?***

— საკმაოდ ცელქი ვიყავი. 4 წლისამ როიალი გადავატრიალე.

***— როგორ? მარტომ?***

— მე და ჩემმა ძმამ. ჩემი ძმა 3 წლის იყო.

***— ამის გამო დაისაჯეთ?***

— რა თქმა უნდა. იმის გამო, რომ ძალიან ცელქები ვიყავით, მშობლები საკმაოდ მკაცრად გვექცეოდნენ.

***— თქვენ და თქვენი უმცროსი ძმა ხშირად ჩხუბობდით?***

— არა. არ მახსენდება, რომ სერიოზულად გვეჩხუბოს. თუ ზოგჯერ წაკინკლავება მოგვდიოდა, მშობლები სულ იმას მეუბნებოდნენ, რომ მე უფროსი ვიყავი და უნდა დამეთმო.

***— სკოლაში მასწავლებელს რაღაცებს ხომ არ „უჩალიჩებდით?***

— კი.

***— „დიმაუშკა“ აგიფეთქებიათ?***

— როგორ არა. „დიმაუშკებს“ ვაფეთქებდით, იოდის კრისტალებს ვუდებდით სკამის ქვეშ, რომელიც დაჯდომისთანავე ფეთქდებოდა. მეექვსე კლასში ინგლისურ ენაში კლასი სამად ვიყოფოდით. ჩვენი მასწავლებელი არ იყო და შემცვლელი შემოვიდა. 20 წუთი არ იყო გასული, რომ ექთანი გამოიძახა, გულის წვეთები შემოატანინა.

***— ასეთი რა გაუკეთეთ?***

— რა ვიცი, არ ვუსმენდით, დავცინეთ, ვაშაყირეთ.

***— სკოლა სად გაქვთ დამთავრებული?***

— თბილისში, ვაკეში, 55-ე სკოლა დავამთავრე.

***— „შატალოზე“ ძირითადად სად დადიოდით?***

— „მზიურში“. შორს რომ არ წავსულიყავით, პირდაპირ „მზიურში“ ჩავდიოდით.

***— „შატალოზე“ ქალაქგარეთ არ მიდიოდით?***

— არა. „მზიური“ მაშინ კარგად იყო გაკეთებული, კარგი სანაყინე იყო. სხვათა შორის, ხორცი, კარტოფილი ხშირად წაგვიღია და იქვე შეგვიწვავს.

***— „შატალოზე“ ხშირად მიდიოდით?***

— ხშირად არა. ორი-სამი კაცი არასდროს წავსულვართ, თუ მივდიოდით — მთელი კლასი.

***— „შატალოს“ გამო ისჯებოდით თუ მშობლები ვერ იგებდნენ?***

— როგორ არა, მასწავლებლები ურეკავდნენ მშობლებს. მეცხრე-მეათე კლასში უკვე იმდენად აღარ გვსჯიდნენ.

***— დედა უფრო მკაცრი იყო თუ მამა?***

— დედა. მამა კაცურად დამელაპარაკებოდა და, ამასაც თუ ვერ გავიგებდი, დასჯა ის იყო, რომ სახლიდან არ გამიშვებდა.

***— სკოლაში რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— ასეთი საგანი არ იყო, თუმცა, ქიმია არ მომწონდა.

***— არადა, „დიმაუშკების“ აფეთქება გყვარებიათ. ქიმიაში რეაქციების გაკეთება არ მოგწონდათ?***

— კი, როდესაც რაღაცებს ვურევდით და რეაქცია ხდებოდა ან ცეცხლს ვუკიდებდით, ეგ მიყვარდა, მაგრამ ფორმულები, ვალენტობა არ მომწონდა.

***— ქიმიაში ორიანი მიგიღიათ?***

— ორიანი იშვიათად მიმიღია.

***— რომელ საგანში?***

— ერთხელ მახსოვს ინგლისურის მასწავლებელმა დამიწერა ორიანი. ყველა ბავშვი ადგა და თქვა, რომ გაკვეთილი არ იცოდა. მეც ვთქვით, რომ არ ვიცოდი. მასწავლებელი ადგა და წინა გაკვეთილებშიც ორიანი დამიწერა, ანუ ერთ გაკვეთილში ექვსი ორიანი დამიწერა.

***— მერე, გამოასწორეთ?***

— მაგას რა გამოასწორებდა, ერთი ამბავი იყო, დირექტორთან შევედი და ვუთხარი, რომ ერთ გაკვეთილში ექვსი ორიანი დამიწერა. დირექტორმა გააუქმა ეს ორიანები.

***— ვეტო დაადო?***

— მასწავლებელს უთხრა, ერთ გაკვეთილში ექვსი ორიანი რამ დაგაწერინაო. მასწავლებელს გააუქმებინა.

***— მერე, ეს მასწავლებელი არ აითვალწუნეთ?***

— არა. ეს მასწავლებელი მამაჩემის ბავშვობის მეგობარი იყო.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— ერთხელ მათემატიკის მასწავლებელმა გამაგდო. ორი კვირა არ მიშვებდა გაკვეთილზე.

***— ასეთი რა ჩაიდინეთ?***

— უკანა მერხზე ვიჯექი, კედლიდან საღებავის სქელი ფენა მოვაცალე და წინა მერხზე ვესროლე მეგობარს, მაგრამ მასწავლებელს მოხვდა და ამის გამო გამაგდო. ორი კვირა არ მიშვებდა, რადგან მშობლების მიყვანას ითხოვდა.

***— მერე, მიიყვანეთ მშობლები?***

— არა, მშობლები არ მიმიყვანია, დამრიგებელმა მოაგვარა ეგ საქმე.

***— რაიმე ტრავმა გაქვთ?***

— არა.

***— ბავშვობაში თავი არ გაგიტეხიათ?***

— არა.

***— კლასი კლასზე ხშირად ჩხუბობდით?***

— ხშირად — არა, მაგრამ ასეთი ფაქტები იყო.

***— თქვენი ან მეგობრის შეყვარებულის გამო ბიჭებს გიჩხუბიათ?***

— კი, მეგობრის შეყვარებულის გამო ხშირად ვჩხუბობდით.

***— მერე, დაზარალებული ვინ რჩებოდა?***

— რა ვიცი. მაინცდამაინც ნაცემი არასდროს ვყოფილვარ.

***— როგორი დამოკიდებულება გაქვთ სამზარეულოსთან, რის გაკეთება შეგიძლიათ?***

— ბევრი რამის.

***— მაგალითად?***

— ხორცეულის მომზადება შემიძლია, კარგ მწვადს ვწვავ, ქაბაბის გაკეთება არ ვიცი.

***— ხინკლის?***

— არა, ხინკალის მოხვევა არ ვიცი. შემიძლია გავაკეთო ჩაქაფული, ჩახოხბილი, სოუზი.

***— თქვენ მიერ გაკეთებული სადილით ვინმე ხომ არ მოწამლულა?***

— არა, ჯერ არ მოწამლულა.

***— როგორი თამადა ხართ?***

— თამადობა მაინცდამაინც არ მიყვარს.

***— მკაცრი თამადა ხართ?***

— არა. არავის ვაძალებ სასმელს.

***— წესრიგი გაქვთ სუფრასთან?***

— ადამიანმა სუფრასთან უნდა ისიამოვნოს. მე ვიტყვი სადღეგრძელოს და, ვისაც უნდა, დალიოს, ვისაც არ უნდა — ნუ დალევს.

***— განსხვავებული სასმისით დაგილევიათ?***

— როგორ არა.

***— რით?***

— სხვადასხვა ზომისა და ფორმის სასმისით დამილევია.

***— კრამიტით დაგილევიათ?***

— კრამიტითაც დამილევია, შპრიცითაც, ვაზითაც, დიდი კვახითაც.

***— კვახიდან ძნელია დალევა?***

— არა. დიდ კვახს ყუნწი ჰქონდა ამოჭრილი, მეგობართან დავლიე კვახიდან.

***— კრამიტით დალევა მარტივია?***

— საკმაოდ ცუდი დასალევია. კრამიტი გიჭირავს, ვიღაც გისხამს. ერთხელ მაქვს დალეული.

***— ყველაზე რთული რომელი სასმისიდან დალევაა?***

— ჭინჭილიდან. პატარაა და ცუდი დასალევია.

***— ღვინის დაყენება იცით?***

— როგორ არა.

***— ღვინოს აყენებთ?***

— არ ვაყენებ, მეგობრებს ვეხმარები და კარგი ღვინო გამოდის.

***— ძირითადად როგორი ღვინით გიყვართ ქეიფი?***

— მსუბუქი ღვინით. ყველაზე კარგია ქართლის ღვინოები.

***— რამდენი ლიტრის დალევა შეგიძლიათ?***

— არ ვიცი, არასდროს გამიზომავს, ჩემი სიამოვნებისთვის ვსვამ.

***— ისე თუ დამთვრალხართ, რომ მეორე დღეს არ გახსოვთ, რა მოხდა?***

— ასეთი რამ არ ყოფილა. სიმთვრალეში ჩხუბი არ ვიცი.

***— სიმთვრალეში შარიანი არა ხართ?***

— არა. თუ ვინმე არ ამიშარდა, მე არ ავუშარდები.

***— თუ აგიშარდათ?***

— მეც ავუშარდები, მერე რა... გამოვა შარი...

***— აქლემის ხორცი გაგისინჯავთ?***

— კი.

***— სად გასინჯეთ?***

— ეგვიპტეში. ყაზახეთში გასინჯული მაქვს ცხენის ხორცი.

***— ეგვიპტეში პარლამენტიდან იყავით?***

— არა, 1996 წელს გახლდით ეგვიპტეში. მაშინ სტუდენტი ვიყავი.

***— აქლემს როგორი ხორცი აქვს, მოგეწონათ?***

— გემოზე ცუდიაო, ვერ იტყვი, მაგრამ ცხენსაც და აქლემსაც მაგარი ხორცი აქვთ. ჩვენებურ ხაშლამას ვერაფერი შეედრება.

***— სტუდენტობისას ეგვიპტეში რამდენი ხანი იყავით?***

— 4 თვე.

***— რას აკეთებდით?***

— 4-თვიანი კურსები იყო ამერიკელების დაფინანსებული. ეგვიპტე საკმაოდ კონტრასტულია, მდიდრები და ღარიბები ცხოვრობდნენ, საშუალო ფენა არ არსებობდა. ეგვიპტე, თავისი პირამიდებით, საოცრებაა.

***— ამ პარლამენტში ნათესაური კავშირი ვისთან გაქვთ?***

— მამუკა გაჩეჩილაძის ბავშვის ნათლია ვარ.

***— როგორ ნათლია ხართ?***

— ხშირად ვერ ვასრულებ ნათლიის მოვალეობას სათანადოდ.

***— ბევრი ნათლული გყავთ?***

— ექვსი.

***— საჩუქრებს როდესაც გჩუქნიან, უფრო მოგწონთ თუ თქვენ როდესაც ჩუქნით სხვას?***

— ორივე მომწონს. ძალიან მსიამოვნებს, როდესაც სხვას ვჩუქნი.

***— ბოლოს ვის მიუძღვენით საჩუქარი, გახსოვთ?***

— როგორ არ მახსოვს, რამდენიმე დღის წინ მეგობარს სუნამო ვაჩუქე.

***— ნივთების ამოჩემება გახასიათებთ?***

— არა.

***— ბავშვობაში რაიმეს აგროვდებით?***

— კი, მარკებს ვაგროვებდი, სხვადასხვა ქვეყნების ასანთის კოლოფებს, „ნაკლეიკებს“, ბლოკნოტებს, პასტებს.

***— საბავშვო მანქანებს არ აგროვებდით?***

— არა.

***— სპორტის რომელიმე სახეობაზე თუ დადიოდით?***

— კი. წყალბურთელი ვარ.

***— რამდენი წელი დადიოდით?***

— 9 წელი ვიარე.

***— წარმატებები გქონდათ?***

— მოზარდებში რომ უნდა გადავსულიყავი, მაშინ მე-60 სკოლაში წყალბურთელების სპორტული ჯგუფი ჩამოყალიბდა, მაგრამ მშობლებმა იქ არ გადამიყვანეს. ვარჯიშს ვაგრძელებდი, მაგრამ სტუდენტობისას გული ავიცრუე. ცოტა ხანი რაგბის ვთამაშობდი.

***— მუსიკასთან როგორი დამოკიდებულება გაქვთ?***

— ძალიან მიყვარს კარგი მუსიკის მოსმენა.

***— მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— არა. ხმა არა მაქვს, მაგრამ კარგ მუსიკას ვუსმენ.

***— როგორ მუსიკას უსმენთ?***

— ყველანაირს.

***— მშობლები არ გაძალებდნენ მუსიკაზე სიარულს?***

— არა, არასდროს დაუძალებიათ.

***— პარლამენტიდან მივლინებებში სიარული ხშირად გიწევთ?***

— ერთხელ ვიყავი ჰოლანდიაში.

***— თბილისის გარდა, რომელ ქალაქში იცხოვრებდით?***

— ცოტა ხნით ნებისმიერ ქალაქში ვიცხოვრებდი, მაგრამ დიდხანს ვერსად დავრჩებოდი. თბილისს ის ხიბლი აქვს, რომ ბავშვობა, მთელი ცხოვრება აქ მაქვს გატარებული. მეგობრების, ნათესავების, ახლობლების გარეშე დიდხანს სხვაგან ყოფნა ძალიან ძნელია. შესაბამისად, არა მგონია, დიდხანს სადმე დავრჩე. კაიროში 4 თვე ვიყავი და ერთი თვის შემდეგ გამოქცევა მინდოდა.

***— ე.ი. ერთ თვეზე მეტ ხანს ვერსად ჩერდებით?***

— ერთ თვეში, რაც სანახავია, ყველაფერს ნახულობ, შემდეგ გბეზრდება და თბილისი გენატრება.

## ორშაბათი 25 აპრილი

**06.30** დოკ. ფილმი "ძველი ქართული საგალობლები" **07.00** კონცერტი "გაზაფხული ვენაში" **08.30** რუსთაველის ნაკვალევზე **09.15** მოცარტის რექვიემი **10.20** დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" **11.00** დოკ. ფ. "ხევსურები" **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** საუკუნის პორტრეტები **13.15** "პანტანასა, ყოველთა დედოფალი" **14.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "აღდგომა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** დოკ. ფილმი "გალობის რაინდები" **23.00** ავტოგრაფი – დ. ყიფიანი **00.00** მხ. ფილმი **"მეხთამცემელი"** (ვ. კილმერი) **02.05** მოამბე **02.25** ცხოვრება მშვენიერია

**09.30** დოკ. ფილმი "დედაო ღვთისავ" **10.20** დოკ. ფილმი "რუსთაველის ნაკვალევზე" **11.10** დოკ.ფ."გზა მაცხოვრისა" **12.05** ქართული დოკუმენტალისტიკა **12.45** ტელეფილმი "ხევსურები" **13.45** საუკუნის პორტრეტები **14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **15.30** დოკ. ფილმი "მაცხოვარი ლატალისა" **16.00** მოცარტის რექვიემი **17.05** მეხსიერება **18.30** დოკ. ფილმი პანტანასა – ყოველთა დედოფალი" **19.00** სპექტაკლი "მერე რა, რომ სცვლია, სცვლი იასამნ" **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი **"საპენგლიში"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმტყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** კონცერტი "სუხიშვილები" **00.00** საფეხბურთო ღამე **01.00** მხ. ფილმი **"ხელშეუხებელნი"** (18) **03.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** მხ. ფილმი **14.40** პულსი **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** შეგირდი **23.45** ღამის შოუ (გან.) **01.00** მხ. ფილმი **"კრისტი"** (ლ. ლი სმიტი) (სუბტ.) **02.55** მხ. ფილმი **"ბოროტების სავანე 3"** (18) (სუბტ.) **04.25** მხ. ფილმი **"მტრის საწოლში"** (12) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **14.50** ფერისცვალება **15.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **18.00** დოკ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00** საგალობელი **12.05** მხ. ფილმი **"ფიროსმანი"** **13.30** კონცერტი – ბ. კვერნაძე **15.05** ოპერა "აბესალომ და ეთერი" **16.40** დოკ. ფილმი "პილიგრიმობა ევროპიდან იერუსალიმში" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი **"რას გინახავს, ვეღარ ნახავ"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** დოკ. ფილმი "სტუმრად პატრიარქთან" **22.20** "ტრიუმფატორი" - ნ. რამიშვილი **23.00** საღამოს ლოცვა **23.40** ქრისტე აღსდგა **00.30** სუფთა დაფა

## სამშაბათი 26 აპრილი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ავტოგრაფი – დ. ყიფიანი **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **21.00, 02.55** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **22.40** **ჩემპიონთა ლიგა**. ნახევარფინალი **00.40** მოამბე **01.00** მხ. ფილმი **"სულელები ჩქარობენ"** **03.55** მხ. ფილმი **"უჩინმაჩინი"**

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"კრიზისის დრო"** **01.00** მხ. ფ. **"მეხთამცემელი"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმტყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ.**"ელენას მოჩვენება"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** მხ. ფილმი **"მარათონელი"** (18) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** იმედის ფსონი (პირდ.) **15.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **17.00** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** "ფეის კონტროლი" **01.00** მხ. ფილმი **"ჩვევად ქცეული ქორწინება"** (18) (კ. ბესინგერი) (სუბტ.) **03.20** მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "სტუმრად პატრიარქთან" **10.50** "ტრიუმფატორი" - ნ. რამიშვილი **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"რას გინახავს, ვეღარ ნახავ"** **13.35** კონცერტი – ლ. ბაგრატიონი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"სიყვარული ყველას უნდა"** **16.50** დოკ.ფ."ველური ბუნება" **17.15** დოკ. ფილმი "აღდგომიდან ამაღლებამდე" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.45** 6 ათასი დავითგარეჯელი მოწამე **19.15** მხ. ფილმი **"თოჯინები იცინიან"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სალვთისმეტყველო საუბრები **22.20** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დროის ჩანაწერები **00.25** შარავანდედი **00.50** მხ. ფილმი **"ვერის უბნის მელოდიები"**

## ოთხშაბათი 27 აპრილი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** დამზადებულია საქართველოში **14.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **15.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ.ფ."ჯორჯო არმანი" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ევროპული არჩევანი **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** მხ. ფილმი **"ჯაშუში"** (ე. მერფი) **01.50** მოამბე **02.10** ჩვენი ეზო **03.10** ევროპული არჩევანი **04.10** მხ. ფილმი **"ჯერი მაგუაირი"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"დივებს ხოცავენ არა"** **01.00** მხ. ფილმი **"სულელები ჩქარობენ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმტყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** კომედი შოუ **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ. **"ელენას მოჩვენება"** **22.00** იღბლიანი ბორბალი **22.40** **ჩემპიონთა ლიგა**. **00.40** პატრული **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **01.20** მხ. ფილმი

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **15.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **16.20** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** ლადო ათანელის ფონდის საქველმოქმედო კონცერტი **23.45** **შეგირდი** **00.15** პოკერი **01.00** მხ. ფ. **"შავი ორქიდეა"** (15) (ჯ. ჰარტნეტი) (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"კონტროლი"** (12) (რ. ლიოტა) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **22.00** სცენა **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** სალვთისმეტყველო საუბრები **11.00** მგზავრები წუთისოფლისა **11.25** დროის ჩანაწერები **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **19.15** მხ. ფილმი **"თოჯინები იცინიან"** **13.35** კონცერტი – თ. ჭოხონელიძე **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მანანა"** **16.40** კვირიაკე **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"აბეზარა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** გზა, რომლითაც ვიარე **22.20** ქართული ალბომი **22.35** დოკ. ფ."წმინდა მიწაზე" **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** სუფთა დაფა **00.45** მხ. ფილმი **"სიყვარულის ცეცხლი"** **01.30** კონცერტი – ანდრე რიე

## ხუთშაბათი 28 აპრილი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** ევროპული არჩევანი **13.30** ჩვენი ფერმა **14.00** ცხოვრება მშვენიერია **15.00** სერ. **"ხუთი და"** **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "ტიბეტი -დაკარგული სამყარო" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** დიალოგი დ. პაიჭაძესთან **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** ავტოპილოტი **01.00** მხ. ფილმი **"ცუდი ბიჭები"** **04.25** მხ. ფილმი **"ახალი ტიპი"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფ. **"ახალი ტიპი"** **01.00** მხ. ფილმი **"ჯაშუში"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმტყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ნიჭიერი (გან.) **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ.**"ელენას მოჩვენება"** **22.00** პროფილი **23.30** ტოკ-ტოკ **00.00** მხ. ფილმი **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **15.20** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **16.30** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი **00.00** მხ. ფილმი

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **23.30** მხიარულთა და საზრიანთა გუნდების ჩემპიონატი **01.00** მხ. ფილმი **"ამერიკელი ცოლი"** (ჯ. ბილი) (სუბტ.) **03.00** მხ. ფილმი **"სიბრმავე"** (18) (ჯ. მური) (სუბტ.) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.30, 19.30** სერ.**"შექსპირიადა"** **14.50** სცენა **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "წმინდა მიწაზე" **11.00** სუფთა დაფა **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი **"აბეზარა"** **13.35** კონცერტი – მ.სეფაშვილი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მე, ბებია, ილიკო და ილარიონი"** **17.00** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **17.30** "განთიადის" არქივიდან **18.05** სალვთისმეტყველო საუბრები **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"უდიპლომო სასიძო"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** მიწათმოქმედი **21.40** წარმატების ფორმულა **22.20** მოკლემ. ფ. **"ქვევრი"** **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში" **00.35** სად უჩინარდებიან ჩემპიონები **01.00** მხ. ფილმი **"აურზაური სალხინეთში"**

## პარასკევი 29 აპრილი

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00, 16.00, 20.00, 02.45** მოამბე **12.30** ავტოპილოტი **13.30** ვაშინგტონი დღეს **14.00** **კალათბურთი**. ყველა ვარსკვლავი **17.00** ან. ფილმი "გოძილა" **18.00** მეხსიერება **19.05** დოკ. ფილმი "იმპერიის მშენებლობა" **19.40** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"ხუთი და"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** სერ. **"ზიანი"** (12) **00.00** წითელი ზონა **01.00** მხ. ფ. **"ეს იწყება დღეს"** **03.55** მხ. ფილმი **"ცეცხლის ხაზზე"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი **20.00** მხ. ფილმი **"ჯერი მაგუაირი"** **01.00** მხ. ფ. **"ცუდი ბიჭები"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმტყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** პროფილი **17.00** სერ. **"მორენას ვნება"** **18.45** სერ. **"დანიელა"** **19.45** სერ.**"ელენას მოჩვენება"** **21.00** კურიერი **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** კომედი შოუ (გან.) **00.00** მხ. ფილმი **"ოქროს ბავშვი"** (18) **02.00** პატრული

**07.30** მუსიკა **08.00** ანიმაცია "ყველაზე პატარა ზოომაღაზია" **09.00** სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **10.00** გოგიჩას დილა **11.00** სერ. **"დაუნდობელი სამყარო"** **12.00** სერ.**"ორნახევარი კაცი"** **12.30** გადაცემა "ტვ-ტესტი" **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.45** მხ. ფილმი **16.45** მხ. ფილმი **19.00** სერ. **"ვნებათა მიწა"** **20.00** სერ.**"დაუნდობელი სამყარო"** **21.00** გადაცემა "105 წუთი" (პირდ.) **23.00** მზის კინოკლუბი **02.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერ. **"სილამაზის მსხვერპლი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.30** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.20** ტვ-მარკეტი **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.40** დღის შოუ **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **23.00** ღამის შოუ **00.00** **შეგირდი** **00.30** მუსიკალური ლიგა (გან.) **01.45** მხ. ფ. **"საიდუმლო სია"** (15) (ჰ. ჯეკმანი) (სუბტ.) **03.55** ფლეიბოი იმედზე **04.25** მხ. ფ.**"სახიფათო დავალება"** (კ. როკი) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**09.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.30** დოკ. ფილმი "ტურიზმი" **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **12.50, 19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **19.00** მუსიკა **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.15** სიახლენი **10.35** დოკ. ფილმი "მოგზაურობა ფოლკლორში" **11.30** გზა, რომლითაც ვიარე **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00, 18.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფილმი **"უდიპლომო სასიძო"** **13.30** კონცერტი – ჯ.ბაგრატიონი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** მხ. ფილმი **"მოიტაცეს თამარქალი"** **16.35** დოკ. ფილმი "ლადო ასათიანი" **17.00** მოკლემ. ფილმი **"ზღურბლის გადაფრენა"** **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.25** "განთიადის" არქივიდან **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **21.10** პატრიარქის ქადაგება **21.20** გარდამოხსნის განმარტება **21.30** მოგზაურობა სამშობლოში **22.25** ჩვენი ფონდი **23.00** საღამოს ლოცვა **23.10** მხ. ფილმი **"ღვინის ქურდები"** **00.35** კვირიაკე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

## შაბათი 30 აპრილი

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **10.00** ან. ფილმი "ელმოს თავგადასავალი ბუზღუნეთში" **11.30** "ბავშვობანა" **12.00, 16.00, 20.00, 03.30** მოამბე **12.15** მხ. ფილმი **"სასაცილო გოგონა"** **15.00** სპექტაკლი "სოფლის აშიკი" **16.15** ქართული დოკუმენტალისტიკა **17.30** დამზადებულია საქართველოში **18.00** **ფეხბურთი**. საქ. თასის გათამაშების ნახევარფინალი. დინამო-კოლხეთი **20.00** მოამბე **21.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **22.00** საჯარო პოლიტიკა **23.00** პილოტი **00.00** სი ბემოლი **01.00** მხ. ფილმი **"ხუთი მარტივი პიესა"** (15) (ჯ. ნიკოლსონი)

**08.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00** ბრიფინგის დროით (დაიჯესტი) **17.00** ბრიფინგის დროით **17.30** ჩვენი სამართალი **18.00** დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" **19.00** რეგიონის დროით **19.30** საუკუნის პორტრეტები **20.00** მხ. ფილმი **"სასაცილო გოგონა"** **22.00** კონცერტი: ანსამბლი "მართვე" **23.40** წითელი ზონა **00.40** მხ. ფილმი **"ეს იწყება დღეს"**

**08.00** კურიერი **08.30** მულტ სერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "სინდბადი" **10.00** ეთამაშე ვარსკვლავს (გან.) **11.00** ეკი-ვოკი (გან.) **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა **13.00** მხ. ფ. **"ბრიოლინი 2"** **15.30** ქართ. ფილმი **17.30** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **18.50** ანა-ბანა **19.50** სერ.**"ელენას მოჩვენება"** **21.00** პ. ს. კურიერი **22.00** ქართ. სერ. **23.00** ქართ. სერ. **"დეტექტივები"** **00.00** მხ. ფილმი **02.30** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** საბ. სერ. **"ოდისეა"** **11.30** პულსი **12.00** სერ.**"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა დი რივომბროზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **21.00** სერ.**"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **08.40** მხ. ფილმი **"ჯადოქარი ტყუპები"** **10.30** თამაზ კვაჭანტირაძის სასიტყვეთი **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** გადაიხადე ნაკლები **11.45** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **14.30** რემონტი **15.00** თბილისი ლაივი **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **20.30** სპეც. რეპორტაჟი **21.00** სერ. **"ქალბატონი"** **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **23.45** მხიარულთა და საზრიანთა კლუბების ჩემპიონატი **01.15** სერ. **"მკვლელის პორტრეტი"** **02.15** მხ. ფილმი **"ტრანსპორტერი 3"** (12) (ჯ. სტეტჰემი) (სუბტ.) **04.20** ფლეიბოი იმედზე **05.15** მხ. ფილმი **"მზის ბნელი მხარე"** (ბ. პიტი) (სუბტ.) **07.15** სერ. **"ბოშები"**

**09.00, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.00** დილის ტალღა **12.00** ფერისცვალება **11.50, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.15, 19.30** სერ. **"შექსპირიადა"** **14.30** დროის ვექტორი **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.20** სახარება **08.30** ჩვენი ფონდი **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.20** მოკ. ფილმი **"ღვინის ქურდები"** **10.45** კვირიაკე **12.15** მხ. ფილმი **"ჩარირამა"** **13.30** მულტფილმი **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.30** ოპერა **17.30** დოკ.ფ."ველური ბუნება" **18.05** ძველი აფიშა **18.40** დიდი შაბათი **19.15** ქართული ალბომი **19.35** მხ. ფილმი **"სამოთხის გვრიტები"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კარაბადინი **22.15** თბილისის ტაძრები **22.30** სააღდგომო გადაცემა "ჩვენ მშვიდობა" **23.00** საღამოს ლოცვა **23.05** მოკლ. ფ. **"რეკორდი"** **00.30** კონცერტი – ანდრია ბოჩელი

## კვირა 1 მაისი

**07.00** დოკ. ფილმი "მსოფლიოს ქალაქები" **08.00** პლანეტა ბასტი-ბუბუ **10.00** მხ. ფილმი **"ჯუმანჯი"** **12.00, 16.00, 20.00, 03.25** მოამბე **12.15** მხ. ფ.**"ზედმეტი ბარგი"** **14.00** ჩვენი ფერმა **14.30** სი ბემოლი **15.30** ჩვენი სამართალი **16.15** ჩვენი ეზო **17.00** დოკ. ფილმი "ხეების პლანეტა" **17.30** ვაშინგტონი დღეს **18.00** მხ. ფილმი **"არდადეგებზე"** **20.00** აქცენტები **21.00** ცხოვრება მშვენიერია **22.00** ევროვიზია **2011** დღიური **22.30** კონცერტი **23.00** პილოტი **00.00** ღამის საუბრები **01.00** მხ. ფილმი **"დიდი ფსონი"** (ბ. პიტი) (12) **03.10** აქცენტები

**08.30** დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" **09.00** ბრიფინგის დროით **10.00** თავისუფალი ტრიბუნა **15.00** სპექტაკლი "საქართველოს უკანასკნელი დედოფალი" **17.00** ისტორია **18.00** დოკ. ფილმი "ლეონარდო და ვინჩი" **18.30** კონცერტი: გაზაფხული ვენაში **19.00** საუკუნის პორტრეტები **20.00** ვ. სანაიას რეპორტაჟი **21.00** პროცესი **21.30** მხ. ფ.**"ზედმეტი ბარგი"** **23.05** კონცერტი: კახი კავსაძის საღამო **00.35** მხ. ფილმი **"ხუთი მარტივი პიესა"**

**08.00** "კურიერი პ.ს." დაიჯესტი **08.30** მულტ სერ. "ნარუტო" **09.00** საბ. სერ. "სინდბადი" **10.00** ანა-ბანა (გან.) **11.00** საბავშვო ამბები **11.30** მულტფილმი "მხიარული ფერმა" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00** კურიერი **12.30** ვაკანსია **13.00** მხ. ფილმი **15.20** სერ. **"სიამაყე"** **17.25** ავტომარიაჟი **18.30** სიცილის ზონა **19.00** ეკი-ვოკი **20.00** ეთამაშე ვარსკვლავს **21.00** კომედი შოუ **22.00** ქართ. სერ. **23.00** ქართ. სერ. **"დეტექტივები"** **00.00** მხ. ფილმი **02.20** მხ. ფილმი

**08.00** მხ. ფილმი **10.00** ანიმაცია "ტომი და ჯერი" **11.00** გადაცემა "ტვ-ტესტი" **11.30** პულსი **12.00** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **13.00** "იმედის ფსონი" პირდაპირი **14.00** სერ. **"ელიზა დი რივომბროზა"** **15.00** მხ. ფილმი **17.00** მულტფილმი **18.00** მხ. ფილმი **20.00** მზის კინოკლუბი **23.00** მხ. ფილმი (სუბტ.) **00.00** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.00, 09.00** ქრონიკა **08.15** ან. ფილმი "ქალთევზას თავგადასავალი" **08.40** ქართ. ფილმი **"პირველი მერცხალი"** **11.00, 14.00, 17.00, 20.00** ქრონიკა **11.15** საბ. გადაცემა "ორმაგი რისკი" **12.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **12.35** სერ.**"ჰანა მონტანა"**7-8 ს. **14.30** სპეცრეპორტაჟი **15.00** საბ. გადაცემა "თავდაყირა" **17.30** ბოიარის ციხესიმაგრე **17.45** ეტალონი **19.05** სერ. **"გოგონა გარეუბნიდან"** **20.15** იმედის გმირები **20.30** მუსიკალური ლიგა **22.00** სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** **შეგირდი** **00.00** ყოფილი ცოლების კლუბი (გან.) **01.15** მხ. ფილმი **"ქონდრისკაცი"** (სუბტ.) **03.15** მხ. ფილმი **"კერკეტი კაკალი 2"** (12) (ბ. უილისი) **06.30** სერ. **"ბოშები"**

**09.00, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **09.30, 23.00** სერ. **"კეთილშობილი თაღლითები"** **10.00** დილის ტალღა **12.00, 21.00** სერ. **"იდუმალი სტუმარი"** **13.00** დოკ. ფილმი "ფეხბურთის ისტორია" **15.00, 18.00** დოკ. ფილმი **16.30** სერ. **"ლინდა და ბრიგადირი"** **19.30** სერ.**"დიდი გასეირნება"** **00.00** მხ. ფილმი

### ერთსულოვნება

**08.20** მოკ. ფილმი "ფეოლა" **08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** საეკლესიო კალენდარი **09.05** განთიადი (კოლაჟი) **10.05, 19.00, 22.00** სიახლენი **10.35** მოკლ. ფ. **"რეკორდი"** **11.40** ქართული ალბომი **12.15** მხ. ფილმი **"სამოთხის გვრიტები"** **13.30** ქართული მულტფილმები **14.00** დოკ. ფილმი "ელადის მიწაზე" **14.30** კარაბადინი **15.05** პატრიარქის ქადაგება **15.35** მგზავრები წუთისოფლისა **16.50** მოკ. ფ. **"წინანდალი"** **17.15** სალვთისმეტყველო საუბრები **18.00** პატრიარქის ქადაგება **18.25** დროის ჩანაწერები **19.05** გზა, რომლითაც ვიარე **19.25** მხ. ფილმი **"არაჩვეულებრივი გამოფენა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.30** კვირიაკე **22.45** მილოცვა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** გაცოცხლებული წარსული **00.05** პატრიარქის ქადაგება **00.40** ოპერა

# ოლეგ ბასილაშვილი ყველაზე საინტერესო როლისთვის ემზადება



ცნობილ მსახიობ ოლეგ ბასილაშვილთან ინტერვიუს რუსული გამოცემა „ბალტინფო" აქვეყნებს. მასალას მცირედი შემოკლებით გთავაზობთ.

*— პატივცემულო ოლეგ ვალერიანოვიჩ! ჩემი ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლი იმათგან, რომლებსაც ახლა დიდ დრამატულ თეატრში თამაშობთ — „კოპენჰაგენია". მითხარით გეთაყვა, მთელ ამ ისტორიაში თქვენთვის რამდენად მნიშვნელოვანია ფიზიკა? შეიძლებოდა თუ არა მსგავსი საუბარი შემდგარიყო, მაგალითად, თქვენს კოლეგებს ან ექიმებს შორის?*

— ეს არ არის საუბარი ფიზიკაზე. ნილს ბორის ანდა ნებისმიერი ფიზიკოსის დონეზე, მე სრული ნული ვარ. მეც და რეჟისორსაც ამ სპექტაკლში მხედველობაში გვაქვს არა ფიზიკა, ან არა მარტო ფიზიკა, არამედ სწავლულის,პოლიტიკოსის პასუხისმგებლობა კაცობრიობის წინაშე. ნებისმიერ ფასად მიზნის მიღწევის მისწრაფებისას ასეთი ადამიანის ფეხებქვეშ მილიონობით მსხვერპლს ბადებს. ლენინმა და სტალინმა იქამდე მიგვიყვანეს, რომ ათასობით ადამიანი დაზარალდა. ამის შესახებ საუბრობს ნილს ბორი, საკითხის ზნეობრივ ასპექტზე. რა არის მორალური და რა არა, ამაზე მიდის სწორედ საუბარი სპექტაკლში და არა ფიზიკაზე.

*— დიდ დრამატულ თეატრში მხოლოდ თქვენ გამოხატავთ ხმამაღლა სამოქალაქო პოზიციას. გეთანხმებიან თუ არა კოლეგები (თუნდაც ჩუმ-ჩუმად) და ჯანსაღი აზრის მიუხედავად, ხელისუფლებით უკმაყოფილონი მეტნი რატომ არ არიან?*

— ის ადამიანები, ვისთანაც ვურთიერთობ — დევოტჩენკო, შევჩუკი — ჭკვიანი ადამიანები არიან და ისინი ჩუმად არ არიან. დიახ, არიან ისინი, ვინც ხმამაღლა საუბრობენ, მაგრამ ისეთებიც არიან, ვინც დუმან, მაგრამ დაახლოებით ჩემნაირად არიან განწყობილნი.

*— სპექტაკლ „კვარტეტში" გამოსაყენებლად ანეკდოტების ნაკრებს თუ გჩუქნიან?*

— არა, არავინ მჩუქნის. გზად მოსკოვში თავადვე ვყიდულობ და ასეულ ანეკდოტს შორის ერთ-ორ კარგსაც აღმოვაჩენ ხოლმე.

*— ისურვებდით თუ არა მეფე ლირის თამაშს? დიდ დრამატულ თეატრს ან სხვა თეატრებს აქვთ თუ არა სურვილი, რომ თქვენი მონაწილეობით რომელიმე სპექტაკლი დადგან კლასიკაზე?*

— არა, ლირის თამაში არ მსურს. ისეთი როლის თამაშს ვისურვებდი, რომელიც დღეს საზოგადოების წინაშე მდგარ კითხვებს უპასუხებდა — ვინ ვართ, საიდან ვართ, რა გვინდა...აი ასეთ როლს სიამოვნებით ვითამაშებდი.

*— კმაყოფილი ხართ თუ არა ფილმით „ოსტატი და მარგარიტა"? თქვენი შეხედულებით, გამოგივიდათ თუ არა ვოლანდის როლი? თანამედროვეა თუ არა რომანი?*

— გენიალური რომანია, შესანიშნავი მწერლის მიერ დაწერილი. დიახ, ის თანამედროვეა. უბრალოდ უნდა დაფიქრდე, რა გააკეთა ვოლანდმა, რომელიც სოციალისტურ მოსკოვში გამოჩნდა, — მან აჩვენა, რამდენად არარაობაა ხელისუფლება ღმერთთან, შემოქმედთან, ეშმაკთან შედარებით... ის სჯის მათ, ვინც იეშუას ნების წინააღმდეგ მიდიოდა, ვინც ბოროტებას სჩადის. ის იეშუას სიკეთის თესვაში ეხმარება. ხოლო ბოროტება სჯის. ეს მრავალპლანიანი სახეა და რა თქმა უნდა, ყველაფრის თამაში შეუძლებელი იყო. როგორ გამომივიდა — ჩემი განსასჯელი არ არის. მე დღეს ალბათ იმავეს ვითამაშებდი, მაგრამ გარკვეული დაზუსტებებით.

*— 90-იანების დასაწყისში მერმა ანატოლი სობჩაკმა არენდატორებისთვის მოულოდნელად თქვენ, ანდა ორგანიზაციას თქვენი ხელმძღვანელობით, პუშკინის 10-ის მართვის უფლება მისცა. მოიჯარეებს ყრიდნენ — სხვებით ცვლიდნენ. რით დასრულდა ეს „სამეწარმეო" გამოცდილება?*

— ამ საკითხში ყველაფერი სიცრუეა. ჩემთვის არავის არაფერი მოუცია და არც მოცემის უფლება ჰქონდა. არ ვიცი, ასეთი ხმების დაგდება ვისთვის არის მომგებიანი. ეს ახლა შეუძლიათ სახლის ან თეატრის ჩუქება, მაშინ კი ვცდილობდი, რომ პუშკინის ქუჩა, სახლი და სასტუმრო ერთგვარად პეტერბურგის მონმარტრად გადაქცეულიყო. მე ამისთვის ყველაფერს ვაკეთებდი, როდესაც ლენსოვეტში დეპუტატი ვიყავი, მხატვრებთან აქტიურად ვურთიერთობდი. იქ ასეთი, შემინული ეზოს პროექტი იყო... მაგრამ მე მანდატი დავკარგე და ამით დაკავების უფლება აღარ მქონდა. რა თქმა უნდა, მსურდა, რომ მხატვრებს, პოეტებს, მუსიკოსებს იქ ეცხოვრათ და ემუშავათ...

*— საბჭოთა დროს თქვენ სიამოვნებით იღებდით ჯილდოებს (სხვათა შორის, სავსებით დამსახურებულს) ქალაქის მაშინდელი ხელმძღვანელის რომანოვის და იმ პერიოდის სხვა ცნობილი მოღვაწეების ხელით. ხოლო ახლა, გრიგორი ვასილიევიჩის წინააღმდეგ გამოდიხართ. ეს უწყინარ კბენას ხომ არ ჰგავს?*

— იცით, როდესაც პარტიაში შესვლას მთავაზობდნენ, როგორღაც მდგომარეობიდან ვძვრებოდი და არ შევდიოდი. შემდეგ ვთქვი, რომ შევიდოდი, მაგრამ ერთი წინაპირობით. „რა პირობაა?" — მკითხეს მაშინ.

*— თუკი სკკპ-ს რიგებიდან რომანოვს გარიცხავთ. ასე რომ, მისი ხელიდან მე არანაირი ჯილდოები არ მიმიღია. საბჭოთა დროს მე მხოლოდ ერთხელ, ძმები ვასილიევების პრემიის ლაურეატი გავხდი „სამსახურეობივ რომანში" თამაშისთვის. სხვა სიგელები და ორდენები არ მქონია.*

მაქვს მშვიდობის ორდენი, რომელიც ბორის ნიკოლაევიჩ ელცინმა გადმომცა და ამით ვამაყობ. საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმაც გადმომცა ღირსების ორდენი — ვამაყობ, რადგან საქართველო ჩემი წინაპრების სამშობლოა.

და კიდევ, მე დაჯილდოებული ვარ მესამე და მეოთხე ხარისხის ორდენებით „მამულის წინაშე დამსახურებისთვის", რომელიც პუტინმა და მედვედევმა გადმომცეს.

რომანოვთან არანაირი ურთიერთობა არ მაკავშირებს და ვთვლი, რომ მის მიერ კულტურის სფეროში მოღვაწეობა, უბრალოდ, დანაშაულებრივია. რომანოვი უნდა გასამართლდეს.

— არის თუ არა იმედი, რომ მომავალში ხალხის ძარცვას შეწყვეტენ? მე უზრუნველყოფილი ადამიანი ვარ, მაგრამ ძალიან შესაცოდები არიან ღატაკი მასწავლებლები, მედდები და პენსიონერები...

*— არანაირი ამის იმედი არ არის. იმისთვის, რომ მასწავლებლებმა, ექიმებმა, პენსიონერებმა ნორმალურად იცხოვრონ, საჭიროა სისტემის შეცვლა. რეფორმების გატარება, რომელიც დიდმა რეფორმატორმა ეგორ გაიდარმა დაიწყო. მან დაიწყო ეკონომიკური რეფორმა, მაგრამ ის გააჩერეს ადამიანებმა, ვისაც ქურდობა სურდა. მას საქმის ბოლომდე მიყვანის უფლება არ მისცეს, გაგრძელება კი საჭირო იყო — რეფორმების გატარება პროკურატურაში, შსს-ში და ა.შ. მაგრამ ეგორ გაიდარი მოაშორეს და ყველა რეფორმა დასრულდა. აქედან მომდინარეობს ცხოვრების დაბალი დონე. წარმოების დონე უკიდურესად დაბალია, ფულს ვერსაიდან აიღებ. ჩვენს თეატრში დაბალანაზღაურებადი მსახიობის ხელფასი 5800 რუბლია. როდესაც ამის შესახებ ვსაუბრობ, ჩემი არავის სჯერა.*

სიტუაციის შესაცვლელად პირდაპირი, პატიოსანი, თავისუფალი არჩევნები არის საჭირო. საჭიროა დისკუსიები, რათა ხალხმა აირჩიოს ისინი, ვინც მოსწონს. თუ გახსოვთ, წინასაარჩევნო კამპანიისას „ერთიანი რუსეთი" დისკუსიაში საერთოდ არ შესულა. დისკუსიები კი საჭიროა, საჭიროა სამართლიან არჩევნებს მივლწიოთ. ძალიან არ მსურს, რომ მომავალი პრეზიდენტის არჩევნები ერთ დიდ ფარსად გადაიქცეს.

— რა დამოკიდებულება გაქვთ ინტერნეტთან?

*— არანაირი დამოკიდებულება არ მაქვს. ეს პრინციპი არ არის, უბრალოდ, იქ მეტისმეტად ბევრი ჭუჭყი, სიბინძურე და ლანძღვა-გინებაა.*

— გეგმავთ თუ არა თეატრის დატოვებას და პენსიაზე გასვლას?

*— მე უკვე პენსიაზე ვარ, მაგრამ თეატრში ვმუშაობ.*

— პატივცემულო ოლეგ ვალერიანოვიჩ, კმაყოფილი ხართ გავლილი ცხოვრებით? ყველაფრის თავიდან დაწყების შანსი რომ მოგცემოდათ, შეცვლიდით თუ არა რაიმეს თქვენს ცხოვრებაში?

— მე ორი გზა მქონდა. პირველი — გზა, რომლითაც ვიარე, მოსკოვიდან წავედი და შევხვდი გენიალურ რეჟისორ ტოვსტონოგოვს, რომლის წყალობითაც გავხდი ის, ვინც ახლა ვარ.

იყო მეორე ვარიანტი — შემეძლო მოსკოვში დავრჩენილიყავი, მოსკოვის თეატრში თამაში. საინტერესოა, რა მოხდებოდა მაშინ?

## სასარგებლო რჩევები

### cbkfvfpbc cfblevkj

იმისათვის რომ ლამაზად გამოიყურებოდეთ, საჭიროა პირველ რიგში კარგი განწყობა და საკუთარი თავის რწმენა. ცნობილი ხელოვანები საკუთარ მეთოდებს შეიმუშავებენ, რომლის საშუალებითაც ისინი ყოველთვის მომხიბვლელად გამოიყურებიან.

აი, მათ მიერ შემოთავაზებული რამდენიმე რჩევაც:

ნიღაბი №1 — დაწექით ზურგზე, დაიფარეთ სახეზე და ყელის არეში მარლა, დაიდეთ თხელ ფენად ძროხის არ ღორის ფარში და გაიჩერეთ 15-20 წუთი. ჩამოიბანეთ ჯერ თბილი და შემდეგ ცივი წყლით. წაისვით სახის მკვებავი კრემი. ეს ნიღაბი სასურველია კვირაში ერთხელ გააკეთოთ.

ნიღაბი №2 — დაწექით ზურგზე და დაიფინეთ მარლა სახეზე და ყელის არეში. ზემოდან აიღეთ რამდენიმე ფენა მჟავე კომბოსტოს ფოთოლი, გაიჩერეთ 10-15 წუთი, ჩამოიბაენთ ჯერ თბილი და შემდეგ ცივი წყლით.

ჰოლივუდელი მსახიობები სახის მასაჟსაც კარგად ფლობენ და მის გაკეთებას ყოველდღიურად თქვენთვის სასურველ დროს გირჩევენ:

შუბლის არეში ნაოჭების საწინააღმდეგოდ კარგია ხელის გულის დადება შუბლზე. ეს ნაოჭები „ჯიუტთა რიცხვს" მიეკუთვნება. ხელისგულს შუბლზე მაგრად უნდა დააწვეთ, ეცადეთ ამ დროს შუბლზე შეკრათ ნაოჭები წარბების აწევით და უცბად გაუშვათ. ხელისგული კი შუბლზე ისევ გქონდეთ მიდებული. ასე უნდა გაიმეოროთ 10-20-ჯერ.

თვალის ირგვლით ნაოჭებისთვის კარგია ამოძრავოთ თვალები წრიულად ორივე მხარეს 10-20-ჯერ, შემდეგ მოჭუტოთ 40-ჯერ, შემდეგ კი ამოძრავოთ თვალები ზევით, მარცხნივ და მარჯვნივ. ეს პროცედურა 3-4 წუთის განმავლობაში უნდა გაიმეოროთ.

ტუჩების ირგვლის ნაოჭების საწინააღმდეგოდ კარგია შეკრათ ტუჩები ისე, როგორც კოცნის დროს და წრიულად ამოძრავოთ მარცხნივ, მარჯვნივ, ზემოთ და ქვემოთ. ეს მოძრაობა 2-3 წუთის განმავლობაში უნდა აკეთოთ.

ცხვირის კუთხეებთან ნაოჭების საწინააღმდეგოდ საჭიროა ჩაისუნთქოთ ღრმად და ამოსუნთქული ჰაერით გაბეროთ ორივე ლოყა. ჰაერი უნდა გამოუშვათ ნელ-ნელა ისე, თითქოს სათამაშო გასაბერ ბუშტს ბერავდეთ. ეს ვარჯიში 4-5 წუთის განმავლობაში უნდა გააკეთოთ.

ყელის ნაოჭების საწინააღმდეგოდ კარგია მისი მოვლა. ამბობენ, რომ ყელი ადამიანის ასაკს ყველაზე მეტად გასცემს. ყელს დროული და სისტემატური მოვლა ესაჭიროება, რადგან ის სახის კანთან შედარებით უფრო ადრე ბერდება. იმისათვის, რომ ყელმა თქვენი წლოვანების საიდუმლო არ გასცეს, დაიმახსოვრეთ: ყელი გეჭიროთ ყოველთვის სწორად, ძილის დროს თავი დადეთ დაბალ ბალიშზე, ყოველ საღამოს კარგად დაიბანეთ ყელი და კისერი, რამდენიმე წუთის შემდეგ კი გაიკეთეთ მასაჟი აბანოს ხელთათმანით ან ოდნავ უხეში ჯაგრისით, თანაც წრიული მოძრაობით — გულმკერდი, ნიკაპი, ნიკაპი — მარცხენა ყური, ნიკაპი — მარჯვენა ყური. გამშრალების შემდეგ წაისვით მკვებავი კრემი და გაიჩერეთ 15 წუთის განმავლობაში. შემდეგ არ ჩამოიბანოთ, არამედ ქაღალდით მოიცილეთ.

დაბოლოს, არ დაგავიწყდეთ ხელები — იმისათვის, რომ თქვენი ხელები ნაზი და ელასტიური იყოს, შეიზილეთ მათზე საჭმლის ზეთი, ჩაიცვით შალის ხელთათმანები და დაიძინეთ. არ დაგავიწყდეთ, რომ ხელთათმანს თითების ბოლოები დააჭრათ.

### bvtuj,htscfhrtcsfy



ნებისმიერმა ქალბატონმა სარკესთან მეგობრობა უნდა იცოდეს, რაც საკუთარ გარეგნობაზე ზრუნვას ნიშნავს. იმისათვის, რომ სამსახურის შემდეგ სახეზე დაღლა არ გემჩნეოდეთ, კოსმეტოლოგები გირჩევენ, სახლში მისვლისთანავე დაიბანოთ სახე თბილი წყლით, შესაძლებელია საპნითაც და დაიდოთ ნიღაბი.

სხვადასხვა ტიპის კანისთვის სხვადასხვანაირი ნიღბები არსებობს. ყველაზე სასარგებლო საფუარის ნიღაბია, რომელსაც მეორენაირად სადღესასწაულო ნიღაბი ეწოდება. ის თქვენს გადაღლილ სახეს დაამშვიდებს.

ერთი ჩაის კოვზი საფუარი გახსენით ერთ სუფრის კოვზ თბილ წყალში, შესაძლებელია წყალი რძით შეცვალოთ. ეს ნიღაბი სახეზე სამ ფენად უნდა წაისვათ. პირველი ფენის წასმიდან 3-5 წუთის შემდეგ გადაისვით მეორე ფენა, 0-15 წუთის შემდეგ კი დაიდეთ სახეზე მესამე ფენაც. სამივე ფენის სახეზე მოთავსების შემდეგ ნიღაბი თბილი წყლით ჩამოიბანეთ. ნიღბის შემდეგ აუცილებელია გაიკეთოთ დეკორატიული კოსმეტიკა — ტუჩები ოდნავ შეიღებეთ, გადაისვით პუდრიც. თუ დეკორატიული კოსმეტიკის წესებს დაიცავთ, ცხვირის ფერი უფრო ღია უნდა გქონდეთ, ვიდრე ლაწვების. თუ მნიშვნელოვან საღამოზე მიდიხართ და გჭირდებათ განსაკუთრებული მაკიაჟი, მუქი წამწამები შეიღებეთ ლურჯი ტუშით. ქუთუთოების შეღებვისას არ დაგავიწყდეთ, რომ ვერცხლისფერი, ოქროსფერი და მბზინავი პუდრია არ უხდება წინწამოწეულ თვალებს. ეს ფერები კოსმეტიკაში საკმაოდ პრეტენზიულია.

**თიკო ნინიაშვილი**

## განცხადებები

● ლომთათიძე — პოლიკნიკის დირექტორი მკურნალობს: ფრჩხილების სოკოს, კანის დაავადებებს, ფურუნკულს, ტროპიკულ წყლულს, თმის ცვენას, ბუასილს უოპერაციოდ, ეგზემას, ფსორიაზს, მარილების დაგროვებას, პროსტატიტს, A,B,C ჰეპატიტს, მეჭეჭებს, პაპილომებს, ხორცმეტებს, ფეხების ოფლიანობას, თვალების გარშემო ცხიმგროვას. მის: ალმაშენებლის №93, ტელ:96-38-27; 893-39-04-87 ირინა. კონსულტაცია უფასოა.

● იყიდება მცხეთის რაიონის სოფ. ვაზიანში, თბილისიდან 30 კმ-ში 2000 კვ.მ ხეხილიანი საკარმიდამო მიწის ნაკვეთი (შეიძლება გაყოფაც 1000-1000 კვ.მ-ად), სასმელი და სარწყავი წყლით. ფასი 1 კვ.მ. 2 დოლარი. ტელ:. 53-15-87; 890-53-02-41.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშემსწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 96-67-03; 895-35-64-13.

● იყიდება გერმანული კაბინეტის როიალი „გერშტადტ". ფასი შეთანხმებით. ტელ: 899-97-37-72 ნარგიზა.

● გარანტიით, სწრაფად, უსაფრთხოდ, უმტკივნეულოდ, უოპერაციოდ, ასაკის მიუხედავად განვკურნავ მნიშვნელოვანებით დაქვეითებულ სმენას (ნევრიტს), ოსტეოქონდროზს, სახსრების, კუნთების, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, პროსტატიტს და შარდსასქესო სისტემის სხვა დაავადებებს, რადიკულიტს, სისხლძარღვების შევიწროვებას და სხვა. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 15 ლარი. ტელ: 899-97-85-46. ბიოენერგოინფორმაციული მედიცინის სპეციალისტი, რეაბილიტოლოგი, სახალხო მკურნალი ბ-ნი ლევანი.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 899-25-44-14; 899-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისთვის! იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი) მოგვარება მცენარეული პროდუქციით. შედეგი 100%-იანია. ტელ: 34-02-38; 899-25-44-14; 890-25-44-14 ექიმი, ქ-ნი მზია.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 74-81-41, 871-33-01-61.

**ნათელმხილველი**
**მანანა**
**იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება.**
**მიიღება წინასწარი შეთანხმებით!**
**მის.: მეტრო „სადგურთან", მახათის შესახვევი №6. ტელ: 897-29-27-50.**

# რუსეთის ხელისუფლების ნდობის რეიტინგი ეცემა

სხვადასხვა ორგანიზაციების მიერ აპრილის თვეში გამართული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები მოწმობს, რომ რუსეთში მმართველი ტანდემისა და პარტიისადმი სიმპათიები საგრძნობლად დაეცა, გარდა ამისა, იზრდება საპროტესტო განწყობილებები.

ყოველი მეოთხე გამოკითხული ამბობს, რომ 2012 წლის პრეზიდენტის არჩევნებში პრეტენდენტთა სიაში არც პუტინის ხილვა სურს და არც მედვედევისა. ყოველმა მეხუთე გამოკითხულმა განაცხადა, რომ მზად არის საპროტესტო მიტინგებში მიიღოს მონაწილეობა.

ფონდ „ობშესტვენნოე მნენიეს" მიერ 16-17 აპრილს ორგანიზებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის მორიგი შედეგების თანახმად, მოსახლეობის რიცხვი, რომელიც დმიტრი მედვედევისადმი ნდობით არის განწყობილი, 46%-მდე შემცირდა, რაც 2008 წელს მედვედევის ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდგომი პერიოდისათვის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.

2010 წლის სექტემბერში მედვედევისადმი ნდობის შესახებ რესპოდენტების 57% აცხადებდა, იმავე პერიოდში, მათი რიცხვი, ვინც რუსეთის პრეზიდენტს არ ენდობა, 13-დან 20%-მდე გაიზარდა.

ანალოგიურად დაეცა ნდობა ვლადიმირ პუტინის მიმართ. 2010 წლის ოქტომბერში პრემიერ მინისტრს მოსახლეობის 63% ენდობოდა, მიმდინარე წლის აპრილში ეს რიცხვი 53%-მდე შემცირდა, რაც 2005 წლის შემდგომი პერიოდის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. ლევადა ცენტრი სხვა ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, რეგულარულად მართავს გამოკითხვებს არა „ნდობის" არამედ ქეყნის ხელმძღვანელების საქმიანობის „მოწონების" შესახებ. ამ ცენტრმა ასევე რეიტინგების დაცემა დააფიქსირა. მათი რიცხვი, ვინც პრეზიდენტის პოსტზე მედვედევის საქმიანობას იზიარებს, 76-დან 68%-მდე დაეცა, Vლადიმირ პუტინის საქმიანობის დადებითი შეფასებისა კი 77%-დან 71%-მდე შეკითხვის პასხუად, შეეფასებინათ თუ რა მიმართულებით ვითარდება მოვლნენები ქვეყანაში, მოქალაქეთა აზრი შუაზე გაიყო. 43%-ს მიაჩნია, რომ ყველაფერი კარგაადაა, ხოლო 40%-ს მიაჩნია, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით მოზღაობს. ამასთან სკეპტიკოსების რიცხვი თანდათანობით იზრდება —



მათი რიცხვი, ვისაც მიაჩნდა, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება 30%-ს შეადგენდა.

ლევადა ცენტრის მიერ გამოკითხულთა მხოლოდ 27%-მა განაცხადა, რომ რუსეთის ამჟამინდელი მთავრობისა სჯერა. დანარჩენები ქვეყნის მომავალს სკეპტიციზმით უყურებენ.

შეკითხვის პასუხად, თუ ვის ისურვებდნენ ისინი 2012 წელს პრეზიდენტობის კანდიდატად, მედვედევის გვარი 18%-მა დაასახელა, პუტინისა — 27%-მა. ყოველმა მეოთხემ თქვა, რომ არც ერთი სურს და არც მეორე.

შემცირდა აგრეთვე მართველი პარტიის, „ედინაია როსიასადმი" სიმპათიით განწყობილთა რიცხვიც. ნახევარი წლის განმავლობაში ამ პარტიისათვის ხმის მიცემის მსურველთა რიცხვი 7%-ით დაეცა, 50-დან 43%-მდე.

ალსანიშნავია, რომ სხვა პარტიების მაჩვენებლებს მნიშვნელოვანი ცვლილებები არ განუცდიათ.

„ედინაია რასია" პირველად აღმოჩნდა „წითელ ზონაში" ეს მაჩვენებელი 50 პუნქტზე დაბლა დაეცა, ანუ უარყოფითი შეფასებების რიცხვმა დადებითს გადააჭარბა.

სოციოლოგები რუსეთის მოქალაქეებს შორის უკმაყოფილების ზრდას აღნიშნავენ. მათი რიცხვი, ვინც საპროტესტო გამოსვლებში მონაწილეობას არ გამორიცხავს, უფრო მეტი გახდა, ვიდრე იმ მოქალაქეების რიცხვი, ვინც პროტესტის მიზეზს ვერ ხედავს. ასეთი რამ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში პირველად მოხდა.

შემდეგ მოქალაქეთა განწყობა ნორმას დაუბრუნდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში აქციებში მონაწილეთა რიცხვმა კვლავ ზრდა იწყო. სოციაოლოგები ამ გარემოებას სამომხამრებლო ბაზარზე ფასების ზრდას უკავშირებენ.

შეკითხვას, კვირას, სადმე ახლოს აქცია რომ გაიმართოს, მონაწილეობას თუ მიიღებთ? დადებითი პასუხი ყოველმა მეხუთემ გასცა.

გ.თ.

# ბრიტანელმა ტურისტმა მეოთხე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი გადაარჩინა

ბრიტანელმა ტურისტმა ქალმა, რომელიც აშშ-ში, ფლორიდას შტატში დასასვენებლად იმყოფებოდა, სასტუმროს მეოთხე სართულიდან გადმოვარდნილი ბავშვი დაიჭირა.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, 16 თვის ჯა-ნი მეილსი აივნის მოაჯირში გაძვრა და პირდაპირ ჰელენ ბირდს ჩაუვარდა ხელებში.

ბრიტანელი ქალის თქმით, იგი სასტუმრო „ეკანო ლოჯის" აუზთან იმყოფებოდა, ქალაქ ორლანდოში, როდესაც აივნის მოაჯირზე დაკიდებული ბავშვი დაინახა და მისკენ გაიქცა.

სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე ბავშვი მას ჰყავდა.

პატარა საავადმოფოში წაიყვანეს, ექიმებმა დაასკვნეს, რომ ბავშვი ჩამოვარდნისა და ქალის ხელებში ჩავარდნის შედეგად არ დაჟეჟილა და განაკაწრიც კი არ ჰქონდა.

ინციდენტის გამომძიებელი მოხელეების თქმით, გოგონა არ ტირის და ძალიან მოძრავი და ხალისიანი ბავშვის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ბავშვის 20 წლის დედამ, ელენა მაილსმა პოლიციელებს განუცხადა, რომ პატარასთან მისი მეგობარი დომონიკ ჰოლტი იმყოფებოდა.

დომინიკ ჰოლტის თქმით, იგი სააბაზანოში ერთი წუთით გავიდა, შემდეგ კივილი შემოესმა, აივნის ღია კარი დაინახა, გარეთ რომ გადაიხედა, ბავშვი უკვე ვიღაც ქალს ეკავა ხელში.

პოლიციელები ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ვინმესთვის ბრალდებების წაყენებას არ აპირებენ

ორლანდო აშშ-ში ერთ-ერთ პოპულარულ კურორტად ითვლება. აქვე ახლოს მდებარეობს გასართობი პარკი დისნეილენდი და თემატური პარკი „სი უორლდი", აგრეთვე ტურისტებს შორის პოპულარული სხვა ადგილები.

გ.თ.

## მოდისადმი თქვენი დამოკიდებულება

ტესტი



1. თქვენთვის მოდურია:

ა) დიზაინერის მიერ შექმნილი ნებისმიერი სამოსი; ბ) ნივთი, რომელიც მოგეწონათ და სხვას არ აცვია; გ) ნივთი, რომელიც ყველას მოსწონს.

2. რამდენი ცნობილი მემოდელის ჩამოთვლა შეგიძლიათ:

ა) ოცამდე; ბ) ათის; გ) ერთი-ორის.

3. ძალიან მოგწონთ ნივთი, რომელიც ბუტიკში ძალიან ძვირი ღირს, ისეთივე ნივთი ბაზარში გაცილებით იაფია. როგორ მოიქცევით:

ა) დაშტამპულ პროდუქციას არ ყიდულობთ; ბ) რა აზრი აქვს იმის ყიდვას, რისი შეძენაც ყველას შეუძლია? ბუტიკში იყიდით; გ) ბაზარში შეიძენთ.

4. თქვენი გარდერობის ფერი დამოკიდებულია:

ა) სეზონზე; ბ) თქვენს გარეგნობაზე; გ) ხასიათზე.

5. ვერტიკალური ხაზები:

ა) სიმსუქნეს მალავენ; ბ) „ჭიმავენ" ადამიანს; გ) ნებისმიერ ფიგურას უხდება.

6. თანამედროვე მოდის ტენდენციაა:

ა) ეკლექტიზმი; ბ) დემოკრატიულობა; გ) მკაცრი დიქტატის უარყოფა.

7. განგებ არასწორად შეჭრილი თმა შუბლზე:

ა) თანამედროვე მოდის უკანასკნელი სიტყვაა; ბ) ყველას არ უხდება; გ) პარიკმახერის უნიჭობის შედეგი.

8. თუ მიგაჩნიათ, რომ ბუნებრიობა ყოველთვის მოდურია?

ა) ხანდახან; ბ) რა თქმა უნდა; გ) მიჭირს პასუხის გაცემა.

9. კარგი მემოდელე რომ გახდეს ადამიანი, საჭიროა:

ა) იყოს ნიჭიერი; ბ) ჰქონდეს შესაბამისი ცოდნა და გემოვნება; გ) კერვა იცოდეს.

### პასუხები

**პასუხებს შორის ჭარბობს ვარიანტი:**

„ა" — თქვენ აშკარად არ კმაყოფილდებით იმით, რომ მოდაში კარგად ერკვევით და გსურთ მოდის მწვერვალების დაპყრობა. იქნებ ღირდეს პროფესიულად მოკიდოთ ხელი მოდას.

„ბ" — მოდაში ერკვევით, ასე ვთქვათ, მომხმარებლის დონეზე. თვალს ადევნებთ მოდის განვითარებას, თუმცა ულტრამოდური ნივთებისთვის თავს არ იკლავთ. გიყვართ გემოვნებით ჩაცმა და ახერხებთ ამას.

„გ" — ტანისამოსში უპირველეს ყოვლისა უპირატესობას ანიჭებს მის ფუნქციონალურ მხარეს, მიგანჩიათ, რომ იგი ჯერ მოხერხებული უნდა იყოს და შემდეგ მოდური, თუმცა უგემოვნობას ვერავინ დაგწამებთ.

# სამგლოვიარო განცხადებები

ოთარ ხუფენია და დანიელ გახარია სამძიმარს უცხადებენ დავით იაკობიძეს დედის

**ელენე ჯიბლაძის**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე აკადემიის აკადემიკოსი

**ნოდარ მიხეილის ძე როგავა**

და თანაუგრძნობს მიცვალებულის ოჯახს.

გივი, მერი, ნანა და დათო როგავები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ

**ნოდარ როგავას**

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები თამარ, დავით ღოღობერიძეები, რძალი ქეთევან ნამგალაძე, დები მედიკო, დალი, დისშვილები თამაზ, თენგიზ, გიორგი თეთრუაშვილები ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ჯანიკო (ციალა) ჭანტურიძე**

პანაშვიდი: 21, 22 აპრილს;

დაკრძალვა: 23 აპრილს, 15 საათზე;

მისამართი: თავისუფლების მოედანი №4, II სადარბაზო („ქორთიარდ მერიოტის" ეზოში).

## სოსო გოგუას გახსენება



მამა, დღეს, 23 აპრილს, ერთი წელი შესრულდება, რაც ჩვენგან წახვედი და მარადიულ სასუფეველში დაიდე ბინა. მართალა ძალიან გვენატრები... უზომოა შენი ეს მონატრება, ყოველთვის გელოდებით, მაგრამ... იმასაც ვგრძნობთ, რომ ზეციდან არ გვაკლებ მხარში დგომასა და მფარველობას. მხოლოდ ეს გვასულდგმულებს ყველას — შენს უსაყვარლეს მეუღლეს, შვილებსა და შვილიშვილებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული, მამა!

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კროსვორდი ბ



შვეულად: 1. ბუნებრივი ზონა აფრიკაში; 2. უძველესი აკადემია კახეთში; 3. კასტრული მღვიმე, ბუნებრივი ნაკრძალი იმერეთში; 4. მდინარე ზუგდიდში; 6. ბანკში შეტანილი თანხა; 8. პარლამენტის ზედა პალატა აშშ-ში; 11. დიდი ფართობის, ნოყიერი სახნავი მიწა; 12. ფასის დაწევა საქონელზე უხარისხობის გამო; 16. დეტექტური ჟანრის ამერიკელი მწერალი; 17. მკვრივი და დრეკადი იოგი, რომლითაც კუნთი მიმაგრებულია ძვალზე; 18. პერიოდულ ბეჭდვით გამოცემათა ერთობლიობა.

თარაზულად: 1. სირბილი, ცურვა მოკლე დისტანციაზე; 5. ჩეხური საავტომობილო ფირმა; 7. მტკნარი წყლის ძვირფასი სარეწაო თევზი; 9. რძის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 10. ნოდარ დუმბაძის „კუკარაჩას" პერსონაჟი; 13. „ვეფხისტყაოსანის" პერსონაჟი; 14. მარმარილოს საბადო კახეთში; 15. ბრიტანული ტაქსი; 19. უნგრეთის ჯარის ძველი სახელწოდება; 20. ბალნეოლოგიური კურორტი იმერეთში; 21. სამონასტრო კომპლექსი მცხეთის მახლობლად; 22. სიტყვების წარმოთქმის მანერა.

შეადგინა თ. კოპალეიშვილმა

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაკი; 2. ჯეზვე; 3. იმაგო; 4. ლხინი; 5. გილდია; 6. დინამიკა; 8. „ფიორენტინა"; 10. ფიზიონომია; 11. „ნატახტარი"; 14. ბუნაგი; 15. ოკრიბა; 16. ბროლა".

**თარაზულად:** 1. ბიუჯეტი; 4. ლოგოპედი; 7. კიაზო; 9. ტორფი; 12. კახეთი; 13. ტონგა; 14. ბოგოტა; 17. სტრიტი; 18. ჰემოგლობინი; 19. ჭარხილი; 20. საფარა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. „ბერეტა"; 2. აუდიტი; 3. ბარითმია; 4. ალპები; 6. „რედისონი"; 8. მტრედი; 11. ჰაბანერა; 12. კოდექსი; 16. ლონჟა; 17. სკიჯი; 18. „რეალი".

**თარაზულად:** 1. ბოქაული; 5. „სქური"; 7. სარქალი; 9. ეგვიპტე; 10. ნებიერი; 13. დარიალი; 14. მარინა; 15. ჭონა; 19. სექვოია; 20. სკუპჩინა; 21. მანდარინი; 22. შამოტი.

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**23 აპრილი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6447

ევრო —2,3896

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6943

რუსული რუბლი — 0,0584

## ამინდის პროგნოზი 23 აპრილისთვის




__აღმოსავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 12-13, ღამით — 2-§

__დასავლეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 11-16, ღამით — 3-6

__სამხრეთ საქართველო:__ ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7-19, ღამით — -4-5





## წამალი „ფერდი“

წამალი „ფერდი" შეიცავს არა ერთ ბიოლოგიურად აქტიურ სამკურნალო ნივთიერებას. ფერდი დამამშვიდებელი, ტკივილგამაყუჩებელი, ანტისეპტიკური, ანტიმიკრობული და მაღალი ანტიოქსიდანტური აქტივობის მქონე მცენარეული წამალია.ის გამოიყენება, როგორც დამამშვიდებელი საშუალება ვეგეტონევროზის (უძილობა ,აგზნებულობა,შიში,ნერვული აშლილობა,დაძაბულობა)-დროს, როგორც ხველების დამაწყნარებელი,აგრეთვე კუჭ-ნაწლავის-,ქრონიკული ფაღარათის, ფილტვების, პირის ღრუს, საშარდე გზების, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციური დაავადებების მკურნალობისას.

__შემადგენლობა:__

- „ფერდი“-ს ფხვნილი (PULVER ,,PHERDI'') – 1 კაფსულა – 0,3გ;
- „ფერდი"-ს ფხვნილი მზადდება წყავის (აუროცერასუს officinalis Roem.) ფოთლების საფუძველზე. ნედლეულის შემადგენლობაში შედის ნაერთები – გლიკოზიდები: ამიგდალინი, პრულაურაზინი (ლაურაცერაზინი) და მისი სტერეოიზომერი პრუნაზინი, თავისუფალი ციანწყალბადმჟავა – 0,4 – 5%; მთრიმლავი ნივთიერებები – 25%, 0,5% ეთერზეთები, 2,7% ტრიტერპენოიდები (ურსოლის მჟავა – 1%), პროანთოციანები, ფენოლკარბონმჟავები (ჰიდროლიზდება კოფეინის, პარა-კუმარის მჟავას წარმოქმნით), კატეხინები (დიმერული, ტრიმერული კატეხინები, ეპიკატეხინი, (+)-კატეხინი, (–)-ეპიკატეხინი), ვიტამინი C, სტეროიდები (ბეტა-სიტოსტერინი, სტიგმასტერინი, ქოლესტერინი), ფლავონოიდები, რომელთა ჰიდროლიზით მიიღება ქვერცეტინი;
- პრეპარატის ანტიოქსიდანტური აქტივობაა 72-85%.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას, გვერდითი მოვლენების შესახებ ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს

წამალი **„ფერდი“** იკითხეთ აფთიაქებში.

**WWW.PHERDI.GE** ☎ **95-90-60**


## მეხუმრებიან, გვეგონა, ნიჟნი ნოვგოროდში მიდიოდი და თურმე საქართველოში ნასულხარო



ნიჟნი ნოვგოროდის „ვოლგას“ საიტზე საინტერესო ინტერვიუ გამოქვეყნდა გუნდის დაცვის ერთ-ერთ ლიდერ ლაშა სალუქვაძესთან. საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, ჩვენი ქვეყნის ჩემპიონიც გამხდარა და რუსეთისაც (ორჯერ). მშვენიერი მატჩები ჩაუტარებია ლეო მესი-ანდრეს ინიესტა-ხავის წინააღმდეგ, როცა „რუბინი“ ჩემპიონთა ლიგაზე „ბარსელონას“ ხვდებოდა.

29 წლის სალუქვაძე ამ ზამთარს გადავიდა „რუბინიდან“ „ვოლგაში“, ახალ გუნდზე კარგი კუთხით ლაპარაკობს და ყაზანში გატარებულ პერიოდსაც ლამაზად იხსენებს.

*— რით გამოირჩევა ქართული ფეხბურთი სხვებისგან?*

— საქართველოში, მეტწილად, ბურთით ვარჯიშებია, უბურთოდ სირბილი საფეხბურთო სკოლებში იშვიათობაა და ამდენად, უშუალოდ მატჩისასაც ტექნიკური ფეხბურთი უყვართ ქართველებს. ჩვენს ქვეყანაში, ისევე, როგორც თითქმის მთელ მსოფლიოში, ფეხბურთი სპორტის ნომერ პირველი სახეობაა. რა თქმა უნდა, საფეხბურთო ინფრასტრუქტურა უკეთესის სურვილს ტოვებს, საქართველოს ჩემპიონატი რუსეთისას ჩამორჩება... თუმცა, საქართველოს მთავრობიდან ფეხბურთისადმი ინტერესი ნელ-ნელა იზრდება და ვფიქრობ, დროთა განმავლობაში, ყველაფერი ნორმალურად იქნება.

*— რატომ არ სურთ ქართველ ფეხბურთელებს საკუთარი ქვეყნის ჩემპიონატში თამაში და რატომ მიდიან უცხოეთში?*

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ასტროპროგნოზი

ყველამ გაითვალისწინეთ!

### 23 აპრილი — ეს დღე მშვიდად გაატარეთ.

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კირჩხიბი** — თქვენი საქმე წინ მიდის, ყველაფერი გამოგდით. **ლომი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **ქალწული** — ნუ ენდობით უცხო პირებს, გადაამოწმეთ ინფორმაცია. **სასწორი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე ჩვეულ გარემოში გაატარეთ. **ღრიანკალი** — პრობლემები არ გაქვთ, მდიდარი ადამიანი გეხმარებათ. **მშვილდოსანი** — ის საქმე აკეთეთ, რაც კარგად გამოგდით. **თხის რქა** — თქვენი პარტნიორი თქვენზე ზრუნავს, მის მიმართ სითბო გამოიჩინეთ. **მერწყული** — დაისვენეთ მყუდრო გარემოში, დღეს ნუ გადაიღლებით. **თევზები** — ბედი გწყალობთ, ამ დღეს დიდი ხანია ელოდით.

### 24 აპრილი — შემოქმედებითი დღეა.

**ვერძი** — ახალი პროექტი გაამართლებს, თავს გამოიჩენთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით რომანტიკული შეხვედრა. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — არ აყვეთ სხვებს, საკუთარ თავს მიხედეთ. **ლომი** — თქვენი საქმე წინ მიდის, იაქტიურეთ. **ქალწული** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **სასწორი** — ბედი გწყალობთ, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, ნუ მიიღოთ მძიმე საკვებს. **მშვილდოსანი** — არჩევანი არც ისე ადვილი იქნება, კარგად დაფიქრდით. **თხის რქა** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **მერწყული** — სახლში სიახლეა, შეიძლება რემონტი წამოიწყოთ. **თევზები** — ყური მიუგდეთ მეგობრების რჩევას, დამოუკიდებლად არ იმოქმედოთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# 26 აპრილიდან

## „ახალი თაობის“ სააღდგომო საჩუქარი ახალ თაობას

## საყმაწვილო ბიბლიოთეკის 8 ტომეული

უმაღლესი პოლიგრაფიული ხარისხის, მაგარი ყდით, ფერადად ილუსტრირებული. ძალიან დაბალ ფასად!




გაზეთი და წიგნი ერთად — 2 ლარი


## იუმორი



ვაჟი გოგონას:

— შენს დაბადების დღეზე ყველაზე ლამაზი შენ იყავი.

— გმადლობ. შევეცადეყ

— რა, სტუმრები სპეციალურად შეარჩიე?

* * *

დირექტორმა კადრების განყოფილების გამგე გამოიძახა:

— მომიძებნეთ ჩვენს თანამშრომლებს შორის ახალგაზრდა, ნიჭიერი, ინიციატივიანი ახალგაზრდა, რომელიც მომავალში ჩემი ადგილის დაკავებას შეძლებს.

— მერე?

— როგორც კი იპოვით, მაშინვე დაითხოვეთ...

— ერთი ნახვით სიყვარული თუ არსებობს?

— ერთი შეხედვით — კი.

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 2. ვაშლის ღვინო; 3. მიმართვა მამაკაცისადმი ლათინურ ამერიკაში; 4. დაბა სიღნაღის რაიონში; 5. ცხარე გემოს ბოსტნეული მცენარე; 6. ავადმყოფობის შემობრუნება, განმეორება; 8. ტერიტორია, სადაც იძულებითი წესით არიან დასახლებული მკვიდრი მოსახლეობა; 10. ისტორიული ციხე-ქალაქი სენაკის რაიონში; 11. დიდი ზომის მორბენალი ფრინველი; 14. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ბორჯომ-ხარაგაულის ნაკრძალში; 15. თურქული აბანო; 16. ლეონკავალოს ოპერა „ჯამბაზების“ პერსონაჟი.

**თარაზულად:** 1. იტალიური ტკბილი, სადესერტო ღვინო; 4. ისტორიული სოფელი მცხეთის მახლობლად; 7. ჰაერში ასაშვები მეტეოროლოგიური ბურთი; 9. ძვირფასი ლითონის წონა მონეტაში; 12. პირველი ჰიდროელექტროსადგური საქართველოში; 13. სოფლის მოხელე, მამასახლისის მოადგილე ძველად; 14. ცეცხლსასროლი იარაღის ბელგიელი კონსტრუქტორი; 17. დიდი ციმბირული ირემი; 18. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ეგვიპტეში; 19. ტბა საქართველო-თურქეთის საზღვარზე; 20. ძღვენი, საჩუქარი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

